

ფედერალური
აჩრდილები
კანადის
ციხეებში

The Case of Brainwashing

ფედერალური
აჩრდილები
კანადის ციხეებში

ვანტანგ მახნიაშვილი

ვახტანგ მახნიაშვილი

ფედერალური აჩრდილები

კანადის ციხეებში

THE CASE OF BRAINWASHING

***FEDERAL SHADOWS
IN THE CANADIAN PRISONS
The Case of Brainwashing***

With English Digest

Vakhtang Makhniashvili



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2015

UDC (უაკ) 821353.1-94
მ – 446

ავტორის შესახებ

ვახტანგ მახნიაშვილი, 2003-ში ჩრდილოამერიკაში ემიგრაციამდე, სადაც მან თორმეტი წელი დაჰყო, იყო ფილოსოფიის ლექტორი და მკვლევარი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში და სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტში. მას აქვს გამოქვეყნებული სტატიები და თარგმნები ფილოსოფიაში. ამჟამად იგი ცხოვრობს თბილისში.

ABOUT THE AUTHOR

Vakhtang Makhniashvili is a philosopher and a freelance writer. Before immigrating to North America in 2003, where he lived for twelve years, he was a philosophy researcher and lecturer at Tbilisi State University and the Institute of Philosophy of Georgian Academy of Sciences. He has published philosophical articles and translations. Currently he lives in Tbilisi, Georgia.

© ვ. მახნიაშვილი, 2015

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-624-3

For Lela

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	7
1. „სხვების“ აღმოჩენა	12
2. ქიმიური დარწმუნება და იძულებითი ფარმაკოლოგია	27
3. უძილობა და რეალობა	36
4. პარალელური ფუნქციები	42
5. პუდელის ინკუბატორი	49
6. ერთსახინი ფანტომები და ჟონვადობა	58
7. მილჰევენი	63
8. ვერქვორთი – სამზარეულო	73
9. კანქვეშა ტერორი	80
10. პროგრამა	86
11. ხეიბრები და ნელი სიკვდილის სემანტიკა	93
12. კონცეფტური ჩანართი	97
13. ეკლესია	102
14. ჰოლიზმი	115
15. საკანში	118
16. არშემდგარი მოქცევა	120
17. წამოსვლა	123
ეპილოგი	125

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ემიგრანტი	129
პოლიტიკური	142
წერილი	147
საბუთები	163
პოსტსკრიპტუმი	177

CONTENTS

Introduction.....	180
1. Discovery of "Others"	182
2. Chemical Persuasion and Coercive Pharmacology	184
3. Sleep deprivation and Reality.....	187
4. The Parallel Functions.....	188
5. The Poodle Incubator	190
6. Uniface Phantoms and the Leakage	192
7. Millhaven	195
8. Warkworth – the Kitchen	199
9. Hypodermic Terror	202
10. The Program	204
11. The Cripples and the Semantics of Slow Death	209
12. Conceptual Insert	213
13. The Church.....	215
14. Holism	221
15. In the Cell.....	223
16. Failed Conversion	224
17. Departure	226
Epilogue.....	226

შესავალი

ის, ვინც თვლის, რომ ამერიკის უახლესი სამხედრო-პოლიციური აქტივიზმი გლობალიზაციის აუცილებელი ელემენტია, შესაძლოა ასევე თვლის, რომ უხილავი პატიმრები (ghost detainee), პლანეტაზე მიმოხვეული შავი საიტები და ფსიქო-ფიზიკური წამების შესახებ მოთხრობები კიდევ კარგა ხანს იქნება გლობალური რეალობის მუქი პერიფერული ფონი. დაფარულის ინფორმაციული ხელმისაწვდომობა – ვიკიპედიის სინდრომი – კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებს იმ რეალობის მიმართ ადაპტაციას. მეორე ფაქტორია ის შთაბეჭდილება, რომელიც ფარული ციხეების შესახებ გარკვეულ მედიურ მიმართულებებს ახლავს და რომელიც ნორმალურობის ცენტრალურ სოციალურ სივრცეს და პათოლოგიურობის იმ პერიფერულ ზონას წარმოადგენს როგორც ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნულ რეალობებს. არსებობს სხვა მიმართულებაც, რომელიც ორ რეალობას შორის ზღვარს ხედავს როგორც ბუნდოვან, ილუზორულ ხაზს, რომლის მოხელთება არც ისე იოლია.

მოცემულ ნარკვევში აღწერილი ფაქტები უარყოფენ მყარი გამიჯნულობის თვალსაზრისს. ისინი ასევე უჩვენებენ, რომ გლობალური ჟანდარმერიის შემოქმედებითობა შესაძლოა კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყოს, როდესაც საქმე ეხება საკუთარი უკანონო ქმედებების კამუფლაჟს, ვიდრე ამას შავი საიტების შესახებ ისტორიებიდან ვასკვნივთ.

ნარკვევი ავტობიოგრაფიულია. ამბავი 2010 წლის ნოემბერში, კანადის ერთ-ერთ პროვინციულ ციხეში დაიწყო და დასრულდა ოთხწლიანხვერის შემდეგ კანადის ფედერალურ ციხეში. როდესაც ვუფიქრდები, თუ რა არის იმ გამოცდილების უშინაგანესი თავისებურება, ცნებათა სიმრავლე ართულებს ამ კითხვაზე პასუხს. შეიძლება აღწერილიყო ის „პრივატულობის სრული კვდომის“ ტერმინებში? ტრივიალური ჩანს იმის მტკიცება, რომ ციხის გამოცდილებისთვის ეს ცნება რელევანტურია. თანამედროვე ციხე ტოტალური კონ-

ტროლის პარადიგმული ნიმუშია. ამკარა და ფარული კამერები, პროფესიონალი დამსმენები, პატიმრებად გადაცემული პროფაილერები და თვალთვალის სხვა ტექნოლოგიები თანამედროვე დასავლური ციხის ყოველდღიური ცხოვრების ორგანული ნაწილია.

წმინდა თვალთვალი – პასიური, ტექნოლოგიზირებული აღქმის ფორმათა მოცემულობა – ვერ ასახავს იმ გამოცდილების არსს. აღქმითი აპარატი მხოლოდ ერთი კომპონენტია. თანამედროვე პანოპტიკონი – მრავალშრიანი თვალთვალის მობილური ინსტრუმენტი – არის აქტიური ჩარევების, „ინტერვენციების“ იმ სისტემის ნაწილი, რომელიც აღნიშნული ტოტალური კონტროლის სულია.

სრულყოფილი თვალთვალი და აქტიური ჩარევები აყალიბებს იმ გამოცდილებას, რომლის აღწერაც მოცემული ნარკვევის მიზანია. მისი არსი თავსდება „ფსიქოლოგიური ზენოლის“, „იძულებითი დარწმუნების“ და „ტვინის გამორეცხვის“ მცდელობის ტერმინებში. შესაძლოა ტერმინი „ტვინის გამორეცხვა“ ამ სამიდან საუკეთესო კანდიდატია. ამ ტერმინის სირთულე მისი ბუნდოვანება და უზუსტობაა. იგი ხშირად ფარავს საკმაოდ განსხვავებულ ფენომენებს. თანამედროვე მედიის და სარეკლამო სერვისების იმიჯ-წარმოების სოციო-ფსიქოლოგია და პავლოვ-სკინერისეული კონდიციონირების ინსტიტუციონალური პრაქტიკა, ცხადია, არ არის ერთი და იგივე. თუმცა, ორივე საერთო პრინციპებს ემყარება. ხსენებული ნაკლის მიუხედავად, „ტვინის გამორეცხვა“ საუკეთესო კანდიდატია იმ აზრითაც, რომ იგი უკეთ აფიქსირებს მანიპულაციური პროცესის გრძელვადიანობის და კომპლექსურობის ასპექტს, ვიდრე დანარჩენი ორი. „ფსიქოლოგიური ზენოლა“ და „იძულებითი დარწმუნება“ უფრო იოლად მიეყენებოდა ტვინის გამორეცხვის პროცესის ცალკეულ ფაზებს, ან საფეხურებს. ცნებით ასპექტზე აქ უფრო მეტ ხანს შეყოვნება გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან მისი შინაარსის დაზუსტება თხრობის იმანენტური ნაწილია.

ამერიკელი სოციოლოგი და საიდუმლო პოლიციის კონ-

ცეფტუალური მკვლევარი გარი მარქსი მის ნაშრომში „რკინის მუშტი და ვილვეტის ხელთათმანი: ტოტალიტარისტული პოტენციალი დემოკრატიულ სტრუქტურებში“ განასხვავებს ერთმანეთისგან ორუელისეულ დასჯის – „რკინის მუშტის“ – მეთოდზე ორიენტირებულ სახელმწიფოს და ცდუნება-შეტყუების ფაქიზი მეთოდების – „ვილვეტის ხელთათმანის“ – პოლიციურ რეჟიმებს. ეს უკანასკნელი თანამედროვე დასავლური სახელმწიფოების ტენდენციაა.¹ ორუელის 1984-ის რეალობა სასჯელის და ე. წ. ავერსიული კონდიციონების მეთოდების დომინანტით გამოირჩევა. წმინდა აკრძალვის პრაგმატიკამ უჩვენა მისი როგორც გრძელვადიანი სოციალური კონტროლის მეთოდოლოგიის მოუქნელობა და არაპრაქტიკულობა. ორუელის დისტოპიის ამ ნაკლს ავსებს ოლდოს ჰაკსლის „საოცარი ახალი სამყაროს“ ორიენტაცია „რბილ მეთოდებზე“. რკინის მუშტს ანაცვლებს ბიო-ქიმიური თერაპიის და პოზიტიური კონდიციონების უმტკივნეულო მეთოდოლოგია.

რკინის მუშტის და ვილვეტის ხელთათმანის ასეთი ბიპოლარული წარმოდგენა მოხერხებულია კონცეფტური ანალიზისთვის. მაგრამ, რეალობის ასაღწერად გაცილებით პრაქტიკულია მათი სინთეზი. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ე. წ. „უსაფრთხო სახლების“ ოთახებში შესრულებული დასაკითხი პირის წყალში დახრჩობის იმიტაციები, სადაც წამების ობიექტის სამედიცინო თვალყური განაპირობებს პროცედურის ეფექტურობას, არ თავსდება არც წმინდა „რკინის მუშტის“ ინკვიზიციურ ცნებაში და არც „ვილვეტის ხელთათმანიანი“ მაცდური პოლიციელის ხატში. ასევე ძნელია ფსიქოლოგიური წამების სხვა სახეობების კლასიფიკაცია, რომლებსაც სისტემატურად იყენებენ როგორც დასავლეთის დაზვერვის სამსახურები, ისე ამერიკული პოლიციის უწყებები.

¹ Gary Marx: The Iron Fist and the Velvet Glove: Totalitarian Potentials Within Democratic Structures;
<http://web.mit.edu/gtmarx/www/iron.html#note4>.

როგორც ითქვა, მოცემული ნარკვევის მიზანია კანადის ციხეში ჩემი უშუალო გამოცდილების აღწერა. უფრო კონკრეტულად, ესაა მოთხრობა სპეციალიზირებული და ფარული პროგრამის შესახებ, რომელსაც კანადის კორექციული სამსახურები და სახელმწიფო უსაფრთხოების სტრუქტურები აწარმოებენ იმ ქვეყნის ზოგიერთ ციხეში. პროგრამის მეტნაკლებად დეტალურ აღწერამდე მისი არსი ზოგადი ფორმით შეიძლება გამოთქმულიყო შემდეგ დებულებებში.

პროგრამა იყენებს ქვეყნის მოდიფიკაციის კომპლექსურ მეთოდოლოგიას, რომელიც პრინციპულად არღვევს კანადის კანონმდებლობის და საერთაშორისო ადამინის უფლებების უძირითადეს პრინციპებს. ის ფაქტობრივად წარმოადგენს „ტვინის გამორეცხვის“ გრძელვადიან, სისტემურ და უკანონო პრაქტიკას.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის, რომ პროგრამაში ჩადებულია თვითდაცვის მექანიზმი: თუკი პირი, რომელსაც ის მიეყენება, გადაწყვეტს პროგრამის და შესაბამისი უკანონობების გასაჯაროებას, ან გასაჩივრებას, ან რაიმე კანონიერი გზით მისგან თავის დაღწევას, იგი გახდება ინტენსიური „გაჟონვის სანინააღმდეგო“ მეთოდების ობიექტი. ძილის წართმევა, გრძელვადიანი გულისრევის ხელოვნური გამონვევა, ფარმაკოლოგიური საშუალებებით ტკივილის მიზანმიმართული მიყენება და მასიური ფსიქოლოგიური მანიპულაცია გახდება მისი ყოველდღიური დამუშავების გზა.

ასეთი პროცედურების წარმატება, როგორც წესი, განსაზღვრავს პიროვნების დროულ პირობით გამოშვებას ციხიდან, ან ამაზე უარის მიღებას კანადის პაროლის საბჭოსგან, რომელიც უშუალოდ თანამშრომლობს პროგრამის მენეჯმენტთან და კანადის კორექციულ სამსახურებთან. ჩემი ვარაუდია, რომ სწორედ ასეთი „წინააღმდეგობის“, ან „არა დარწმუნებადობის“ ფაქტიდან გამომდინარე მივიღე ორჯერ კანადის პაროლის საბჭოს უარი ჩემს მოთხოვნაზე მომხდარიყო ჩემი საქართველოში დეპორტაცია. საბჭოს მოსმენა შედგა ორჯერ: 2013 წლის ივნისში და 2014 წლის დეკემბერში.

გაყალბების სიაშკარავით განსაკუთრებით გამოირჩევა პაროლის საბჭოს 2014 წლის უარი-დასკვნა (იხილეთ საბჭოს დასკვნა და ჩემს მიერ მისი აპელაცია დამატებაში).

ერთი გარემოება, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს პროგრამის უკანონობის ფაქტს არის ის, რომ ჩემს საქმეს ჰქონდა მეორე პლანი – პოლიტიკური ასპექტი. ცხადია, არსებობს კრიმინალური წინა პლანი. ამ უკანასკნელის მინიმალური ცოდნის გარეშე ძნელი იქნება იმ მტკიცების გაგება, რომ საქმის მეორე მხარე ძირითადად პოლიტიკურია. ძნელი იქნება, ასევე იმის დანახვა, რომ კრიმინალური და პოლიტიკური ასპექტები მოგვიანებით განვითარდა მიმართულებით, რომელმაც განსაზღვრა „სინდისის პატიმრის“ ცნების რელევანტურობა ჩემს მიმართ. ეს უკანასკნელი განაპირობა ჩემმა შეხედულებამ პროგრამის შესახებ, რომელსაც მე უკანონოდ ვთვლიდი (და ვთვლი) და ასევე იმ ფაქტმა, რომ ამას ჯერ კიდევ ტორონტოს წინასწარი დაკავების საპატიმროდან ვაცხადებდი (იხ. დამატება, ჩემი წერილი. საქმის კრიმინალური და პოლიტიკური ასპექტების შესახებ მოკლე ინფორმაცია ასევე მოცემულია დამატებაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ნარკვევის კითხვის დაწყება მისი დამატების პირველი ორი თავიდანაც შეიძლება).

პროგრამის ერთი თავისებურება აქვე უნდა მოვნიშნო. ის ფაქტი, რომ პიროვნების ბიჰევიორისტულ (ქცევით) ტესტირებას და კონდიცირებას ხშირ შემთხვევაში სჭირდება კონფედერატი – პირი, რომელიც სამიზნე სუბიექტის მიმართ წინასწარ დადგმულ, ფსიქოლოგთან შეთანხმებულ როლს ასრულებს – ცნობილი იქნება ნებისმიერისთვის, ვისაც თანამედროვე დასავლური ფსიქოლოგიის რომელიმე სახელმძღვანელო წაუკითხავს. მაგრამ, განმარტება სჭირდება პროგრამის იმ ასპექტს, რომ რეალური პატიმარი თავსდება სრულად კონტროლირებად გარემოში, სადაც ყველა დანარჩენი „პატიმარი“ ბიჰევიორისტი სპეციალისტი, ან მისი კონფედერატია. ამ მტკიცების სირთულე ისაა, რომ ინტერვენციული კონტროლის მიზნით ადამიანური რესურსების ასეთი მასშტაბური გა-

მოყენება კორპორაციული მედიის მიერ ნასაზრდოები სალი აზრისთვის საკმაოდ დაუფერებლად გამოიყურება – ერთი შეხედვით. იმედია, რომ ქვემოთ მოტანილი აღწერები და კონკრეტული ილუსტრაციები ნაწილობრივ მაინც მოახერხებს ნათელყოს ასეთი ტოტალური კონტროლის ბუნება, და ასევე, მისი ორგანული კავშირი პროგრამის მიზნებთან.

„სხვაების“ აღმოჩენა

„თქვენს საკანში მოათავსებენ დამსმენს. მისი მიზანი იქნება სუკის სასარგებლოდ თქვენზე გავლენის მოპოვება, რისთვისაც იგი ნებისმიერ საშუალებას მიმართავს. ...იგი გამოგნურავთ ინფორმაციას, რომელიც გამომძიებელს სჭირდება, შეგიქმნით საკანში სრულიად აუტანელ ფსიქოპათიურ ატმოსფეროს, დაგირღვევთ ძილს, შეგიშლით ხელს ჭამაში, კითხვაში და ა. შ. გამომძიებელს, როგორც მალე გააცნობიერებთ, არ შეუძლია იმოქმედოს კანონის ფარგლებში, [დამსმენის მეშვეობით] იგი შეეცდება თქვენს დარწმუნებას, დაშინებას, შანტაჟს, დაარღვევს პროცედურულ ნორმებს იმისთვის, რომ მოაგროვოს საგამომძიებო საბუთები და სხვა.“²

ს. ბლოხის და პ. რედავეის დასავლეთში გახმაურებული ნიგნი, რომელიც გასული საუკუნის სამოცდაათიანებში გამოვიდა, საბჭოთა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოხვედრილი შესაძლო „პოლიტიკური პაციენტის“ შემზადებისთვისაც იყო განკუთვნილი. თუმცა, მისი მთავარი დანიშნულება დასავლეთისთვის „პოლიტიკური საავადმყოფოების“ საბჭოთა პრაქტიკის მხილება იყო. ამ კავშირში მავანმა შეიძლება გაიხსენოს, რომ იმ პერიოდიდან სულ ცოტა ხნით ადრე კანადის და ამერიკის ზოგიერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში – ალანის მემორიალურ ინსტიტუტში, მაგალითად – ინ-

² Sidney Bloch and Peter Reddaway, *Russia's Political Hospitals: The Abuse of Psychiatry in the Soviet Union*, London, Gollancz, 1977, გვ. 434.

ტენსიურად მიმდინარეობდა ცნობიერების კონტროლის და ტვინის გამორეცხვისთვის განკუთვნილი კვლევები, რომელთა დამკვეთი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო იყო, ხოლო რომლის პოტენციური სამიზნე – მესამე სამყაროს ქვეყნების კომუნისტები, რევოლუციონერები და მემარჯვენე რეჟიმების დისიდენტები.

მაგრამ, მოცემულ კონტექსტში მოტანილი ციტატის მნიშვნელობა სხვაა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სუკის დამსმენის მიერ დისიდენტის „დამუშავების“ მეთოდი არ იქნებოდა დაფუძნებული სისტემატურ ბიჰევიორულ მეთოდებზე. სტრესის, დასწავლული უმწეობის, ან ფსიქოლოგიური ძალის გამოცლის პავლოვისეული ცნებების კავშირს ოგანიზმის ხელახალი კონდიციონირების შესაძლებლობასთან ყურადღება ბრიტანელმა ფსიქიატრმა უილიამ სარგანტმა მიაქცია. თუმცა, ბუნებრივია ის ვარაუდიც, რომ ინტუიციურ დონეზე ეს კავშირი კარგა ხანია ცნობილი იყო „დარწმუნების“ პრაქტიკოსებისთვის. ეს არის „მოქცევის“ შესახებ სარგანტის ისტორიული შენიშვნების არსი.³

პიროვნების ხელახალი კონდიციონირების მიზნით სტრესის და ფსიქოლოგიური გამოფიტვის გამოყენების შესახებ ზოგადი დებულებებიდან არ იქნება იოლი იმ ვითარების ნათლად წარმოდგენა, რომელშიც ციხის პატიმრებად გადაცემული ბიჰევიორისტები და მათი კონფედერატები თვეების და წლების მანძილზე ახორციელებენ მეთოდური სტრესირების მეშვეობით სამიზნე პირის დამუშავებას. შემდეგ, „მორჩილების ზენიტის“ დადგომის მოლოდინში, სისტემატურად და მიკროსკოპული სიზუსტით აკვირდებიან სუბიექტის სუგესტიურობის დონის ცვალებადობებს, ხოლო შემდეგ, იწყებენ ახალი განწყობა-აზრების ინექციას მასში – პოლიტიკური ლოიალობის ახალი მიმართულებების ჩათვლით.

³ „Some Cultural Group Abreactive Techniques and their Relation to Modern Treatments“, W. Sargant, <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2081115/pdf/procrsmed0609-0087.pdf>.

ტორონტოს დასავლეთის წინასწარი დაკავების ცენტრში (TWDC) დღის სამ საათზე მიმდევრად. ციხის მიმღები განყოფილების მცველმა რამდენიმე პროტოკოლური კითხვა დამისვა. როდესაც მის ერთ-ერთ კითხვას ოდნავ შესამჩნევი ირონიით ვუპასუხე, რომ თვითმკვლელობას არ ვაპირებდი, მან მომცა ციხის ტანსაცმელი და მიმითითა გასახდელისკენ. სწრაფად გადავიცვი „ჯამპერი“ – წითელი ერთიანი კომბინიზონი, რომელსაც ჰოლივუდის ფილმებიდანაც ვიცნობთ – და გავყევი მცველს განყოფილებისკენ.

ჩემი პირველი შეცდომა ირონია იყო. მორჩილების ნორმატიულობის იმ სამყაროში ირონიულობა, თუნდაც მის უმანკო ფორმაში, აღიქმება როგორც დამოუკიდებლობის, დანაშაულის გრძნობის ნაკლებობის და, ხშირად, როგორც შეფარული, ან სუბლიმირებული აგრესიის ნიშანი. ეს ის ფენომენებია რომელთა მიმართ ყნოსვის სიმძაფრე კონტროლის აგენტების მოვალეობაა. ეს ჯერ არ ვიცოდი.

ჩემი შეცდომის საფასურს ორ საათში გადავიხდი. თუმცა, შეცდომასა და სასჯელს შორის კავშირის დანახვისთვის გაცილებით მეტი დრო და გამოცდილება დამჭირდება.

TWDC-ში ძირითადად ოცდაათკაციანი განყოფილებებია. მაშინ, ცხადია არ ვიცოდი, რომ ე. წ. „დაცვითი მეურვეობის“ (protective custody) განყოფილება, რომელშიც მომათავსეს, პატიმრებად გადაცემული კორექციული სამსახურების თანამშრომლებისგან იქნებოდა დაკომპლექტებული, რომ რეალური პატიმარი მხოლოდ მე ვიქნებოდი. თხრობის გაიოლებისთვის იმასაც ვიტყვი მოკლედ, რომ შესაძლებელია პირველი ორი-სამი თვის მანძილზე განყოფილებაში მოკლე დროით რამდენიმე სხვა რეალური პატიმარიც იყო. მაგრამ, ახალ მისულისთვის საწყის ეტაპზე ამის შემჩნევა ძნელია, რადგან თავიდან ჯერ კიდევ უცნობია თვითონ ბიჰევიორისტთა ჯგუფის არსებობა. უნცობი იყო მათი მეთოდებიც. მათ მიერ ამ მეთოდების გამოყენება კი ერთადერთი გზაა, რომლის მეშვეობითაც დაადგენთ, რომ თქვენს გარშემო მყოფი

პატიმრები, რომელთაგან ზოგი ახალშემოსულია და მცირე ხნით დარჩება განყოფილებაში, ხოლო ზოგი უკვე იქ დაგვხდათ და თვეების მანძილზე თქვენთან ერთად იქნება, რეალურად ფარული პოლიციის სპეციალური განყოფილების წევრები არიან.

განყოფილებაში შესვლისას რამდენიმე „პატიმარი“ მომესალმა. ერთ-ერთმა მათგანმა, „სერვერმა“ მკითხა რა მერქვა. ქართული სახელის გაგონების შემდეგ მიპასუხა: „იცი, ალბათ ამის გამოთქმას ვერავინ მოახერხებს აქ. წინააღმდეგი ხომ არ იქნები ვიქტორი რომ დაგარქვათ დროებით?“ თანხმობის მიცემისას, რა თქმა უნდა, ჯერ არ ვიცოდი, რომ „ვიქტორის“ დარქმევა დადებითი კონდიციონებისთვის გათვლილი პირველი ფსიქო-ბიჰევიორისტული აქტი იყო. ამას გავაცნობიერებ მხოლოდ დროთაგანმავლობაში – მაგალითად, მაშინ, როდესაც ორ თვეში კიდევ ერთი ვიქტორი შემოვა განყოფილებაში და როდესაც პროგრამის წევრების მასთან საუბრები ხშირად იქნება ჩემთან ირიბი საუბრის ფორმა, რომელსაც ზოგჯერ ფსიქოლოგიაში ვიკარიული (vicarious) კომუნიკაცია ეწოდება; ეს დადასტურდება მაშინაც, როდესაც „ვიქტორი“ (გამარჯვება) როგორც ცნება და მასთან დაკავშირებული სხვა ფრაზები – „he is winning“, მაგალითად – გახდება ჯგუფის მიერ ჩემი სუგესტიური დამუშავების ერთ-ერთი მეთოდი, რომლის გამოყენება ჯგუფმა დაიწყო ჩემი სასამართლო განაჩენის გამოტანამდე ორი თვით ადრე და რომლის მიზანი იყო იმ მცდარი აზრის ჩანერგვა, რომ მომავალ სასამართლოზე მაკმარებდნენ უკვე მოხდელ ვადას – თოთხმეტ თვეს, რომელიც ტორონტოს წინასწარი დაკავების საპატიმროში დაყვავი (იხ. ქვემოთ *პუდელის ინკუბატორი, პარალელური ფუნქციები*).

„სერვერი“ არის პატიმარი, რომელიც ითავსებს საკვების დარიგების და განყოფილების დასუფთავების მოვალეობას და, ამის გამო, აქვს გარკვეული არაფორმალური პრივილეგიები (დამატებითი საკვები, ტელევიზორის არხების არ-

ჩვეის უფლება და სხვა). სერვერმა – ასე ოცდათხუთმეტი წლის ტანადი შავკანიანი, სახელად ჯონსონი – წარმიდგინა ჩემი ორი თანამესაკნე და შემპირდა დამატებითი საბნის შოვნას. სალამოს ექვს საათზე საერთო ოთახებიდან საკნებში შესვლა იწყება. ამ დროისთვის ვახშამი ახალ დასრულებულია და შემდეგი დღის დილის შვიდ საათამდე ვრჩებით საკნებში. საკნების კარებები, რომლებიც სამკუთხა საერთო ოთახის ორი კედლის სიბრტყეზეა განთავსებული, გალიის მაგვარ გისოსებს წარმოადგენს, ისე რომ შესაძლებელია ერთი საკნიდან სხვა საკნის მაცხოვრებელთან საუბარი. საკანს აქვს მცირე, უძრავი ფანჯარა, რომელიც რუხადაა შეღებილი. ეს გაუმჭვირვალე ფანჯრები განასხვავებს TWDC-ის „დაცვითი მეურვეობის“ განყოფილებებს ე. წ. „პოპულაციის“ განყოფილებებისგან. „უფანჯრო“ გარემო, მინიმალური სუფთა ჰაერის სეანსები (დღეში ოცი წუთით კედლებით შემოფარგლულ ეზოში), და ხშირი „ლოკ დაუნები“ – საკანში ოცდაოთხსაათიანი ჩაკეტვა, რომელიც უმეტესწილად რამდენიმე დღე გრძელდება – ხელს უწყობს იზოლაციის, დაუცველობის და შინაგანი ფორიაქის განცდის მატებას, როდესაც იქ თვეების მანძილზე რჩება პატიმარი.

ასე, ათ წუთში განყოფილებაში მცველი შემოვიდა. მოუახლოვდა ჩემს საკანს, გაალო კარი და მანიშნა გავყოლოდი. ჩემს შეკითხვაზე თუ სად მივდიოდით, მან მიპასუხა: „თვითმკვლელობის სამეთვალყურეო საკანში“. ჩემმა თანამესაკნეებმა ორაზროვნად გადახედეს ერთმანეთს. ჯერ არ ვიცოდი რას წარმოადგენდა თვითმკვლელობის სამეთვალყურეო საკანი, მაგრამ ვიცოდი, რომ ამის არავითარი საჭიროება არ მქონდა. როდესაც ჩემი ეს შეხედულება მცველს გავუზიარე, მან შემომხედა და მიპასუხა ირონიულად: „მათ უკეთ იციან“.

თვითმკვლელობის სამეთვალყურეო საკანი სეგრეგაციის განყოფილებაშია. მას არა აქვს ფანჯრები, არ არის სკამი და მაგიდა, ხოლო ქვის საწოლი მიშენებულია კედელზე. საკანს აქვს მეტალის ერთიანი კარი. მისი კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რომ როგორც წესი პატიმარს არა აქვს ციხის

ჩვეულებრივი ტანსაცმლის, შიდა საცვლების და ფეხსაცმლის იქ შეტანის უფლება. ამის ნაცვლად, მას აძლევენ მოკლედ კაბის მაგვარ ორმაგი ტილოს მატერიით შეკერილ უსახელო პერანგს. თუკი გასურთ აერიდოთ ცემენტის ცივი იატაკზე ფეხშიშველ სიარულს, ერთადერთი არჩევანია ცემენტის სანოლზე გადაფარებულ ტილოზე დაჯდომა, ან წამოწოლა.

როდესაც მცველმა ჩემი საკნის კარები ჩარაზა გარედან, ვიგრძენი, რომ ორმაგი ტილოს პერანგი ძალიან პატარა ზომის იყო. მასში სუნთქვა ჭირდა. მცირე მინის საკონტაქტო გასახედიდან, რომელიც კარებზე იყო გამოჭრილი, ვერავინ დავინახე. ცოტა ხანში მცველის ფეხის ხმა მომესმა. შევეხმიანე მას და ვთხოვე პერანგის შეცვლა. გარკვეული ახსნა-განმარტებების შემდეგ, მისგან თანხმობა მივიღე.

წიგნის, ან სხვა საკითხავის გარეშე დრო საკმაოდ შენელდა. მბჟუტავი სინათლე კიდევ უფრო ამძაფრებდა შენელებული დროის და დავინროებული სივრცის განცდას.

ძილის შესაძლებლობა დროის დამოკლების იმედია. პროგრამის მესვეურებმა ეს კარგად იციან. ასე, ღამის თერთმეტ საათზე, ქვის სანოლზე ოთხი საათის განმავლობაში ჯდომის, წოლის, სიარულის და იოგას ვარჯიშის შემდეგ, დაძინება დავაპირე. სწორედ ამ დროს გვერდით მდებარე ოთახიდან შემომესმა როკ-მუსიკის ხმა. როგორც მერე დავადგინე, ოთახი მეთვალყურე მცველებს ეკუთვნოდა. იზოლატორის საკნებში არ არის ტელევიზორი და რადიო, ან რაიმე სხვა საშუალება, რომელიც მუსიკის წყარო იქნებოდა.

ძილის მოლოდინი თანდათან გადაიქცა მუსიკის დასასრულის მოლოდინად. ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც გავაცნობიერე, რომ ეს მოლოდინი უაზრობა იყო. თუმცა, ამის გაცნობიერება ვერ დამეხმარა თავი დამეღწია დიფუზიური ბგერების ნაკადისგან. ჩემი ვარაუდით, ჩაძინება შეეძელი დაახლოებით ძილის ხუთ საათზე, როდესაც მუსიკის ხმამ ოდნავ იკლო, ხოლო ღამის წრიალით დაქანცული სხეული მორჩილად შეეგუა ბგერების თერაპიას.

თვითმკვლელობის სამეთვალყურეო საკანში ორი დღე

დავყავი. შემდეგ, დავბრუნდი განყოფილებაში და ნელ-ნელა გავიცანი თანამესაკნეები და სხვები.

პირველი ორი თვის თავისებურება TWDC-ში იყო ის, რაც შეიძლება აღინეროს როგორც „დუმილის ნესრიგი“. რამდენიმე სერვერი გამუდმებით იცავდა სიჩუმეს დღის განმავლობაში. ექვსი საათის შემდეგ საკანში ლაპარაკი თითქმის შეუძლებელი იყო. დილის რვა საათიდან საღამოს ექვსამდე საერთო ოთახში მოთავსებული ტელევიზორი ძირითადად მუსიკის არხზე იყო ჩართული – რეპი და სხვა პოპი – რომლის დაუკითხავად გადართვა აკრძალული იყო.

როგორც მოგვიანებით გავაცნობიერე, დუმილის და ნესრიგის რეჟიმი მხოლოდ კონტრასტული ცვლილების შესავალი იყო. 2011 წლის იანვრის ერთ დღეს მცველებმა გვითხრეს, რომ ჩვენსა და მოპირდაპირე განყოფილებას უნდა „გაეცვალა“ ერთმანეთისთვის რამდენიმე პატიმარი. დიეტურებს იქით გადაიყვანდნენ, ხოლო არადიეტურებს – აქეთ. ამ მცირე რეფორმას მოჰყვა რეჟიმის სრული ცვლილება. გადმოიყვანეს რამოდენიმე პატიმარი, რომელთა უმრავლესობა ფიზიკურად გაცილებით შთამბეჭდავი და ათლეტური აღნაგობის იყო. განყოფილება სულ მალე იქცა ხმაურის ლაბორატორიად. სერვერი, რომლის მთავარი მოვალეობა ადრე სიჩუმის დაცვა იყო, მორჩილად გაუჩინარდა ასპარეზიდან და გზა დაუთმო ახალგადმოსულების მეთოდური ქაოსის და ხმაურის რეჟიმს. ხმამალალი შეძახილები, მაგიდაზე ექსცენტრული შეხტომები, პერიოდული გუნდაობა დახვეული ტუალეტის ქალაღით და სხვა ინფანტილურ-ეიფორიული ქმედებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ეს ცვლილება მაშინაც უცნაურად გამოიყურებოდა, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცოდი იმ პროგრამაში კონტრასტული ვითარებების ხელოვნური წარმოების ფუნქციური მნიშვნელობა. როგორც უილიამ სარგანტი შენიშნავს, პოზიტიური და ნეგატიური სიგნალების როტაცია ერთ-ერთი მეთოდია, რითაც უნდა მიიღწიოს პიროვნების უკვე არსებული

ჩვევების ნაშლა და ახლების ჩანერგვა.⁴ ერთი დაზუსტება შეიძლებოდა. რამდენადაც აქ სარგანტი ლაპარაკობს სამიზნე სუბიექტის „დაუძღურების“, ან „ფსიქოლოგიური ძალის გამოცლის“ ფაზაზე, რომელიც სუგესტიურობის ზრდის შესამზადებელი ეტაპია, ტერმინები „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ შეიძლებოდა ჩაგვენაცვლებინა ტერმინით „კონტრასტული“. სამიზნე სუბიექტის ფსიქოლოგიური ძალის გამოცლის მისაღწევად არსებითია, რომ მან ვერ მოახერხოს მოცემულ გარემოსთან ადაპტაცია. ესაა კონტრასტული სიგნალების ან ფაზების როტაციის ფუნქცია.

ასეთი კონტრასტული ფაზების მონაცვლეობის ნიმუშად ერთი შემთხვევა გამოდგებოდა, რომელიც დროში ცოტა ნინ უსწრებს მოთხრობის ქრონოლოგიურ დინებას. 2011 წლის გაზაფხულის ერთ დღეს, როდესაც უკვე იმავე ციხის სხვა, ანალოგიურ, განყოფილებაში ვიყავი, სადაც ხმაურის პროცედურები დაწყებული იყო, რამდენიმე „პატიმრის“ ინიციატივით, გაიმართა კრება. ოთხმა წამყვანმა პატიმარმა ცალ-ცალკე წარმოთქვა სიტყვა იმის შესახებ, თუ რატომ იყო საჭირო ჩვენს განყოფილებაში სრული სიჩუმის ნორმის აღდგენა. დაადგინეს ახალი ქცევის წესები. ტელევიზორის ბგერა დაიყვანეს მინიმუმზე. ჩურჩულით ლაპარაკი თითქმის ნორმის დარღვევის ტოლფასი იყო. პატიმრების უმეტესობა საერთოდ დუმდა. კრების ინიციატორები მოჩურჩულეებს გამაფრთხილებელი გადახედვით ახსენებდნენ თავს.

სამარისებური სიჩუმე კრების დასრულებიდან (დილის 9 საათი) ლანჩამდე გაგრძელდა. ლანჩის დასრულებისთანავე კრების ინიციატორებმა სრულიად მოულოდნელად თვითონ დაარღვიეს სიჩუმე. მათ მყისვე აჰყვნენ დანარჩენებიც. ხმა-მაღალი საუბრები და ეიფორიული შეძახილები თანდათან გადაიზარდა სრული ხმაურის და ქაოსის წარმოდგენაში. განყოფილება შეშლილთა სახლს დაემსგავსა.

ხმაურის ამ ფაზამ ერთი ან ორი საათი გასტანა. საღამოს

⁴ http://en.wikipedia.org/wiki/William_Sargant

ნ საათის შემდეგ, როდესაც საერთო ოთახიდან საკუთარ საკნებში დავბრუნდით, კრების წამყვანებმა კვლავ წამოიწყეს იმ საკითხის საჯარო განხილვა, თუ რატომ მოხდა, რომ სიჩუმის წესრიგი გადაიზარდა ხმაურის უწესრიგობაში. გისოსების მილმიდან წარმოთქმულ ოცნუთიან სიტყვას ჩანართის სახით დაერთო გამომსვლელების აბსურდული გადახვევები დაუკავშირებელ თემებზე, კონტექსტთან სრულიად შეუსაბამო წამიერი სიცილ-ხარხარი და სხვა. დილის და საღამოს ამ კრებების და მათი შუალედური ორგანიზებული ქაოსის წარმოდგენების ერთი არსებითი თავისებურება შემსრულებელთა სახისმეტყველების და სხეულის ენის ფონი იყო. ამ მხარის გადმოცემა გაცილებით რთული იქნებოდა. აქტორთა სახის ექსპრესიის და მათი ვერბალური მეტყველების მნიშვნელობების ურთიერთ შეუსაბამობა ერთი ასპექტია, რომელიც თვალშისაცემი იყო. ასევე იყო კოლექტიური მიმიკური სინქრონიზმი, როდესაც სხვადასხვა პატიმარი სახის ერთსა და იმავე გამომეტყველებას ორგანიზებულად აწარმოებდა.

ამგვარი სიურეალისტური წარმოდგენების კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რომ მათი წმიდა რეპროდუქცია – მომდევნო დღეებში წარმოდგენის ყველა ფაზის და ელემენტის მრავალჯერადი გამეორება – მათი ფანტასტიურობის და უცნაურობის ეფექტს კიდევ უფრო ამძაფრებს. ხმაურის შესახებ ეს კრება მომდევნო დღეების და კვირების მანძილზე გამეორდება სიზმრისეული მონოტონურობის და მოუცილებადობის განცდით, რომელსაც ის რეალურ პატიმარში დატოვებს.

კრების მაგალითი კოლექტიური ირაციონალური დადგმების ნიმუშად გამოდგება. ინდივიდუალური აბსურდის წარმოდგენებს ქვემოთ კიდევ მრავალჯერ შევხვდებით. აქ ზოგადად უნდა შეინიშნოს, რომ ინდივიდუალური და ჯგუფური ირაციონალობის წარმოდგენებს მოცემულ პროგრამაში სამიზნე პიროვნების „მოთელვის“, მისი რეფლექსურ-კრიტიკული ინტელექტის შერბილების და ფსიქოლოგიური დეზორიენტაციის ფუნქცია აქვს, რაც თავის მხრივ, სუგესტიურობის მატების პირობაა. ფსიქოლოგიური ზეწოლის უფრო

პირდაპირი მეთოდების და ფარმაკოლოგიურ-ფიზიოლოგიური ჩარევების გვერდით, ირაციონალობის ეს ინექციები პიროვნების დეზორიენტირების უფრო ფაქიზ სახეობას წარმოადგენენ. ეს წარმოდგენები თანმიმდევრულად ახორციელებენ იმ მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებსაც, მაგალითად, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ფსიქოლოგიური ზენოლის ერთ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, სადაც „ნონსენსური“ კომუნიკაცია ერთ-ერთი არსებითი პუნქტია.⁵

დავუბრუნდები 2011 წლის იანვარს, როდესაც ჩვენს განყოფილებაში რამდენიმე ახალი პატიმარი გადმოვიდა. ერთ-ერთი მათგანი, წარმოშობით პორტუგალიელი კანადელი, სახელად სტივი, განყოფილებაში ყველაზე უფრო ათლექტური აღნაგობის პატიმარი იყო. მისი ჩემთან ურთიერთობა საკმაოდ დადებითი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი იმ პერიოდში გამეფებული უნესრიგობის რეჟიმის წამყვანი აქტივისტი იყო, მისი უშუალო და გარკვეული ინფანტილური ეიფორიულობა დადებით მუხტს ატარებდა.

ერთ დღეს იგი მომიახლოვდა და მითხრა, რომ განყოფილებაში, რომლიდანაც ცოტა ადრე თვითონ გადმოვიდა, ერთი „კარგი რუსი ბიჭი“ იყო. როგორც შევიტყვე, რუსმა არ იცოდა ინგლისური. „იქნება აქეთ გადმოგვეყვანა. შენ მაინც დაელაპარაკები...“ მკითხა მან. იმაში კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ რიგითი ამერიკელის და კანადელისთვის ძნელი გასაგებია, რომ ქართველი არ არის რუსი. სტივი არ იყო რიგითი კანადელი – იგი მხოლოდ ასრულებდა ამ როლს. მეც დავიცავი მისი როლის აღიარებისთვის საჭირო ეტიკეტი და ავუხსენი მას ეს განსხვავება. ამის შემდეგ ვუთხარი, რომ ეცადა რუსის გადმოყვანა და რომ მე დავეხმარებოდი მის ნაცნობს ინგლისურის სწავლაში.

⁵ Alfred W. McCoy, *Cruel Science: CIA Torture and U.S. Foreign Policy*, <http://scholarworks.umb.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1148&context=nejpp> გვ. 233.

მოგვიანებით გაირკვა, რომ „რუსი ბიჭი“ უკრაინელი იყო. ერთ დღეში უკრაინელი ჩვენს განყოფილებაში გადმოიყვანეს. ეს იყო დაახლოებით ორმოცი წლის ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა მამაკაცი. როგორც მან მითხრა გაცნობისას, კანადაში იგი თერთმეტი წლის წინ ჩამსულიყო. თუმცა, ინგლისური ჯერ კიდევ არ ჰქონდა ათვისებული. ახსენა მისი სურვილი ესწავლა ენა. მეორე დღეს რუსული სიტყვების და ფრაზების სიაც მომცა სათარგმნად. მისი გადმოსვლიდან მესამე, თუ მეოთხე დღეს, მან უკვე მკითხა ვიქნებოდი თუ არა წინააღმდეგი იგი ჩემს საკანში რომ გადმოსულიყო. „ინგლისურში მეცადინეობა უნდა დავიწყო. სალამოობით იქნებ შენც მომეხმარო ...დავილაპარაკებო...“ ბუნებრივია, არ ვუთხარი უარი. მეორე დღეს იგი ჩემს საკანში იყო (ჩემს ერთ თანამესაკნეს გაუცვალა საკანი).

მისი საკანში შემოსვლის დღიდან უკრაინელის ქცევა საგრძნობლად შეიცვალა. ინგლისურის მეცადინეობა არც გახსენებია. ამასთანავე, მან აშკარად შეწყვიტა ჩემთან საუბარი და ყოველ საღამოს ექვსი საათის შემდეგ დაძინებამდე მდუმარედ ათვალიერებდა „ფლეიბოი“ ჟურნალებს, რომლებიც მან მოიტანა. როდესაც სამეცადინოდ რამდენიმე ინგლისური წიგნი შევთავაზე, რომლებიც მოძრავი ბიბლიოთეკიდან მქონდა აღებული, მისი ცივი პასუხი ის იყო, რომ „ასეთ წიგნებს“ არ კითხულობდა (მახსოვს, მქონდა უილიამ ჯეიმსის „რელიგიური გამოცდილებების მრავალგვარობა“, წმინდა ავგუსტინეს „აღსარება“ და ჩემთვის უცნობი ავტორის „შუა საუკუნეების ისტორია“). მის უცნაურ ქცევას დაემთხვა სამ დღიანი „ლოკ დაუნი“. სამი დღის მანძილზე ჩაგვკეტეს საკუთარ საკნებში და არ გვექონდა შხაპის მიღების, ტელეფონის გამოყენების და ეზოში გასვლის შესაძლებლობა. გაურკვეველი მიზეზით, საკნებში სინათლეც ჩაქრა ორი დღით ისე, რომ წიგნის კითხვას მხოლოდ ცოტა ხნით ვახერხებდი – ტუალეტზე ჩამომჯდარი, სადაც მკრთალი სინათლე საერთო ოთახიდან შემოდიოდა.

ორშაბათ დილით დასრულდა ჩაკეტვა. როგორც წესი,

„ლოკ დაუნის“ შემდეგ გვექონდა „შიშველი ჩხრეკვა“, როდესაც მცველებს სათითაოდ შეჰყავთ აბაზანაში პატიმრები და ხდება მათი გაშიშვლებული სხეულის „დათვალიერება“. იჩხრიკება საკნებიც. ხშირად, ასეთი ჩხრეკვის შემდეგ საკანი ქაოსურ მდგომარეობაშია: იატაკზე დაყრილი საგნები, მიმოხეული ნიგნები, ამოტრიალებული საძილე ლეიბი და სხვა.

როდესაც იმ დილის ჩხრეკვა დასრულდა და, საუზმის მოლოდინში, დავბრუნდით საკნებში, მოხდა შემდეგი. უკრაინელმა მოულოდნელად დაარღვია რამდენიმე დღის დუმილი. გალიზიანებულმა მოისროლა საკუთარი ჟურნალი და საყვედურით მომმართა. მისი მტკიცებით, მე გადმოვიყვანე იგი ჩემს საკანში და მას მერე აღარ ვესაუბრები; ასევე, დაკავებული ვარ ჩემი ნიგნებით; რომ მე მჭირდება „თვალსანიერის გაფართოება“ და „ცოტა მეტი რამით დაინტერესება ცხოვრებაში“; მისაყვედურა, რომ მის ჟურნალებს არ ვკითხულობდი, საიდანაც იგი ასკვნიდა, რომ „თავზე დიდი წარმოდგენა“ მქონდა და სხვა. მის აგრესიულ ქადაგებას ვუსმინე დაახლოებით ორი წუთი, რაც საკმაოზე მეტია სამდღიანი უსინათლო „ლოკ დაუნის“ ახალ გამოვლილისთვის.

უკრაინელის ამ გამოსვლის ფონი სამარისებული სიჩუმე იყო, რომელიც განყოფილებაში სუფევდა. ეს, როგორც მერე გავაცნობიერე, საკმაოდ კარგად გათვლილი ფსიქოლოგიური ნიუანსი იყო, რადგანაც იმ კონფლიქტურ სიტუაციაში ჩემთვის ნათელი იყო, რომ უკრაინელის აგრესიული ხმა ყველას ესმოდა. ბიჰვეიორისტის და ფსიქოლოგიური პროფაილერისთვის ადვილი მისახვედრი იყო, რომ მონმეების წინაშე ჩემი გაკიცხვის ეს ფაქტი, რომელიც უკრაინელის ტონიდანაც კარგად ჩანდა, ჩემს თავმოყვარეობაზე იმოქმედებდა და ამდენად პროვოკაციის წარმატების ალბათობა უფრო მაღალი იქნებოდა. ერთი ანალოგიური დეტალი ისიც იყო, რომ იმ დღეს სტივი „სასამართლოში წავიდა“ დილის ექვს საათზე. მისი არყოფნა ნიშნავდა ჩემი მორიდების და უხერხულობის მთავარი წყაროს არ არსებობას (იგი კარგ დამოკიდებულებაში იყო როგორც ჩემთან, ისე უკრაინელთან).

სამდღიანი „ლოკ დაუნით“ გამოწვეული სტრესი, დილის „შიშველი ჩხრეკვით“ შელახული ღირსების გრძნობა და პროფესიონალი პროვოკატორის მიერ კარგად შესრულებული ისტერიული გამოხტომა, რომელიც ჩემი ტემპერამენტის და ხასიათის თავისებურებების ნიუანსური ცოდნით იყო მომზადებული, საკმარისი აღმოჩნდა მიზნის მისაღწევად. როდესაც უკრაინელის ისტერიული მეტყველება კულმინაციურ ფაზაში შევიდა და ჩემმა თხოვნამ დაესრულებინა გამოსვლა არ გაჭრა, წამიერად მიღალატა თავშეკავების უნარმა. „Johnson, take this garbage from here! He is dumb.“ ამ ქარბად აგრესიულმა და პირდაპირმა მოთხოვნამ, რომელიც სწრაფად დასცდა ჩემს დაძაბულ ბაგეებს, სრული ხმით გაიჟღერა განყოფილებაში. ძირითად ოთახში მყოფ სერვერს არაფერი უთქვამს ჩემს მოულოდნელ მიმართვაზე. მაგრამ, მისი თავის მორჩილი მოძრაობა, რომელმაც მითხრა, რომ იგი მზად იყო დაეკმაყოფილებინა ჩემი სპეციფიური მოთხოვნა, იმაშიც დამეხმარა, რომ დამბრუნებოდა თვითფლობის მდგომარეობა.

საინტერესოა ის, თუ რა იყო თვითონ უკრაინელის რეაქცია. გაცილებით ადვილი წარმოსადგენია ის, თუ რა იქნებოდა მავანის რეაქცია რეალურ ციხეში, როდესაც მას მთელი განყოფილების პატიმრების წინაშე აღწერდნენ აღნიშნულ ტერმინებში. ფიზიკურად საკმაოდ შთამბეჭდავი რეალური პატიმრის მოვალეობა, ისევე როგორც მისი პრაგმატული საჭიროება, თითქმის აუცილებლობით განაპირობებდა კონფრონტაციას. ამ შესაძლებლობის გააზრებაში ყველაზე უფრო მინიმალისტური წარმოსახვის დროსაც კი უნდა დაგუშვათ საკმაოდ ძლიერი სიტყვიერი დაპირისპირების ალბათობა. თუმცა, გაცილებით უფრო რეალისტურად გამოიყურება ფიზიკური ბრძოლა.

მაგრამ, იმ სპეციალიზირებულ განყოფილებაში მოხდა შემდეგი. როგორც კი უკრაინელმა გააცნობიერა ჩემი სიტყვების არსი, მან მყისიერად შეაჩერა საკუთარი ისტერიული წარმოდგენა, უმოძრაოდ შეჩერდა ერთ ადგილზე, დააშტერდა მის წინ მოცემული სივრცის მცირე ნაკვეთს და ჩაილაპარაკა თა-

ვისთვის: „Нечего себе, я garbage... я garbage!..“ ამ რუსულ-ინგლისურის შემდეგ, რომელიც მან შემრიგებლური და საკმაოდ მშვიდი ტონით წარმოთქვა, იგი დაჯდა სკამზე და დადუმდა.

დაახლოებით ნახევარ საათში მოვიდა მორიგე მცველი და იმის ნაცვლად, რომ გადაეყვანათ უკრაინელი, რომელიც განყოფილებაში ერთი კვირის წინ შემოვიდა, ხოლო ჩემს საკანში – სამი დღით ადრე, გადამიყვანეს მე.

უნდა შევნიშნო, რომ პროვოკაციაზე ჩემი ასეთი წამოგება რეალურად გამონაკლისს წარმოადგენდა. პირველი თვეების შემდეგ ანალოგიურ ვითარებაში ჩემი რეაქციები უფრო მოქნილი და ელასტიური იყო. მაგრამ, უნდა ითქვას ისიც, რომ ეს არ იყო განპირობებული მხოლოდ ე. წ. კონფლიქტის გადანყვეტის ჩვევის გამომუშავებით. ჩემი მდგომარეობა ანალოგიურ სიტუაციებში უფრო მართებულად შეიძლება აღწერილიყო როგორც „დასწავლული უმწეობა“ – ცნება, რომელიც აღწერს იმ ვითარებას, როდესაც ალტერნატიული გზების მოსინჯვის უნაყოფობის და სასურველი შედეგის არაკონტროლირებადობის გამოცდილების შემდეგ მან უვითარდება „უმოქმედობის“ ტენდენცია.

ანალოგიური პროვოკაციული პროცედურების მიზანი მოცემულ პროგრამაში შეიძლება იყოს პიროვნების „აფექტურობის“, „აგრესიის“, „მორჩილების“, ან სტრესულ სიტუაციაში მოქმედების უნარის შემოწმება, და ასევე, მისი ნებელობის გატეხვა და ფსიქოლოგიური მოქანცვა. ასეთ ტესტებში უმეტესწილად გამოიყენება როგორც ცოცხალი პროვოკატორები, ისე შესაბამისი ფარმაკოლოგიური სტიმულატორები. სტიმულატორების გამოყენება განსაკუთრებით აშკარა გახდა მოგვიანებით (2011 წლის მაისის შემდეგ), როდესაც ე. წ. „პლი ბარგინზე“ დავთანხმდი და სასამართლოზე ბრალდებები ვაღიარე (ამ აღიარებების მისაღებად ჩემზე პროგრამის ჯგუფის ზენოლის შესახებ იხილეთ ქვემოთ პარალელური ფუნქციები).

ზემოთ მოტანილი მაგალითიდან ჩანს ასეთი ტესტების სტრუქტურა, მაგრამ აქ მოკლედ მაინც დავაფიქსირებ მათ

ზოგად სქემას. ტესტს, როგორც წესი, აქვს მოსამზადებელი და კულმინაციური ფაზები. ტესტის მომზადების ფაზა, როგორც წესი, რამდენიმე დღით ადრე, ან წინა ღამით იწყება, როდესაც თანამოსაკნე კონფედერატი ძილს წაართმევს დასაკვირვებელ სუბიექტს. დილით, ძილგატეხილს, საუზმეში ფარულად ჩაუდებენ წამალს, რომლის ფუნქცია აგზნებადობის სტიმულირებაა. ტესტის ოფტიმიზირებისათვის შესაძლებელია კიდევ რამდენიმე „ცოცხალი სტიმულატორი“. ეს შეიძლება იყოს რომელიმე კონფედერატის „უზრდელი“ ქცევა, ან მის მიერ უწყვეტი და დემონსტრაციული პირის წკლაპუნის სამიზნე პირის გვერდით, ან სხვა. ამ დამატებითი გამაღიზიანებლების შემდეგ, როდესაც წამლის ქმედითობა თავის მაქსიმუმს აღწევს, დაიწყება ტესტის ძირითადი ფაზა (უშუალო პროვოკაცია).

ასეთი ტესტების ფუნდამენტური თავისებურება ისაა, რომ ისინი ხორციელდება „ცოცხალი რეალობის“, *in vivo* გრძელვადიან კონტექსტში. მოკლევადიანი ბიჰევიორულ-ფსიქოლოგიური ტესტებისგან განსხვავებით, რომლებიც რამდენიმე დღე, ან კვირა შეიძლება გაგრძელდეს, ასეთი გრძელვადიანი გარემო ბიჰევიორული კვლევის თანამშრომლებს (კონფედერატებს) აძლევს მათი როლების სტაბილიზაციის და, ასევე, როლების დინამიური განვითარების შესაძლებლობას.

უკრაინელთან ინციდენტი, როგორც ვთქვი, იმით დასრულდა, რომ მე გადამიყვანეს TWDC-ის დ-6 განყოფილებაში, რომელიც ზემოთ გაკვრით ვახსენე. იმ განყოფილებაში ცოტა ხანი დავყავი, რის შემდეგაც მომათავსეს ისევ პირველ სართულზე, ბ-2 განყოფილებაში, სადაც 2011 წლის ბოლომდე დავრჩი, როდესაც ოცდაათ დეკემბერს, განაჩენის გამოტანის შემდეგ, გადამიყვანეს კანადის ფედერალურ ციხეში.

სანამ თხრობის ქრონოლოგიას მივყვები, მოკლედ აღვწერ იმ შემთხვევას, როდესაც პირველად დავადგინე, რომ პიროვნების თანხმობის მიღების გარეშე მის საკვებში წამლების ჩადება ნორმა იყო კანადის მოცემულ ციხეში.

ქიმიური დარწმუნება და იმპულსითი ფარმაკოლოგია

როდესაც ოლდოს ჰაკსლი ცდილობს ახსნას თუ რატომ იქნება „ქიმიური დარწმუნება“ მომავლის სოციალური კონტროლის ერთ-ერთი ტიპიური მეთოდი, მას ძირითადად პოზიტიური „გამაძლიერებლები“ (inhancers) და „საოცარი ახალი სამყაროს“ ბედნიერების აბი – „სომა“ – აქვს მხედველობაში.⁶ აშკარაა, ჰაკსლის შემდეგ ბედნიერების ნევრო-ფიზიოლოგია კიდევ უფრო განვითარდა. მაგრამ, „ქიმიური დარწმუნების“ პრაქტიკის ერთი თავისებურება ისაა, რომ ზოგ შემთხვევაში ბედნიერების კონდიცირება არ ნიშნავს აუცილებლად ბედნიერების აბების მოხმარებას. „დეპრესანტები“, „უბედურების“ განცდის სტიმულატორები და შიშის და ძრწოლის ფარმაკოლოგია შესაძლოა ასევე აუცილებელი კომპონენტი იყოს ბედნიერების სოციო-ინჟინერიისთვის.

ამ დებულებებიდან შეიძლება უკვე დაენახა მკითხველს ის, რომ ჩემი ციხის გამოცდილება და იმ პროგრამის ფიზიოფარმაკოლოგიური ნაწილი უნდა მოიცავდეს პოლუსური განწყობების ქიმიური წარმოების ამბავს. ამ შესაძლებლობის გააზრებას გააიოლებდა ასევე სარგანტის ის მტკიცებაც, რომ პიროვნების მოქცევისათვის – მისი ახალი მსოფლმხედველობრივი კოდირებისთვის – ორი საუკეთესო ემოცია ძრწოლვა (ტერორი) და ბრაზია.⁷

* * * * *

2010 წლის დეკემბრის ერთ დღეს სასამართლოში ჩემს ადვოკატს კალვინ ბერის უნდა შევხვედროდი. ვაპირებდი მომავალი სასამართლო პროცესის შესახებ გარკვეული დეტალების დადგენას. სანამ მას შევხვდი, სასამართლოს მო-

⁶ <http://www.huxley.net/bnw-revisited/>

⁷ <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2069681/pdf/brmedj03506-0003.pdf>

საცდელ საკანში, რომელიც სარდაფში მდებარეობს, თავი საკმაოდ შეუძლოდ ვიგრძენი. სიმძიმის შეგრძნება, დაქვეითებული რეაქციები და „უტყვი გამოხედვა“ აშკარად მიანიშნებდა, რომ არ ვიყავი კარგად. როდესაც კალვინ ბერი ადვოკატის ჯიხურში შემოვიდა, სადაც მას ჩემთვის მანამდე უცნობი ქალი ახლდა, ვიგრძენი, რომ სიმძიმის შეგრძნებამ კიდევ უფრო იმატა. ადვოკატის გამოხედვა საკმაოდ უცნაური მეჩვენა. მისმა თვითდარწმუნების და ფამილიარულობის იერმა ეჭვი გამიჩინა, რომ მან იცოდა ჩემი მდგომარეობის შესახებ და რომ ეს ასევე ცნობილი იყო მისი თანმხლები ქალისთვის, რომელიც როგორც მან განმიმარტა მოგვიანებით, მისი ახალი თანაშემწე იყო. ჩემს კითხვას თუ როდის ვაპირებდით სასამართლოზე გასვლას – მაშინ ჯერ კიდევ მჯეროდა, რომ სასამართლო პროცესის მთავარი ფაზა შედგებოდა – ბერიმ არ გასცა პასუხი. ამის ნაცვლად, მან გააგრძელა ფამილიარული, ნახევრად ხუმრობით საუბარი სხვა უმნიშვნელო დეტალებზე.

რამდენიმე წუთში დავცილდით ერთმანეთს ისე, რომ არ მიმიღია კითხვაზე პასუხი მისგან. გზაში ნელ-ნელა გავაცნობიერე იმის უცნაურობა, რომ ადვოკატის ასეთ აშკარა უგულისყურობაზე მე არავითარი გარეგანი რეაქცია არ მქონდა და რომ მის უადგილო ხუმრობებს ბოლომდე მოვუსმინე – პროტესტის გრძნობის გარეშე.

მოკლედ, ეს დეტალები და ბერის საეჭვო სახისმეტყველება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დავფიქრებულიყავი იმ დილით ჩემი არაბუნებრივი მდგომარეობის მიზეზებზე.

გზაში ისიც აღვადგინე, რომ რამდენიმე დღით ადრე ასევე ვიგრძენი თავი არბუნებრივად შეუძლოდ, რაც ასევე ცოტა ხანს გაგრძელდა. მეორე დღეს, როდესაც საუზმის რიგში ჩავდექი, გადავწყვიტე დავკვირვებოდი იმას, თუ რა განსხვავება იყო ჩემსა და სხვის საუზმის ყუთებს შორის, რომლებსაც, როგორც წესი, სერვერები არიგებდნენ. შევნიშნე, რომ ერთმანეთის თავზე დალაგებული საუზმის ყუთებიდან ცალკე იდგა ერთი თუ ორი ყუთი, რომელიც არავისთვის მიუციათ სერვე-

რებს. როდესაც ჩემი რიგი მოვიდა, სწორედ მე გადმომცეს ის განცალკევებით მყოფი ყუთი. სერვერმა ეს გააკეთა „ვითომ არაფერი მომხდარა“ აქცენტირებული გამომეტყველებით. ამ გარემოებითი ვითარებიდან უკვე შეიძლებოდა ეჭვის გარკვეული მიმართულებით გაძლიერება. თუმცა, მთავარი ტესტი, რომლის ჩატარებას ვაპირებდი, წინ იყო.

საუზმის შემდეგ აშკარა იყო, რომ სიმძიმის უკვე ნაცნობი შეგრძნება ისევ დამეუფლა და გაგრძელდა ერთი ან ორი საათი. ლანჩის დრო რომ მოვიდა, დავაყენე შემდეგი ცდა. რიგის მოსვლისას სერვერმა ისევ ცალკე მდგარი საკვების ყუთი მომცა. როგორც კი სერვერების მაგიდას დავცილდი, მივუახლოვდი ერთ-ერთი „პატიმრის“ მაგიდას, რომელმაც საკუთარი საკვების ყუთი წუთიერად დატოვა და ტუალეტისკენ წავიდა. დემონსტრაციულად გადავდგი კიდეც რამდენიმე ნაბიჯი მაგიდისკენ და ისე გადავიხარე, თითქოს ვაპირებდი სხვისი საკვები ყუთის ჩემი საკვების ყუთით ჩანაცვლებას.

როგორც კი ეს მოძრაობა გავაკეთე, ერთ-ერთმა სერვერმა, რომელიც ასე სამი მეტრით იყო დაცილებული ჩემგან, მყისიერად გამოიხედა ჩემსკენ და გაკვირვებული გამომეტყველებით დააპირა რალაცის თქმა. მის გვერდით მდგომმა მეორე სერვერმა როგორც ჩანს სწრაფად გააცნობიერა, რომ მისი კოლეგის მიერ ჩემთვის შენიშვნის მოცემა აღიარების ტოლფასი იქნებოდა – იმის აღიარების, რომ მათ იცოდნენ ჩემს საკვებში ჩადებული წამლის შესახებ. მან უცებ შეაჩერა მეორე სერვერი საკმაოდ მეტყველი ჟესტით. მე აღარ შევცვალე საკვები ყუთი, მაგრამ დავკმაყოფილდი იმით, რომ ტესტმა იმუშავა. „სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფ!“ („do your time!“) რეალური ციხის „ეთიკის“ ერთ-ერთი პრინციპია. სერვერის ჩარევა „ჩემს საქმეში“ მისი საკუთარი ფასადური პროფილის დარღვევის და რეალური ვინაობის გამხელის ტოლფასი იქნებოდა.

დროთა ვითარებაში ჩემი ამ „გამოძიების“ შედეგად მიღებული დასკვნები კიდეც უფრო გამყარდა. აქ არ ღირს იმ დეტალების აღწერა, თუ როგორ მოხდა ეს. თუმცა არსებითია

იმის მტკიცება, რომ აირის (გაზის) მდგომარეობაში არსებული გარკვეული ქიმიური საშუალებების გამოყენება ასევე ხშირი იყო. ეს განსაკუთრებით ეხება სპონტანურად აღმოცენებულ ვითარებაში ჩატარებულ ტესტირებებს. ცალკე ღირს იმაზე მსჯელობა, თუ როგორ გამოიყენება უფრო კომპლექსური, „თემატური“ სიტუაციების კონდიციონებაზე გათვლილი „ბედნიერების“ წამალი, რომლიდანაც გამოირჩეოდა „ამაღლებულის“ გამომწვევი ქიმიური საშუალება და, ასევე, „გახსნილობის“ განწყობის სტიმულიატორი (იხ. ქვემოთ, თავი „ეკლესია“). გასაგებია, რომ მსჯელობა კონკრეტულ პრეპარატებზე მიხვედრებს და საკუთარი მდგომარეობების გრძელვადიან ანალიზს ემყარება და ამდენად პრეპარატების დასახელებას უფრო შინაგანი გამოცდილების აღწერის ფუნქცია აქვს. ჩემი გარკვეული განწყობითი მდგომარეობის და თანმხლები გარე ხდომილობების ანალიზიდან ჩემთვის დღესაც აშკარაა, რომ რამდენჯერმე გამოიყენეს ბენზედრინის გვარის წამალი, რომელსაც სარგანტმა მთელი სტატია მიუძღვნა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოცდაათიანებში.⁸ ამავე საფუძველზე შემოიძლია დავასკვნა, რომ იყო ე. წ. „ჭეშმარიტების შრატის“ (Truth Serum) გამოყენების შემთხვევები, რომელიც იხმარება არა მხოლოდ გამოძიების პროცესში დასაკითხის „გამოსატეხად“, არამედ, მაგალითად, უსაფრთხოების სამსახურებში პოტენციური თანამშრომლის ფსიქოლოგიური მახასიათებლების კვლევა-ანალიზისთვის.

ის ფაქტი, რომ ვიცოდი ქიმიური პრეპარატების ჩემზე გამოყენების შესახებ და რომ ამასთანავე მქონდა ამ არაკანონიერი პრაქტიკის გასაჯაროების ტენდენცია, იქცა პროგრამის მენეჯმენტის საკმაოდ სერიოზული ზრუნვის საგანი. აქ აღვწერ მხოლოდ ერთ შემთხვევას, რომელიც უჩვენებს მენეჯმენტის ამ საკითხთან დაკავშირებული ზრუნვის ჩემთვის კომუნიკაციის სტილს და ფორმას.

2011 წლის გაზაფხულის ერთ დღეს, როდესაც უკვე

⁸ <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2088790/>

TWDC-ს ბ-2 განყოფილებაში ვიყავი, გამომიძახეს სამეთვალყურეო ჯიხურის ოფიცრებმა. მცველმა მიმაცხილა განყოფილების გვერდით მდებარე პატარა ოთახში, სადაც დამხვდა ორი მამაკაცი – დაახლოებით ორმოცდათხუთმეტი-სამოცი წლის იქნებოდნენ. მათ წარმოადგინეს თავი და ამიხსნეს, რომ სრულიად შემთხვევით ამოიკითხეს ჩემი სახელი პატიმართა სიაში და რომ ისინი როგორც ტორონტოს ერთ-ერთი ეკლესიის მოხალისეები მოხარული იქნებოდნენ თუკი მე მათ სულიერ დახმარებას მივიღებდი. ჩემი პასუხი, ბუნებრივია, ის იყო, რომ არაფერი მქონდა სანინალმდეგო. მცველმა მიგვატოვა. ამის შემდეგ, მოხალისეებმა შემომთავაზეს ბიბლიის ერთი ფრაგმენტის ხმამაღლა წაკითხვა. შემდეგ, შედგა გარკვეული თავისუფალი საუბარი. როგორც მათ მითხრეს, მათთვის საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა თეოლოგიის და ფილოსოფიის ჩემი ცოდნა. თვითონაც გამიზიარეს საკუთარი რელიგიური შეხედულებები.

ეს მცირე რელიგიური თვითწარდგენა თანდათან გადაიზარდა კიდევ უფრო თავისუფალ საუბარში ჩემი სხვა ინტერესების შესახებ, რომელიც ასე ათი-თხუთმეტი წუთი გაგრძელდა. დამშვიდობებისას მკითხეს ვიქნებოდი თუ არა თანახმა შემდეგში ანალოგიურ შეხვედრაზე, რაზეც დადებითი პასუხი მივეცი.

შემდეგი შეხვედრა ორ კვირაში შედგა. შეხვედრის პირველი ნაწილი ისევ ბიბლიის კითხვას და თეოლოგიურ საუბრებს დაეთმო. ამას მოჰყვა წინანდელზე უფრო გახსნილი საუბარი ჩემი პროფესიული გეგმების შესახებ იმ დროისთვის, როდესაც მე სასჯელს მოვიხდიდი (რომლის ვადა მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო ჩემთვის. მაშინ ისიც არ ვიცოდი, თუ ჩემს წინასწარი პატიმრობის პერიოდს დაემატებოდა რაიმე ვადა. ღირს იმის გამეორებაც, რომ როდესაც სასამართლოზე დანაშაულის აღიარების დღე მოახლოვდა, პროგრამის წევრების ერთ-ერთი მთავარი სუგესტიური გზავნილი იყო ე. წ. „ვადა მოხდილია“ – ის, რომ წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო ჩამეთვლებოდა მოხდით სრულ ვადად, ანუ რომ მას

არაფერი დაემატებოდა. ამაზე ქვემოდ უფრო დეტალურად ვისაუბრებ, რადგანაც ეს პოლიციური „ვილვეტის ხელთათმანის“ და ფსიქოლოგიური მანიპულაციის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია).

როდესაც ეკლესიის მოხალისეები – ტომი და დენისი – დამემშვიდობნენ, მე კვლავ თანხმობა ვუთხარი მათ კითხვას მომავალი შეხვედრის შესაძლებლობაზე.

შემდეგი შეხვედრა ისევ ორ კვირაში შედგა. ამჯერად მათი ინტერესის საგანი იყო ის, თუ ვადის მოხდის შემდეგ სად ვამჯობინებდი ცხოვრებას – კანადაში, თუ ამერიკაში. მათ იცოდნენ ჩემი ამერიკული ცხოვრების გამოცდილების შესახებ. ეს არ იყო უცნაური, რადგან ჩემს ოჯახზე საგაზეთო ინფორმაცია იმ დროისთვის უკვე ხელმისაწვდომი იყო. მაგრამ, წასვლის დროს ერთ-ერთმა მათგანმა დამისვა შეკითხვა, რომელიც მნიშვნელოვანი იყო. „ისე, წუხელ როგორ გეძინათ? ვინმე ხომ არ განუხებთ?...“ მკითხა დენისმა. რომ გავიგოთ ამ კითხვის მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში, უნდა ვთქვა, რომ წინა ღამეს ერთ-ერთმა თანამესაქნემ (კონფედერატმა) ძილი გამიტეხა. მან ეს გააკეთა საკმაოდ არაიოლად უარყოფადი ფორმით. „უარყოფადობა“ პროგრამის წევრების – ისე, როგორც ნებისმიერი საიდუმლო სამსახურების აგენტებისთვის – სწორი ქმედების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი. იმ ღამით ძილის წართმევის მეთოდი იყო „ნიგნის კითხვა“, რომელიც თანამესაქნემ ღამის განმავლობაში რამდენჯერმე წამოიწყო. ხმაურიანი და მყისიერი გადაფურცვლის ტემპი იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ ღამის ორ საათზე ვკითხე თანამესაქნეს თუ როგორ ახერხებდა ნიგნის გვერდის ასე სწრაფად წაკითხვას – მისი „კითხვის“ ტემპი დაახლოებით ორ წამში ერთი გვერდი იყო. ის აღარ მიკითხავს, თუ როგორ ახერხებდა ღამის მბუყტავ სინათლეზე ასოების ხედვას. მისი აუღელვებელი პასუხი ის იყო, რომ იგი მხოლოდ სურათებს ათვალთვლებდა. ცხადია, სურათების თვალთვლების შესახებაც შეიძლება დაისვას ორი საზრისიანი

კითხვა. მაგრამ დროულად მივხდით ასეთი მცდელობის უნაყოფობას.

დენისის მიერ დასმული შეკითხვიდან და ორივე მოხალისის თანმხლები გამოხედვიდან ძნელი არ იყო იმის ამოკითხვა, რომ მათ გადაწყვიტეს საკუთარი ვინაობის წარდგენა – იმის შეტყობინება, რომ მათი ჩემთან ურთიერთობა პროგრამის ნაწილი იყო.

იმ გარემოში კითხვა „ვინ ვინ არის?“ ყოველდღიური ყოფის მოდუსია. მოხალისეების ამ სურპრიზულ თვითწარდგენას არ გამოუწვევია ჩემში რაიმე განსაკუთრებული განცდა. თუმცა არ იყო სასიამოვნო ის ფაქტი, რომ რელიგიის ზღურბლი მათ – პროგრამის ამორფულმა მენეჯმენტმა – ისევე გადაკვეთეს, როგორც პრივატულობის ყველა სხვა სივრცე.

„ეკლესიის მოხალისეების“ ისტორია კავშირშია პროგრამის ფარმაკოლოგიურ ასპექტთან, რაც ამ ამბის მოტანის ძირითადი მოტივია. 2011 წლის ერთ-ერთ სასამართლო დღეს, რომელიც ივნისში შედგა და რომლის დროსაც კიდევ ერთხელ გადაიღო განაჩენის გამოტანის დღე, გადავწყვიტე გამეცხადებია, რომ TWDC-ში ხდებოდა ჩემზე ზეწოლა და რომ ამასთან ერთად იყენებდნენ წამლებს ჩემი წინასწარი ცოდნის და თანხმობის გარეშე. ამაზე, მოსამართლის – რებეკა რათერფორდის – რეაქცია ის იყო, რომ შეაჩერა პროცესი, მე არაფერი მკითხა და ურჩია ჩემს ადვოკატს (კალვინ ბერის) ჩემთან ესაუბრა სასამართლოს მოსაცდელ სარდაფში. კალვინ ბერის და რებეკა რათერფორდის მიმართება საკმაოდ საინტერესო საკითხია. ერთი ყოფილი პროკურორი და პოლიციის ადვოკატია, ხოლო მეორე – პიროვნება, რომელიც ბერიმ თვითონ აირჩია როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო „შემწყნარებელი“ მოსამართლე, რომელმაც, როგორც რამდენიმე თვეში გახდა ნათელი ჩემთვის, მოლოდინს გადააჭარბა მისი განაჩენის სიმკაცრით. რათერფორდი ასევე იყო დოქტორი გოჯერის ახლო მეგობარი (კრიმინალური ექსპერტ-ფსიქიატრი, რომელთან მისვლა სასამართლომ დამა-

ვალა პირველივე დღეს. როდესაც 2011 წლის გაზაფხულზე კალვინ ბერიმ მითხრა, რომ გოჯერი და რათერფორდი თანაკურსელები იყვნენ უნივერსიტეტში და ჰქონდათ საკმაოდ ახლო ურთიერთობა ერთმანეთთან, როგორც ჩანს, ბერის ჯერ კიდევ არ ჰქონდა წარმოდგენილი ის, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ მე „გაჟონვის საწინააღმდეგო“ პროცედურების ობიექტი გავხდებოდი. გოჯერის დასკვნის გაყალბების მოტივების შესახებ იხ. დამატება, *წერილი*).

მაგრამ, აქ ამ ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ ეკლესიის მოხალისეების რეაქციის აღწერა მსურს.

მათ ორი დღის შემდეგ შევხვდი. სასამართლოზე ჩემს მიერ გაკეთებული განცხადება კანადის ერთ-ერთ სატელევიზიო-საინფორმაციო გადაცემაში და ასევე, გაზეთ „ტორონტო სტარში“ გავიდა (შესაძლოა სხვა გაზეთებმაც დაბეჭდეს). პირველი, რაც მოხალისეებმა მოსალმების შემდეგ მითხრეს იყო შემდეგი. „როდესაც გაზეთში წავიკითხეთ (წამლების გამოყენებაზე) სასამართლოში გაკეთებული თქვენი განცხადების შესახებ, თვალს არ დაუჯერეთ. ვიფიქრეთ, ნუთუ ეს იგივე პიროვნებაა, ვინც ჩვენ აქ მეგობრობას გვპირდება, იქ კი ასეთ განცხადებებს აკეთებს... თქვენგან წამდვილად არ მოველოდით ამას.“ „ეკლესიის მოხალისეების“ მიერ ნილაბის ასეთი უცერემონიო მოხსნა ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. მათი ფასადური როლი – ეკლესიის მოხალისე – მაინც მოითხოვდა იმას, რომ აღნიშნული უკანონობის და უფლებების დარღვევების შესახებ გაკეთებული ჩემი განცხადება რალაცნაირად მიეღოთ – ფასადური თანაგრძნობით. ამის შემდეგ მათ შეეძლოთ მათი წამდვილი მოტივის ნახევრად შეფარული ფორმით გამოხატვა. როგორც წესი ესაა მათი მოქმედების მოდუსი. ის, რომ მათ სრული უნილბობა არჩიეს, იმის მაჩვენებელი იყო ჩემთვის, რომ პროგრამის ზეწოლის და ფარმაკოლოგიური ჩარევის ასპექტები – და მათი დაფარვა – მათთვის საკმაოდ არსებითი იყო. თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ ჩემს მიერ პროგრამის ამ ასპექტე-

ბის გაჟღერება-გასაჯაროება გზას გაუხსნიდა თვითონ ამ ფარული პროგრამის არსებობის შესახებ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას და სწორედ ეს იყო ის, რაც მათ რეალურად აშინებდათ.

„ეკლესიის მოხალისეების“ ისტორია ამ შეხვედრის შემდეგ კიდევ გაგრძელდა. ის დასრულდა 2011 წლის ნოემბრისთვის, როდესაც რეალური განაჩენის გამოტანის დღე მოახლოვდა.

ბოლო შეხვედრა სამახსოვრო იყო. პროგრამის მიერ ჩემი „მოთელვის“ და „დამუშავების“ პროცესი რომ არ იყო წარმატებული, იმ დროისთვის უკვე ნათელი იყო მათთვის. სანამ დამემშვიდობებოდნენ ბოლო შეხვედრაზე, ერთ-ერთმა მკითხა: „შემთხვევით ხომ არ გსმენიათ გ...-ს შესახებ?“ ვუპასუხე, რომ ეს გვარი უცნობი იყო ჩემთვის. „გერმანელი წამებუღია. უნდა იცნობდეთ...“. სარკაზმის და შეფარული დაპირება-მუქარის ფიზიოგნომიური ფონი იმდენად აშკარა იყო მოხალისის სახეზე – და იმდენად კონტრასტული წინა შეხვედრებისა – რომ დამებადა გარკვეული პასუხის მოთხოვნილება. მოახლოებული განაჩენის დღე კიდევ უფრო ამახვილებდა სარკასტული მინიშნების მნიშვნელობას. „მაინც როგორ დამთავრდა გ...-ს ისტორია?“ ჩემს ამ კითხვას უკვე წამომდგარმა მოხალისემ გასცა პასუხი: „დეპორტაცია... შემდეგ მგონი ჩამოახრჩვეს.“

როდესაც უკვე ცამეტი თვეა გასული მას მერე, რაც სისტემატურად გართმევენ ძილს, საკვებში დაუკითხავად გიყრიან ტვინის გამორეცხვისთვის და კონდიციონებისთვის განკუთვნილ წამლებს, გიწყობენ პროვოკაციებს და სასამათლო პროცესის მრავალჯერადი გადავადებით გიქმნიან უსასრულო წინასწარი პატიმრობის ილუზიას, საკმაოდ შთამბეჭდავია ამ ყოველივეს ავტორებისგან სარკასტული შენიშვნის მოსმენა „წამებულის დეპორტაცია-ჩამოხრჩობის“ შესახებ, რომელიც კეთდება სწორედ უკვე დაგეგმილი განაჩენის გამოტანის დღემდე ორი კვირით ადრე. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს მიკრო შოკური თერაპია ამ პერი-

ოდში მხოლოდ მცირე „ამოვარდნა“ იყო მათი მხრიდან, რომლის პარალელურად განყოფილებაში მიმდინარეობდა საკმაოდ განხსხვავებული სუგესტიური მუშაობა.

უპილობა და რეალობა

პათოლოგიური გარემოს სრულფასოვანი განცდისთვის სასურველია იმის დანახვა, რომ ძილ-ღვიძილის ზღვრული მდგომარეობა სამიზნე სუბიექტის ყოველდღიური ყოფის ნაწილია პროგრამაში. ეს, ნაწილობრივ, ფარმაკოლოგიური ჩარევების შედეგი შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ, მეორე ფაქტორი, რომელიც სუბიექტის ცნობიერებაში ფანტაზმაგორიულობის სივრცის შექმნას უწყობს ხელს, არის არასრულფასოვანი ძილი – ძილის წართმევის სისტემატური პროცედურები. ძილის მიზანმიმართული წართმევის ინტენსიური გამოყენებით TWDC გამოირჩეოდა როგორც მილჰევენის, ისე ვერქვორთის ინსტიტუტის ფედერალური ციხეებისგან.

ახალი განყოფილების საკანში, რომელშიც უკრაინელთან ზემოთ აღწერილი ინციდენტის შემდეგ გადამიყვანეს, ოთხი ორ სართულად განლაგებული საწოლი იყო. თუმცა, ჩემი იქ გადაყვანისას, საკანში მხოლოდ სამი ვიყავით. ორი შავკანიანი თავაზიანად მომესალმა. რამდენიმე დღის მანძილზე თანამესაკნეებსა და ჩემს შორის საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა დამყარდა.

ერთ-ერთი მათგანი, რომელიც შედარებით უფრო ახალგაზრდა იყო (ასე ოცდარვა წლის) საეკლესიო სიმღერებით იყო დაინტერესებული. როდესაც გაიგო, რომ ყოფილი მუსიკოსი ვიყავი, გადმოიღო მისი საეკლესიო სიმღერების რვეული და რამდენიმე დღის მანძილზე ორხმიანი დუეტების მოგუდული ლილინი ჩვენი საღამოს საქმიანობა გახდა.

იდილია პროგრამის ნაწილია. მისი მთავარი ფუნქციაა სამიზნე სუბიექტის მიერ კონტრასტული სიგნალის ეფექტუ-

რი აღქმის შემზადება. მოულოდნელობა და შოკი წარმატების კრიტერიუმია.

დაახლოებით მეხუთე ღამეს – სამი საათი იქნებოდა – შემომესმა უცნაური ყმუილი, რომელიც ჩემი მომღერალი თანამესაქნის საწოლიდან მოდიოდა. მე მეორე სართულის საწოლზე ვინექი. ქვემოთ ჩახედვისას შევნიშნე თავზე საბან გადაფარებული უძრავი სხეული, საიდანაც ხმა მოდიოდა. ამ დროისთვის მე უკვე ვიცნობდი ძილის წართმევის სხვადასხვა სახეობებს: ნიგნის ფურცვლა, ძილში შეხტომები, ძილში ლაპარაკი, შუალამით საწოლზე შესრულებული ვარჯიში და სხვა. მგლის ყმუილის ნატურალისტური იმიტაცია ახალი იყო.

წინა გამოცდილებიდან ერთი სასარგებლო დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლებოდა. ძილის წართმევის ამ პროცედურის თავის არიდების ჩემი მცდელობა – ვთქვათ, შემსრულებლის გაღვიძებით – უკუჩვენებადი იქნებოდა.

სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ შევეცადა არ მიმექცია ყურადღება მეთოდოლოგიურად კარგად შერჩეული ძილის გაფანტვის აუდიო სეანსისთვის და შეძლებისდაგვარად მშვიდად დავლოდებოდი მის დასრულებას. კონფედერატის ყმუილი თხუთმეტ წუთში დასრულდა და ამის შემდეგ ათ წუთში მეც ჩამეძინა, სანამ დილის ხუთის ნახევარზე კიდევ ერთი ათ წუთიანი ყმუილის ციკლი გამეორდა. ღამეში ორჯერ გაღვიძება, თუნდაც გამოფხიზლების მაღალი ხარისხით, არ შეიძლება ჩაითვალოს ძილის წართმევის მაღალ ინტენსივობად.

მეორე დღეს ვცადა არაფერი შემემჩნია. მაგრამ, თვალშისაცემი იყო ის ფაქტი, რომ დღის მანძილზე თანამესაქნე თვითონ მარიდებდა თვალს. ნათელი იყო, რომ მისი მხრიდან დანაშაულის განცდის ეს მცირე ნიშანი არ იყო განპირობებული მხოლოდ წინა ღამის ერთჯერადი ქმედებით. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ წინა ღამის გამოცდილება მომავალი შესაძლებლობების საკმაოდ მკაფიო მაუწყებელი იყო.

ასეც მოხდა. შემდეგ ღამეს ყმუილი კიდევ უფრო ადრე დაიწყო. იმ ღამეს, როდესაც დაახლოებით ორის ნახევარზე

ყმუილის პირველი სეანსი დასრულდა, ვცადე დაძინება. ერთსაათიანი ძილ-ღვიძილის შემდეგ შევნიშნე, რომ თანამესაკნე ტუალეტისთვის წამოდგა. როგორც ჩანს მბჟუტავ სინათლეზე მან ვერ შეამჩნია ჩემი ოდნავ შეღებული თვალები. ჩათვალა, რომ მეძინა. როდესაც მან რამდენიმე წამში დაასრულა ტუალეტი და დაწვა, თავზე საბნის გადაფარება და ყმუილის დაწყება თითქმის ერთდროული იყო. აშკარა იყო, რომ ამჯერად მან დაარღვია პროტოკოლი. უარყოფადობის პრინციპიდან გამომდინარე, მას საკუთარი „ხვრინვის“ სახეობა ჩაძინების რეალისტური პერიოდის გასვლის შემდეგ უნდა დაეწყო. მისი შეცდომა იმან განაპირობა, რომ ვერ შენიშნა რომ მეღვიძა და ამდენად დაასკვნა, რომ ვერც იმას გავიგებდი, მისი ყმუილი სიფხიზლეში რომ იყო შესრულებული.

წინა ღამის უძილობა და კონფედერატის ეს უხეში შეცდომა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შემეცვალა ჩემი გადაწყვეტილება კიდევ მომეთმინა „ყმუილის თერაპია“.

ჩემს ჩუმ მიმართვას თანამესაკნემ არ გასცა პასუხი. „ეტიკეტის“ დაცვის მიზნით – იმ მოტივით, რომ არ გამემჟღავნებია, რომ ვიცოდი მეორე კონფედერატსაც რომ ეღვიძა – ჩავედი ქვემოთ, მივედი „მხვრინავ“ კონფედერატთან, დავიხარე მისი სანოლისკენ და ვუთხარი, რომ ყმუოდა. მან გადაიხადა საბანი და შემომხედა ღრმა ძილიდან ახლად გამოსულის ცრუ გამომეტყველებით.

დილით მისი ინიციატივით წამოწყებული საუბრისას ვუთხარი მას, რომ შევნიშნე თუ როგორ დაწვა და ამოუშვა „ხვრინვა“ წინა ღამით. „ერთი საკითხი ისაა, რომ მყისიერი ჩაძინების შესაძლებლობის არ მწამს. მეორე – ყმუილი ადამიანური ხვრინვის საკმაოდ უჩვეულო სახეობაა.“ მესამე სირთულედ ის დავეუსახელე, რომ ადრე იგი არ ყმუოდა ღამით და ამდენად უცნაური იყო მისი ეს ახალი წამოწყება. მან, ცხადია, უარყოფით მიპასუხა: ის ყოველთვის ყმუოდა ძილში; მირჩია, მეორე თანამესაკნესთან შემემოწმებინა მისი მტკიცების სისწორე; და, ჩემი დასკვნა, რომ მიზანმიმართულად ყმუოდა ძილში, გაუმართლებელი და მცდარი ბრალდება იყო.

ამის შემდეგ უფრო ძნელი ასატანი გახდა კონფედერაციის ღამის ციკლები, რომელიც კვლავ გაგრძელდა და კიდევ უფრო გააქტიურდა. ეს იმით დასრულდა, რომ მოვითხოვე სხვა საკანში გადასვლა და, როდესაც ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, მოვითხოვე განყოფილების შეცვლა.

სწორედ ამ დროს მომათავსეს სეგრეგაციის (იზოლაციის) სპეციალიზირებულ საკანში, სადაც თვრამეტი დღე დავეყავი. ეს საკმაოდ ჰგავდა თვითმკვლევლობის სამეთვალყურეო საკანს. მთავარი მსგავსება ის იყო, რომ საკანს არ ჰქონდა ფანჯარა. თუმცა, ციხის ტანისამოსის შეტანა შეიძლებოდა იქ. ამ განსხვავების გარდა, იყო კიდევ ერთი დეტალი, რომელიც საკანს გამოარჩევდა ყველა სხვა დანარჩენი საკნებისაგან. საჭაერო არაბუნებრივად მაღალ სიმაღლეზე იყო ჩაშენებული კედელში. ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო ეს დეტალი საკმაოდ არსებითი იყო. მისი კონკრეტული საზრისი მალე გახდება ჩემთვის ცნობილი.

ერთ ღამეს ძლიერმა „ქარიშხლის“ მაგვარმა ხმამ გამომაღვიძა. როდესაც მიმოვიხედე, მივხვდი, რომ საჭაეროდან მოდიოდა ძლიერი ცხელი ჰაერის ნაკადი. იყო ეს საჭაეროში წნევის მატების ან რაიმე სხვა მექანიკური გაუმართაობის შედეგი? ამ ვარაუდის მართებულობას ეჭვქვეშ დააყენებს რამდენიმე გარემოება. პირველი ისაა, რომელიც უკვე ავლნიშნე, რომ საჭაერო უჩვეულო სიმაღლეზე მდებარეობდა და ეს მიზანმიმართული არახელმისაწვდომობა იმ საჭაეროს სპეციალურ სტატუსზე მიუთითებდა. მანამდე TWDC-ს იზოლაციის ოთხი საკანი მქონდა ნანახი, და შესაბამისი საჭაეროების სიმაღლეები – პრაქტიკულად შემონმეებული. სეგრეგაციის საკნებში საჭაეროების ტუალეტის ქალაღლით დაცობა პატიმართა ჩვეული საქმიანობაა. ამდენად, საკმაოდ გამიკვირდა, როდესაც იმ სპეციალიზირებულ საკანში საჭაეროს საერთოდ ვერ მივწვდი. ვცადე დახვეულ ლეიბზე დადგომა, რომელიც ქვის სანოლზე შემოვდე; ასევე უშედეგო იყო პირსაბანზე შედგომა და მცდელობა იქიდან მივწვდომოდი საჭაეროს. ბოლოს მაინც მივაღწიე მიზანს. აღმოვაჩინე, რომ

შორიდან ნასროლი წყალში დასველებული ტუალეტის ქალაქის გუნდები ადვილად ეკრობოდა საჰაეროს გისოსებს.

მეორე გარემოება, რომელიც საჰაეროს მექანიკური გაუმართაობის ვერსიას გამორიცხავდა, რამდენიმე წუთში გამოიკვეთება, როდესაც „ქარიშხლის“ პრობლემას სრულად მოვაგვარებ. საჰაეროს გისოსების მეტ-ნაკლებად წარმატებული ამოქოლვის შემდეგ, გავაცნობიერე, რომ მეტალის კარის ქვემოთ არსებული სივრცე – დაახლოებით ხუთი სანტიმეტრის სიმაღლის იქნებოდა – ქარის საკმაოდ ინტენსიური ნაკადის მეორე პირობა იყო. სეგრეგაციის საკანში, როგორც წესი არავითარი საგანი არ არის, გარდა კედელზე მიშენებული ქვის საწოლისა და ასევე კედელზე დამონტაჟებული ტუალეტ-პირსაბანის ნიჟარისა. ერთადერთი, რითაც კარქვეშა ქარის ნაკადის შეჩერება მოვახერხე იმ ღამის საათებში, იყო ჩემი წითელი კომბინიზონი, რომელიც ორად მოვკეცე და მოვათავსე კარის ძირში.

ჩემი ვარაუდი, რომ „ქარიშხლის“ ეფექტი შემთხვევითი მოვლენა არ იყო დადასტურდა. როგორც კი გადავჭერი პრობლემა – დავახშე საჰაერო და ორად მოკეცილი კომბინიზონით ამოვქოლე კარების ქვეშ არსებული სივრცე, – შემომესმა მცველის ფეხის ხმა, რომელიც მოუახლოვდა ჩემი საკნის კარს და მოწყვეტით ჩაილაპარაკა თავისთვის: “this guy!..”. ამ ფრაზის მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში, როგორც მერე გავაცნობიერე, ის იყო, რომ მე შევაფერხე გეგმით გათვლილი ძილის წართმევის, თუ რაიმე სხვა ფსიქოლოგიური ეფექტისთვის გამიზნული პროცედურა. ეს ცხადი გახდა, როდესაც მცველმა მაშინვე – ღამის პირველ საათზე – მოიტანა იატაკის მოსაწმენდი გორგოლაჭებიანი დიდი პლასტმასის ყუთი და დაიწყო ჩემს საკანთან მისი წინ და უკან მოძრაობა, რამაც ქვის ფილებიანი იატაკის მქონე მაღალჭერიან სივრცეში არაჩვეულებრივი ხმაური გამოიწვია. მცველმა ეს ღამის მანძილზე სამჯერ გაიმეორა. თითოეული მათგანი ოცი წუთი მაინც გაგრძელდა.

* * * * *

ძილის წართმევის ფუნქციის მქონე კონფედერატებს, როგორც წესი, ხშირად ცვლიან. სამიზნე სუბიექტის საკანში მათი დიდი ხნით დატოვება, როგორც ჩანს მიზანშეუწონელია ამ ფუნქციის შრომა-ინტენსიური ბუნებიდან გამომდინარე. ერთ-ერთი აგენტი, რომელიც ყველაზე უფრო აგრესიული ფორმით მართმევდა ძილის TWDC-ში ერთი თვე დარჩა ჩემს საკანში. მისი უჩვეულო მეთოდი იყო ერთადერთი ფრაზის „ძილში“ ხმამაღალი წამოყვირება, რომელსაც იგი ღამეში ოთხჯერ, ან ხუთჯერ იმეორებდა (თითო ციკლი ორი-სამი წამოყვირებისგან შედგებოდა). მისი რჩეული ფრაზა იყო ინგლისური ქომონური აგრესიის გამომხატველი „fuck you“. იგი ჩემს საკანში 2011 წლის მაისის ბოლოს შემოიყვანეს – იმ დღეს, როდესაც ჩემს მეუღლეს მეორეჯერ ჩავანერინე ტელეფონის მეშვეობით ჩემი განცხადება უკანონო პროგრამის არსებობის შესახებ. ინტენსიური ძილის წართმევის ეს ფორმა იყო სასჯელი, რომელიც ჩემს განცხადებას უშუალოდ მოჰყვა და რომელიც ოცდაათი დღე გაგრძელდა.

ერთი თვის თავზე ეს კონფედერატი გადაიყვანეს ჩვენი განყოფილების სხვა საკანში და მისი „ღამის შეძახილები“ მყისვე შეწყდა (როგორც ადრე ვთქვი, იმ განყოფილებაში საკნიდან საკანში ბგერა დაუბრკოლებლად გადის საკნის გისოსებიანი კარებების გამო.)

ძილის წართმევის ეს აუდიტორული მეთოდი შეიძლება იყოს ჩანაცვლებული სხვა სახეობით. მაგალითად, ვერქვორთის ინსტიტუტის ფედერალურ ციხეში, მას მერე, რაც ცალკე, ერთადგილიან საკანში გადამიყვანეს, ხშირი იყო შარდმდენის გამოყენება. ღამის რვა საათის განმავლობაში ათჯერ ადგომა ინტენსივობის მაქსიმუმი იყო. მინიმუმი იყო ოთხი-ხუთი წამოდგომა. სანამ კონფედერატებთან ვიყავი საკანში – 2013 წლის თებერვლამდე – ძილის წართმევის ეს სახეობა არასდროს გამოუყენებიათ. თანამესაკნე „ცოცხალი“

პროვოკატორების მიერ ძილის წართმევასთან შედარებით, ეს ფორმა უფრო მისაღები ჩანდა ჩემთვის.

პარალელური ფუნქციები

დასაწყისში ავლნიშნე, რომ პროგრამა ითვალისწინებს ზენოლისა და მანიპულაციის მეთოდების „არადანიშნულებრივ“ გამოყენებას. ეს საკმაოდ ორაზროვანი დებულებაა. ძნელია გამოარჩიო „დანიშნულება“ „არადანიშნულებისგან“ იქ, სადაც კანონის სისტემატური დარღვევა, კონსპირაციული მეთოდების ბანალურობამდე მიყვანილი პრაქტიკა და უარყოფადობის პრინციპის სრული სიმკაცრით დაცვა მოქმედების ძირითადი წესია. და მაინც, სასამართლოში დანაშაულის ფორმალურად დადგენამდე პიროვნებაზე ზენოლა და მისი გადაწყვეტილებების მანიპულაცია რალაცნაირად უნდა განსხვავდებოდეს დანაშაულის დადგენის შემდეგ მასზე მანიპულაციების შემთხვევებისაგან. ამას მოითხოვს როგორც მარტივი მორალური ინტუიცია, ისე ლეგალური სამართლიანობის მინიმალური გრძნობა.

პროგრამის ბუნების დანახვისთვის პრინციპულია იმის თქმა, რომ ის გამოიყენებოდა როგორც ჩემი სასამართლო გადაწყვეტილებებზე ზენოლის ინსტრუმენტი. მოხდა ზენოლა, და ამ ზენოლის გამო ჩემი იმ გადაწყვეტილების შეცვლა, რომ გავსულიყავი სასამართლოზე და მოსამართლისა და მსაჯულების წინაშე წარმედგინა ჩემი საქმის ყველა რეალური გარემოება. პროგრამის გამოყენების ეს მხარე წარმოადგენს კანადის ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან ფუნდამენტური მართლმსაჯულების ცნების სრულ უგულებელყოფას.

2011 წლის მაისში შედგა სასამართლო, რომელზეც წაყენებული ბრალდებები ვალიარე (ე. წ. „პლი ბარგინის“ წესით). ჩემი ადვოკატის კალვინ ბერის მტკიცებით, სასამართლო განაჩენის გამოტანა ორი დღის შემდეგ უნდა შემდგა-

რიყო. მან შემატყობინა მოგვიანებით, რომ განაჩენის დღე იმ წლის 26 ივლისისთვის გადაიდო. „არა უშავს, ორ თვეში ყველაფერი წესრიგში ჩადგება“ მითხრა მან იმედის მომცემი ტონით. ორი თვის და, ასევე, ოთხი თვის შემდეგ განაჩენის გამოტანის დღის თარიღი ჯერ კიდევ უცნობი იყო ჩემთვის. მაგრამ, პროგრამის წევრები და მათთან მწყობრში მყოფი ჩემი ადვოკატი მარწმუნებდნენ, რომ ეს კარგის მომასწავებელი იყო. „დეპორტაციის და ჩამოხრჩობის“ შეტყობინება ჯერ არ მქონდა მათგან მიღებული, ხოლო „ვადა მოხდილია“-ს შესაძლებლობა, მათივე მტკიცებით, მით უფრო რეალური ხდებოდა, რაც უფრო მეტი დრო გავიდოდა განაჩენის გამოტანის დღემდე.

ამ ისტორიის რამდენიმე წინადადებით გამოთქმას უსყლდება ის არსებითი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ჩემი ასეთი ჭარბი ნდობა ჩემი ადვოკატის მიმართ. თუმცა, მე სამჯერ მაინც ვცადე მისი დათხოვნა „ინტერესის კონფლიქტის“ არსებობის გამო. მასიური ფსიქოლოგიური დეზორიენტაციის გარეშე შეუძლებელია აიხსნას ჩემს მიერ ჩემი ადვოკატის ბოლომდე შენარჩუნების ფაქტი. მით უმეტეს, რომ მისი კავშირი პროგრამასთან და შესაბამის უწყებებთან მაისის შემდეგ, ანუ როდესაც უკვე ვალიარე ბრალდებები, კიდევ უფრო აშკარა გახდა ჩემთვის.

სასამართლო განაჩენის გამოტანის დღე, მრავალჯერ გადადების შემდეგ, 2011 წლის რვა დეკემბრისთვის დაინიშნა – ბრალდებების აღიარებიდან შვიდ თვეში.

TWDC-ში პროგრამის ყველაზე უფრო აგრესიული ელემენტების გამოყენება ჩემს მიმართ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა. ბრალდებების აღიარებასა და განაჩენის გამოტანას შორის არსებული ასეთი დიდი შუალედი იხსნება პროგრამის მენეჯმენტის რეალისტური ვარაუდით. პიროვნების მასიური მანიპულირება და აღწერილი მეთოდებით მასზე ექსპერიმენტირება იოლია მაშინ, როდესაც, ერთის მხრივ, მას უკვე დაკარგული აქვს „სავაჭრო ძალა“, ანუ აღიარებული აქვს დანაშაული და ამდენად სრულად დამოკიდებულია სასამარ-

თლოს გადანყვეტილებაზე, ხოლო მეორეს მხრივ, იგი აცნობიერებს, რომ თვითონ სასამართლოს გადანყვეტილება დამოკიდებულია იმ პროგრამის „შედგებზე“ და მისი მენეჯმენტის ნებაზე (სასამართლოს გადანყვეტილებებზე ზემოქმედების ბერკეტებს რომ ფლობდნენ, ჩემთვის საკმაოდ ადრე გახდა ცხადი. ის, რომ მე ექვსი წელი მომისაჯეს, როდესაც ანალოგიურ დანაშაულზე კრიმინალური ნარსულის მქონე პირებსაც კი ორ-სამ წელს უსჯიან კანადაში, მიუთითებს ასევე უშიშროების სამსახურების და სასამართლოს უკანონო კავშირზე).

* * * * *

„დასჯის უფრო ფაქიზ ფორმებს მეტი ძალა აქვს. მაგალითად, სხვის შინაგან გძნობებზე ზეგავლენისთვის გამოდგება გაოგნებული სახით დადუმება, ან უბრალოდ იატაკზე ყურება, როდესაც ამასთანავე თავს უარყოფის ნიშნად აქეთ-იქით ამოძრავებთ. კიდევ ერთი გზა მავანზე ამ ზემოქმედების მდუმარედ (უსიტყვოდ) მიღწევისთვის ნარბების ანევაა, რომელსაც თან უნდა ახლდეს თავის ოდნავი წინ წამოწევა და სულელური გაღიმება“.⁹ ჯ. ელისის პოპულარული წიგნის („ცნობიერების სრულყოფილი კონტროლი“) ამ ფრაგმენტის განზოგადებაც შეიძლებოდა. სახისმეტყველებით და სხვა არავერბალური კომუნიკაციით მავანზე „მდუმარე“ ზეგავლენა უნდა მოიცავდეს როგორც დასჯის, ისე ნახალისების სიმბოლიზმს. „ღიმილი“ და „დაბლვერა“, „შუბლგახსნილი“, ან „პირდაპირი გამოხედვა“ და „პირის შებრუნება“, ან „თვალის არიდება“ და ყველა ამ ფიზიოგნომიური მეტყველების შუალედური ტონები შეიძლება იყოს მავანის შინაგან გრძნობებზე და მის შესაძლო მოქმედებებზე ზეგავლენის საშუალება.

⁹ https://books.google.ge/books?id=foDjBnbtA8UC&printsec=frontcover&dq=perfected+mind+control&hl=en&sa=X&ei=Z-peVbyUNYHZU5TogfAN-&redir_esc=y#v=onepage&q=perfected%20mind%20control&f=false, გვ. 16.

სახისმეტყველების თეატრალური გაკვეთილები, როდესაც მას საიდუმლო სამსახურის აგენტები ციხის, თუ დასაკითხი ოთახის ლაბორატორიულ ვითარებაში იყენებენ, შესაძლოა გახდეს ორგანიზებული ძალაუფლების საკმაოდ ბასრი იარაღი. თუკი თქვენ მოგათავსებენ გარემოში, სადაც ოცდაშვიდ კაციანი ჯგუფი კოორდინირებული სახისმეტყველების „თერაპიის“ პროცესს აგებს თქვენი ქცევის მიზნობრივი „შეიფინგისთვის“ – იმისთვის, რომ ყალიბი მიეცეს თქვენს ერთ გადანწყვეტილებას – და ეს კეთდება თვეების მანძილზე, საკმაოდ მაღალი ალბათობაა, რომ შედეგი იქნება ცნობიერების წარმატებული მართვის თითქმის უკვალო აქტი. უარყოფადობა გარანტირებულია. ცხადია ეს ასე იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ არ გყავთ დამოუკიდებელი გამომძიებელი, არ გაქვთ კომპიუტერიზირებული სახისმეტყველების ამომცნობი კოდირებული სისტემა, რომლის მეშვეობითაც თქვენი გამომძიებელი გაანალიზებდა მანიპულაციური ჯგუფის ფიზიოგნომიის იმ ისტორიის ვიდეო ჩანაწერს და, ასევე, არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა არავერბალური მანიპულაციური კომუნიკაციის ინსტიტუციონალური გამოყენების აკრძალვის შესახებ.

მიკროშეიფინგი, ანუ სასურველი მოქმედებისთვის ნაწილ-ნაწილ ყალიბის მიცემის ანალიტიკური პროცესი, კონკრეტული სამიზნე ქცევის ფრაგმენტებზეა მიმართული. მისი არსი „შინაარსობრივია“. ამ პროცესის ერთ-ერთი დამხმარე მეთოდი შეიძლება იყოს კომფორმიზმში „ფორმალური“ წვრთნა. ესაა კონფორმიზმის და დამორჩილების მცირე აქტები, რომლებსაც თავისთავადი ღირებულება არა აქვთ, ისინი არ არიან გასაპირობებელი მიზანქცევის ნაწილი, ან მთელი. მათი მიზანია პიროვნებაში თვითონ კონფორმიზმის ჩვევის გამომუშავება. სამხედრო სამსახურში წვრთნა გამოვლილ პირებისთვის კარგად იქნება ცნობილი ის, რომ ფორმალური კონფორმიზმის გაკვეთილებში არსებითია სანვრთნელმა დაინახოს, რომ მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნას არავითარი შინაგანი ღირებულება არა აქვს. ასეთი გაკ-

ვეთილების უკიდურეს მაგალითად გამოდგება ასანთის ღერის დასაფლავება, ან გარეცხილი ჭურჭელის ხელმეორედ გარეცხვა და სხვა „ნონსენსური“ ქმედებები.

„ფორმალური კონფორმიზმის“ ვარჯიშის ქვემოთ მოტანილ მაგალითში არსებითია როგორც მისი „შინაარსისეული“ კომპონენტის უსაზრისობა, ასევე არავერბალური მოთხოვნის სტილი და თავისებურება, რაც უარყოფადობის პრინციპის სრული დაცვის კარგ მაგალითს წარმოადგენს.

როგორც წესი, TWDC-ში კბილს ჯაგრისით დღეში ორჯერ ვინმენდდი – დილით და საღამოს. ერთ დღეს შევნიშნე, რომ ჩემი განყოფილების რამდენიმე „პატიმარმა“ დაიწყო ლანჩის შემდეგ კბილის ჯაგრისით განმენდა, რაც მათი რეჟიმისთვის სიახლე იყო. მომდევნო დღეს მათ შეუერთდა კიდევ რამდენიმე „პატიმარი“. მესამე დღეს, შუადღის კბილის ხეხვის ამ პროცესმა მიიღო თეატრალური დემონსტრაციულობის სახე. ზოგი ტუალეტის ნაცვლად საერთო ოთახში მიმოდოდა და ისე ასრულებდა ამ ჰიგიენურ აქტს, ზოგიც – ტელევიზორთან ყურებისას და სხვ. იმ დღეს ისიც შევნიშნე, რომ კბილის ხეხვის დასრულების შემდეგ, რამდენიმე კონფედერატმა ჩემსკენ გამოიხედა უკმაყოფილოდ და რალაც ჩაილაპარაკა. ასეთი რამდენიმე სახეთმეტყველებითი აქტის შემდეგ, ერთმა კონფედერატმა კიდევ უფრო ექსპრესიულ ფორმას მიმართა. იგი მომიჯდა გვერდით და გააგრძელა კბილის ჯაგრისით ხეხვა ისე, რომ ამასთანავე ჩემსკენ მოიხედავდა დროდადრო. მის გვერდით მდგომი რამდენიმე კონფედერატის მიერ ჩემი მიმართულებით „გამტყუნების“ გამომეტყველებით გამოხედვა ბოლო ნიშანი იყო.

ძნელი არ იყო იმის დანახვა, რომ ჩემგან ყველასთვის მიბაძვას ელოდნენ. სიტუაციის აბსურდულობა მათი არავერბალური მოთხოვნის შინაარსით იყო განპირობებული. ისიც მახსენდება, რომ ჩემში დილემის განცდა დომინანტური იყო. „უხერხულობის“ ან, კონფლიქტური სიტუაციების თავის არიდება ბუნებრივი მოთხოვნილებაა ასეთ გარემოში. მეორეს მხრივ, რაიმე შინაგანი რაციონალური საფუძვლის

გარეშე საკუთარი ჩვევის „მექანიკური“ შეცვლა წმინდა კონფორმისტული მოტივით, უსიამოვნო განცდის საფუძველია ნებისმიერი პიროვნებისთვის. მიუხედავად ამ ფსიქოლოგიური ორჭოფობისა, ფაქტი ის იყო, რომ ასე, მეოთხე დღეს, ჯგუფის მიერ საკმაოდ გულმოდგინედ და მეთოდურად შესრულებული სახეთმეტყველური ზენოლის შემდეგ, მეც ჩავერთე შუადღის დენტალური ჰიგიენის რიტუალში.

ამ კონფორმიზმში „ვარჯიშის“ ერთ-ერთი არსებითი კომპონენტი, რაც ზემოთ უკვე ვახსენე, არის მოთხოვნის – შუადღის კბილის წმენდვის – პრაგმატული უმნიშვნელობა. მიზანია იმის ჩვენება, რომ არსებითია არა თვითონ იმ აქტის შესრულება, არამედ ჯგუფის სიმბოლურ, არავერბალურ მოთხოვნაზე ჩემი დამორჩილება. ამას ხაზს უსვავს ისიც, რომ ამ „ჩვევის“ ათვისებიდან ასე ორ კვირაში, ჯგუფის წევრებმა ისეთივე ორგანიზებულობით შეწყვიტეს შუადღის დენტალური ჰიგიენა, როგორც მათ დაიწყეს ის. ცხადია ჩემთვის, რომ ასეთი კონდიციონება-ტესტირებებისას მათთვის არსებითი იყო იმის გამოკვლევაც, თუ რამდენად იყო ჩემი „მორჩილება“ წმინდა პრაგმატული კონფორმიზმის აქტი და რამდენად შეიძლებოდა ჩემი გადაყვანა „მიღების“, ანუ შინაგანი მორჩილების, მოდუსში, რომელშიც ათვისებულ „ჩვევებს“ უკვე გავაგრძელებდი გარეგანი სტიმულების გარეშე.

ჩემი პრაგმატიზმის ხარისხი იქიდან დადასტურდა, რომ ჯგუფის მიერ პირველივე მინიშნებისას, რომელმაც დააფიქსირა, რომ დენტალური ჰიგიენის წარმოდგენა დასრულდა, მყისიერად და უცერემონიოდ შევწყვიტე კბილის შუადღის ჯაგრისით წმენდვა.

როდესაც ასეთ მინიმალურ კონფორმიზმში ინტენსიური „მეცადინეობის“ პროცესს ემატება სამიზნე პიროვნების ღირებულებების და პრეფერენციების დეტალური ფსიქო-ბიპვეიორისტული კვლევა, და ამაზე დაყრდნობით, მიკროსკოპული სიზუსტით მასზე ზენოლის პროცედურის აგება, სამიზნე პიროვნებაზე გავლენამ შეიძლება მიიღოს დაუძლეველი ზენოლის სახე. როდესაც ამას ემატება პიროვნების რეგ-

რესირებაზე და დეზორიენტაციაზე გათვლილი მეთოდები – დროის შეგვრძნობის მანიპულაცია დღის და ღამის რეჟიმის მიზანმიმართული დარღვევით, სისტემატური სტრესირების მეშვეობით ზოგადი რაციონალურობის დაქვეითება და სხვა – ფსიქოლოგიური ზენოლა შეიძლება გაუტოლდეს ფიზიკურ იძულებას. მოთხოვნის თანდათანობითობის წესით ზრდის მეთოდის გამოყენებით – რასაც ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში ხშირად „ფეხი კარში“ (foot-in-the-door) მეთოდი ეწოდება – შეიძლება პიროვნების მორალური ორიენტაციების კონტექსტურად ნაშლა-მივიწყების საკმაოდ მაღალი ხარისხის მიღწევა, როდესაც მისი „მცირე კომპრომისი“ შეუმჩნევლად გადაიზრდება უფრო დიდ დათმობებში.

შესაძლოა, ღირებულებითი ორიენტაციების ასეთი ნაშლის ალბათობა არაფერს ამბობს მეტაფიზიკურ-ანთროპოლოგიურ დონეზე. იგი ამტკიცებს, რომ პიროვნების „ემპირიული წინა პლანი“ მეტ-ნაკლებად ემორჩილება კონდიციონების ასევე ემპირიულად გამოცდილ საშუალებებს და რომ ასეთი დამორჩილება სავარაუდოა გაგრძელდეს მანამ, სანამ მოცემულია კონდიციონების აქტიური სტიმული, იქნება ეს პროფესიონალი ბიჰევიორისტების მიერ ლაბორატორიულ პირობებში სტიმულების ხელოვნური წარმოება, თუ რეალურ ცხოვრებაში მოცემული, მეტ-ნაკლებად ქაოსური გამაძლიერებლები, ან ავერსიული ფაქტორები. ამ ემპირიული პლასტის მიმართ რეალისტური ჩანს სკინერის ნაშრომის „ღირსებისა და თავისუფლების მიღმა“ მტკიცებები. თუმცა, დეტერმინაციების ასეთი უწყვეტი ჯაჭვიდან პიროვნების მიერ თვითგამოხსნის შესაძლებლობა კვლავ რჩება მორალური ხასიათის და ნების სიძლიერის კრიტერიუმად და, ასევე ღირსება-თავისუფლების ცნებების რეალური მიყენებადობის შესაძლებლობად.

ჰუდელის ინკუბატორი

„ფსიქოლოგიაში და ეთოლოგიაში, შთაბეჭვდა (imprinting) არის დასწავლის ნებისმიერი მომენტ-მგძნობიარე სახეობა (დასწავლა, რომელიც ხორციელდება რომელიმე კერძო ასაკში, ან სიცოცხლის რომელიმე კერძო საფეხურზე), რომელიც სწრაფად ხდება და რომელიც, როგორც ჩანს, არ არის დამოკიდებული (ორგანიზმის წინმსწრებ) ქცევაზე როგორც მის მიზეზზე. თავდაპირველად ეს ტერმინი იმ სიტუაციების განსასაზღვრად გამოიყენებოდა, რომელშიც ცხოველი ან პიროვნება სწავლობს რომელიმე კერძო სტიმულს, რომლის შესახებაც ვიტყვით, რომ მოხდა მისი სუბიექტზე „შთაბეჭვდა“. ვარაუდობენ, რომ შთაბეჭვდას აქვს კრიტიკული პერიოდი.“

„შთაბეჭვდის“ ამ განსაზღვრებას ვიკიპედიის შესაბამის სტატიაში ვკითხულობთ. როგორც ნესი, ამ ცნების განმარტებისას „მყისიერი დასწავლის“ ისეთ მაგალითებს მიმართავენ, როგორიცაა ზოგიერთი ახალშობილი ფრინველის მიერ საკუთარი მშობლის, ან მისი აღქმის არეში მოხვედრილი სხვა საგნის „მყარი დამახსოვრება“ და მის მიმართ „მიკედლების“ გრძნობის შექმნა. შთაბეჭვდა როგორც „მყისიერი“ დასწავლა კრიტიკული პერიოდის არსებობას ემყარება. კრიტიკული პერიოდის არსებობა განსაზღვრავს როგორც დასწავლის „სისწრაფეს“, ისე მის ქრონოლოგიურად ფიქსირებულ ადგილს ორგანიზმის სიცოცხლეში.

მეორე ცნება, რომლის მხედველობაში მოქცევაც საჭიროა, სანამ ერთი მოვლენის აღწერას შევუდგები, არის სუგესტიურობა. სუგესტიურობა, ისევე როგორც შთაბეჭვდა, შეიძლება გავიგოთ როგორც „დასწავლის“ სახეობა. აქ დამსწავლელზე სხვისი გავლენის ასპექტია არსებითი. სუგესტივის მეშვეობით ჩანერგილი აზრის, წარმოდგენის, ან სტიმულის თავისებურება ისაა, რომ სამიზნე პირის მიერ მათი მიღება ხდება მინიმალური კრიტიკული პროცესის გარეშე. „გულუბრყვილობა“ სუგესტიურობის პირობაა. ისევე როგორც შთაბეჭვდა, სუგესტიურობის დონე ხშირად ფსიქო-

ფიზიოლოგიურად განსაზღვრულია ამა თუ იმ პიროვნებაში. მაგრამ, მოცემულ კონტექსტში არსებითია ის, რომ პიროვნების სუბესტიურობა ასევე არის ცვლადი მახასიათებელი და ექვემდებარება ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს. სტრესის, ფსიქოლოგიური აგზნების, ან ექსტრემალური ექსისტენციალური ვითარების მიმართებას პიროვნებაში სუბესტიურობის სიტუაციური ზრდის შესაძლებლობასთან ქვემოთ შევეხებით (იხ. „კონცეპტური ჩანართი“).

სუბესტიის შესაძლებლობა მგძნობიარე პერიოდის ცნებას უფრო ემყარება. კრიტიკული პერიოდისგან განსხვავებით, მგძნობიარე პერიოდი შეიძლება იყოს ვარირებული სუბიექტის კერძო გამოცდილების და გარემო ვითარებების ცვალებადობის შესაბამისად. შთაბეჭვდის ცნება, ძირითადად, ცალკეული სტიმულების დასწავლის ფენომენებით იფარგლება როგორცაა, მაგალითად, რაიმე ფიზიკური ობიექტების დამახსოვრება-დასწავლა, ან ენის ათვისება. თუმცა, ენა უფრო რთული ფენომენია და საკამათოა რამდენად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ენის ათვისებას კრიტიკული პერიოდი აქვს. სუბესტიურობა, როგორც წესი, გულისხმობს „დასასწავლი“ ფენომენების უფრო კომპლექსურ ობიექტებს როგორცაა აზრები, შეხედულებები, ქცევითი ორიენტაციები და სხვა. როდესაც საქმე გვაქვს პიროვნების მიერ გარკვეული შეხედულებების „მყისიერ დასწავლასთან“ (სუბესტიურობის აზრით) – პიროვნების მიერ მანამდე მისთვის მიუღებელი აზრების სწრაფ „ათვისებასთან“ – ეს შეიძლება განისაზღვროს როგორც „მოქცევა“, თუკი ეს შეხედულებები მსოფლმხედველობრივი ხასიათისაა და მათი ჩანერგვა პიროვნებაში ხასიათდება დროში მდგრადობით. ესაა უილიამ სარგანტის ფსიქიატრიული განაზრებების საკვანძო თემა. მაგრამ, სუბესტიურობა, ისევე როგორც შთაბეჭვდა, შეიძლება იყოს დაკავშირებული „მცირე ობიექტებთან“, ამა თუ იმ ცალკეული სტიმულების დასწავლასთან.

მგძნობიარე პერიოდის მოცემულობის საფუძველზე ფიზიკური საგნის მყარი „შთაბეჭვდა“ – მისი არაიოლად

ამოშლადი ასოცირება ორგანიზმის ამა თუ იმ პირობით პასუხთან – პავლოვისეული, კლასიკური კონდიცირების ერთ-ერთი საკვანძო თემაა. მონადირის ძაღლის მყისიერი პასუხები პატრონის ამა თუ იმ ნიშანზე და მწვრთნელის შაქრიან ხელზე „თვალმოუცილებელი“ ყურების ჩვევა, რომელიც ცირკის პუდელმა დაისწავლა, ამ ძველ მეთოდს ემყარება.

ბიჰევიორისტული მეთოდების ფსიქოლოგიური კონტროლის ინსტრუმენტად გამოყენების ვარიაციები უსასრულოა. აქ აღვწერ ასეთ კონტროლზე გათვლილ ერთ მეთოდს, რომელიც, ჩემი ვარაუდით, კანადის ფედერალურ პენიტენციურ სივრცეში კონდიცირებული პირებისთვის ნაცნობი იქნება. წინასწარი შენიშვნის სახით უნდა ითქვას ისიც, რომ აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ მცირე ობიექტის „დასწავლასთან“, რომელიც მეთოდის ნაწილია, არამედ მცირე ობიექტის უფრო ფართო მნიშვნელობით ფენომენებთან მკვრივ შეკავშირებასთან. ისიც უნდა ითქვას, რომ სუბესტიურობის, ან შთაბეჭვდის ცნებების შესახებ გაკეთებული შენიშვნები გარკვეული ფენომენოლოგიური სივრცის წარმოებას ემსახურება და არ წარმოადგენს ქვემოთ მოტანილი მოვლენის მყარი კლასიფიკაციის მცდელობას.

მეძნობიარე პერიოდი. ათი თვის მანძილზე ძილის წართმევის, ქიმიური დარწმუნების პროცედურების და კონფორმიზმში ფორმალური წვრთნის შემდეგ მოახლოვებული სასამართლო განაჩენის დღე ხსნის თარიღად აღიქმება. ეს დებულება მართებულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამიზნე პირი ფიქრობს, რომ განაჩენი არ იქნება მსუბუქი. ფანტომების კაფკისებური კოშკიდან თავის დაღწევა, თუნდაც სხვა ინსტიტუტში გადასვლის მეშვეობით, იმედის მომცემია მისთვის. მაგრამ, თუკი მას სჯერავს, რომ სასამართლო მას აკმარებს წინასწარი დაკავების ვადას, მაშინ განაჩენის დღე და ხსნა იგივეობრივია მისთვის.

მე ამ ორ შესაძლებლობას შორის ვიყავი. სრულად არც ის მჯეროდა, რომ სასამართლო მაკმარებდა უკვე მოხდილ

ვადას და არც ის, რომ ჩემს განვლილ თოთხმეტ თვეს მოსამართლე კიდევ რამდენიმე წელს დაუმატებდა. ჩემი ვარაუდი ის იყო, რომ განვლილი პერიოდი „შეივსებოდა“ ორ წლამდე (და არა ექვს წლამდე, როგორც ეს რეალურად მოხდა).

ასე თუ ისე, დადგენილი სასამართლო განაჩენის დღის მოახლოვება ჩემი მზარდი ეიფორიულობის და იმედის საფუძველი იყო. ეს, ჩემზე უკეთ ბიჰევიორისტებმა იცოდნენ.

მცირე ობიექტი. ნოემბრის პირველ დღეებში შევნიშნე, რომ ჩემს ნებისმიერ დადებით მოქმედებას უშუალოდ მოჰყვებოდა რამდენიმე კონფედერატის „ცერის აწევა“ (thumbs up“). იქნებოდა ეს ჩემი ფიზიკური ვარჯიში, თუ სხვა რამ, მათი ცერის ჩვენება უტყუარი ჯილდო იყო, რომელსაც ვიღებდი. ამაში თავიდან არაფერი იყო არაბუნებრივი, რადგან ამას ძირითადად ის კონფედერატები აკეთებდნენ, რომლებსაც უკვე დამკვიდრებული ჰქონდათ ჩემთან კარგი ურთიერთობა. მათი დადებითი როლი სოციალური აღიარების ამ ბანალურ სიმბოლიზმს ამართლებდა.

სოციალური აღიარების ეს რიტუალი ცოტა უცნაური გახდა რამდენიმე დღეში, როდესაც შევნიშნე, რომ ის განყოფილების თითქმის ყველა წევრის საქმიანობად იქცა. აღმართული ცერის რიტუალის ამ კოლექტივიზაციის უცნაურობა იმანაც განაპირობა, რომ ამაში ახალშემოსული „პატიმრებიც“ ჩაებნენ. რეალისტური ციხის გარემოს შენარჩუნებისთვის ახალშემოსული პატიმრების არსებობა განყოფილებაში პროგრამის აუცილებელი ატრიბუტია ისევე, როგორც პატიმრების პერიოდული სიარული „სასამართლო პროცესზე“, ან მათი სხვა ციხეში გადაყვანა, ანდა ციხიდან „განერა“. ციხის რეალიზმის შენარჩუნებაზე გათვლილი პატიმართა ამ მრავალგვარობის და ცვალებადობის ფაქტიდან ისიც გამომდინარეობს, რომ ჩემი მათთან ურთიერთობები ჩვენი ერთად ყოფნის გრძივობითაც განისაზღვრება.

ახალმოსულების ჩაბმამ ცერის ჩვენების ცერემონიაში რეალიზმის მოთხოვნა გარკვეულწილად დაარღვია. როდესაც რვა თვის მანძილზე თქვენთან ერთად ნამყოფი და ორი დღის

შემოსული ერთად მონაწილეობს ცერის ჩვენების წარმოდგენაში, ეს სამიზნე პიროვნებაში ინვესტს გარკვეულ არაბუნებრივობის განცდას. სოციალური დაჯილდოვების ეს და სხვა სახეობები სტატუს-მგძნობიარეა. რეალურ ციხეში სტატუსის ერთ-ერთ განსაზღვრელი ფაქტორი პატიმრის მიერ უკვე მოხდილი ვადის – და ასევე, მოსახდელის, თუკი ეს ცნობილია – ხანგრძლივობაა. იმ დროს, როდესაც მე უკვე ათი თვე მქონდა გავლილი წინასწარი დაკავების იმ საპატიმროში, ახალი შემოსულების ცერის ფერხულში ჩაბმა ამ ფაქტორის უგულვებლყოფაც იყო, რაც ჩვეულებრივ ციხეში ჭარბი ფამილიარიზმის ნიშანი იქნებოდა.

ცოტა ხანში ცერის რიტუალის არაბუნებრივობის განცდა იმანაც გააღრმავა ჩემში, რომ ჯგუფმა დაიწყო ანეული ცერის ჩემთვის ჩვენება ყოველგვარი გასამართლებელი მოტივის გარეშე. დღის წესრიგში იყო ჩემი ქრონიკული „დაჯილდოვება“.

არაბუნებრივობის განცდა გარკვეული ზომით მაინც გადაწონა ამ აღიარების დადებითმა ხასიათმა. ცოტა ხანში, ჯგუფის წევრების მიერ ცერის ჩემთვის აწვევას აღვიქვამდი როგორც ცხოვრების ჩვეულებრივ ატრიბუტს. ოცდაათამდე ცერი – ზოგჯერ გაცილებით მეტი, როდესაც მოქმედებაში ორი ხელი მოდიოდა – ჩემი პერიფერული და ცენტრული მხედველობითი ველის ძირითადი მოცემულობა იყო საათების განმავლობაში.

მოახლოებული განაჩენის დღით გამოწვეული ეიფორიის და იმედის პირობებში ათი საათის განმავლობაში – დილის რვიდან საღამოს ექვსამდე – ცერის აღქმა საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ მავანს ეს სიგნალი სრულყოფილად „დაესწავლა“ – მომხდარიყო ცნობიერებაში მისი მყარი შთაბეჭედა. სასამართლოს მოლოდინით გამოწვეული ემოციური მდგომარეობა, როგორც ვთქვი, ჩემი ცნობიერების ფაქტი იყო. ეს ემოციურობა კიდევ უფრო გამყარდა იმით, რომ ნახალისების და ქების სიმბოლიზმი სწორედ იმ ჯგუფისგან მოდიოდა, რომელიც ჩემი დიდი ხნის მწვალელებელი იყო. იმ გარე-

მოში სამიზნე პირში ბუნებრივად იბადება ის განცდა, რომ იგი დამოკიდებულია კონფედერატთა ჯგუფის ნება-გადანყვეტილებებზე. შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ამ დამოკიდებულების მიმართების გამყარება პროგრამული კონდიციონების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. ჩემი ვარაუდია, რომ სწორედ ამ ფაქტმა და განაჩენის მოლოდინით გამონვეულმა მგძნობიარე პერიოდის არსებობამ – და იმ აზრმა, რომ დადებითი ნიშანი, რეალურად, მომავალი წარმატების მაუწყებელი იყო – განაპირობა ის, რომ ჩემს ცნობიერებაში მოხდა მათი აღმართული ცერის შეკავშირება „იმედის“ და „ხსნის“ ფენომენალურ განწყობებთან. შედგა მათი აღმართული ცერის და ჩემი ემოციური ინტენსივობის მკვრივი ასოციაცია – „შთაბეჭვდა“.

პუდელის გაღვიძება. განზოგადება ცნობიერების კვანძური აქტია. აღმართული ცერის ეს ულტრა-ინტენსიური გამოცდილება, ის, რასაც დატბორვა (flooding) შეიძლება ვუნოდოთ, მალე წარმოშობს იმ ჩვევას, რომლის სრული მნიშვნელობა თავიდან არ იქნება ნათელი. ესაა ჩვევა, რომ სხვისი ხელის ნებისმიერი მდგომარეობა, სადაც ცერი განცალკევებულია მტევანის დანარჩენი თითებისგან, იყოს აღქმული როგორც ცერის აწვევის პოზიტიური ნიშანი. მავანის მიერ მკერდზე ხელის დადება, ცერსა და საჩვენებელ თითს შორის ნიკაპის ჩამოდება, თმის გაშლილი ხელით „გადავარცხნა“, ტელევიზორის ღილაკზე ცერის მიჭერა და სხვა სწორედ ამგვარად იქნება აღქმული – როგორც პოზიტიური გზავნილი.

მაგრამ, სანამ განაჩენის გამოტანის დღე წინ არის და ჩემთვის უცნობია მისი ნეგატიური შედეგი, ცერის სიმბოლიზმი არ დაკარგავს ბუნებრიობის იერს. არც მისი მომავლის პრაგმატიკა იქნება განჭვრეტადი.

პირველი მიხვედრა, რომ ნებისმიერ დადებით ნიშანს შეიძლება ჰქონდეს, ან მიეცეს, სრულიად საპირისპირო მნიშვნელობა და გადაიქცეს ცინიკური სიმბოლოთნარმოების ინსტრუმენტად, შეიძლება მოვიდეს მაშინ, როდესაც იმედი,

რომ ტანჯვის რკალიდან თავის დაღწევის დღე ახლოა, გადაიქცევა რეალისტურ ცოდნად, რომ ასეთი შესაძლებლობის დადგომამდე წინ კიდევ მრავალი წელია. თუკი ასეთი რეალისტური ცოდნით მიატოვებთ ხალხმრავალ სასამართლო დარბაზს და გასასვლელთან შენიშნავთ ერთ-ერთი მცველის ანეულ ცერს, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს ანეული წარბები, წინ წამოწეული თავი და სულელური გაღიმება, მაშინ შეიძლება დაინახოთ ძველი სიმბოლოს ახალი სემანტიკური მოდიფიკაციების რეალური შესაძლებლობები.

მაგრამ, უნდა ვაღიარო, ასეთი დიალექტიკური ცინიზმის ობიექტი არ გავმხდარვარ განაჩენის დღეს. მცველების მხრიდან ზომიერი თანაგრძნობა და დუმილი დასაფასებელი იყო.

ორთვიანი ცერის „დასწავლის“ ფაზა მხოლოდ სანყისია. ამ ეტაპზე გამომუშავებული ჩვევა ფედერალურ სისტემაში კიდევ უფრო გამყარდება. ყოველი უმნიშვნელო ქცევის „დაჯილდოება“ ან „დასჯა“ ცერის ჩვენებით, ან მისი შეკავებით, რომელსაც რეალური პატიმრის გარშემო არსებულ კონფედერატთა გუნდი – მასთან მომუშავე „პატიმრები“ და ციხის ოფიცრები – სისტემატურად შეასრულებენ თვეების და წლების მანძილზე, არის იმის პირობა, რომ სამიზნე პირს გამოუმუშავდეს სხვისი ცერის იმპულსური ყურების ჩვევა. იგი აღმოაჩენს, რომ პუდელი ცნობიერების არქექიპული ელემენტია. ამ ჩრდილოვანი ანტი-მეს გაცოცხლება და მისი მოთავსება პიროვნების დეინდივიდუალიზირებული ფსიქიკის ცენტრში ბიჰევიორისტული პროგრამის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა. ცერის და „იმედის“ მნიშვნელობების ქრონიკული ასოცირების შედეგად სამიზნე პირი დროთა ვითარებაში გააცნობიერებს, რომ პუდელის აჩრდილის ცნობიერებიდან წაშლა გაცილებით ძნელია, ვიდრე მისი დასწავლა-გაცოცხლება. პუდელური წვრთნის წლების შედეგი იქნება ის, რომ აღიარება-ქების ბანალური აქტი გახდება სამიზნე პირში მორალური სუბიექტის ავტონომიურობის სისტემატური შელახვის ინსტრუმენტი.

ის ცოდნა, რომ აღწერილი პროცედურა პიროვნების ცნობიერების კონტროლის სპეციფიურ სახეობას წარმოადგენს, როგორც უკვე ვთქვი, საკმაოდ გვიან მოვა. ამასთანავე, პიროვნების ნებელობის კონტროლის და ღირსების გრძნობის მანიპულაციის ეს მეთოდი არ იქნება აღქმული როგორც წმინდად გარეგანი „ინტრუზიული“ ელემენტი. პუდელის წარმოების ამ მეთოდის ერთი თავისებურება ის არის, რასაც საიდუმლო სამსახურების ზოგიერთი მკვლევარი „თვით-მიყენებული ტკივილის“ ტერმინებში აღწერს (self-inflicted pain).¹⁰ ცხადია, აქ საქმე გვექნება არა ფიზიკურ ტკივილთან, როგორც მოჰყვება მაგალითად საათების მანძილზე უძრავ მდგომარეობაში იძულებითი ფეხზე დგომის გამოცდილებას, არამედ მორალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტთან. ესაა განცდა, რომ ღირსების შელახვა, რომელიც სხვისი ცერის ყურების ჩვევის პათოლოგიური ფორმის ჩანერგვას მოჰყვება, გარკვეული ზომით განპირობებულია სამიზნე პირის „შინაგანი“ ფაქტორებითაც, რომ მისი მება ის, ვინც მისცა მანიპულატორ პროგრამისტებს მისი პიროვნულობის და ავტონომიურობის შელახვის შესაძლებლობა.

აშკარაა, რომ შესაძლებელია ამგვარი მანიპულირების და ზენოლის კომბინაციამ აღნიშნული ანტი-მე იმდენად მოამძლავროს, რომ მოხდეს პიროვნების ტრანსფორმაცია – მორჩილების და სხვის მიერ გამართლების მოლოდინის გრძნობის მასში სიღრმისეული დამკვიდრება, რომელიც მისი თვითიდენტიფიკაციის სტანდარტად იქცევა. „მოქცევის“ შესახებ მსჯელობებიდან, რომელსაც ქვემოთ შევხვდებით,

¹⁰ იხ. მაგალითად A. McCoy, “Cruel Science: CIA Torture and U.S. Foreign Policy“,

<http://scholarworks.umb.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1148&context=nejpp&sei-redir=1&referer=http%3A%2F%2Fwww.bing.com%2Fsearch%3Fq%3Dcruel%2Bscience%2BCIA%26qs%3Dn%26form%3DQBRE%26pq%3Dcruel%2Bscience%2Bcia%26sc%3D0-16%26sp%3D-1%26sk%3D%26cvid%3D01ce6a8b343b470aa633be38b6674ace%26undefined%3Dundefined#search=%22cruel%20science%20CIA%22>

ნათელი იქნება ისიც, რომ ტრანსფორმაცია არ არის ერთჯერადი აქტი და რომ მისი წარმოების პროცესი შეიძლება დამთავრდეს ახალი მეს წარმოშობით და მისთვის საჭირო მორალური სრულფასოვნების თვითშეგრძნების საკმაოდ წარმატებული რეპროდუქციით. ეს შეიძლება მოხდეს როგორც გადარჩენის მოთხოვნისგან გამომწვეული რაციონალიზაციით, რომელიც სამიზნე პირის სახეცვლილ ქცევით კოდს მინიჭებს ლეგიტიმურობას, ისე პროგრამის ჯგუფის მიერ მისი აღიარების და მიღების საკმაოდ დახვეწილი წარმოდგენის დახმარებით. მაგრამ, თუკი „მოთვინიერების“ მათემატიზირებული ბიჰევიორისტული მეთოდოლოგიის წარმატება ვერ შედგა რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევითობის გამო – როგორცაა პიროვნების თვითგანპირობების ქარბი მოთხოვნისგან, ან მისი ნებელობის სიმკვრივე, ან კანტიანური ფიქრები – მაშინ სამიზნე პირს არ დარჩება სხვა გზა, გარდა იმისა, რომ საკუთარი ძალებით გაიკვლიოს გზა ბიჰევიორისტული ზენოლის და რე-ფორმირების ამ უსასრულო ტალღაში.

შესაძლებელია იმ მანიპულაციური გზით ჩანერგილი დანაშაულის გრძნობის შერბილება, რომელსაც სამიზნე პირში პუდელის აჩრდილის და სანყისი მეს კონფლიქტი იწვევს. ეს შესაძლებელია, თუკი სამიზნე პირი დაინახავს, რომ პუდელის აჩრდილი მასში გააგრძელებს არსებობას მხოლოდ მანამ, სანამ ანმყოში სხვების მიერ მისი არაბუნებრივად ინტენსიური კონდიციონება გრძელდება. ასევე, სასარგებლო შეიძლება ყოფილიყო იმის მკაფიოდ დანახვა, რომ მიუხედავად პუდელის მოცემულობისა, მასში კვლავ არსებობს სხვა მე, რომელიც ინახავს ჯანმრთელი მორალური კოდების საზრისიანობის გრძნობას და რომელიც მომავალში, ნორმალური ცხოვრების პირობებში, ძალდაუტანებლად მოიცილებს პუდელის აჩრდილს.

ამ მეტაფიზიკური თვითთერაპიის ნაცვლად, მავანს, რა თქმა უნდა, შეუძლია აიჩიოს აშკარა პროტესტის და წინააღმდეგობის უფრო სარისკო ბილიკი, ან ადაპტაციის და კონფორმისტული უდარდებლობის გზა, თუკი ეს მისი შესაძლებლობის ფარგლებშია. პირადად ჩემთვის პავლოვისეული

კონდიციონების პრინციპების მინიმალური ცოდნა, რომლის შემდგომი გაღრმავება ფედერალური ციხის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იყო, უფრო მოხერხებული აღმოჩნდა.

ერთსახიანი ფანტომები და ჟონვადოზა

სანამ ტორონტოს დასავლეთის წინასწარი დაკავების საპატიმროს გამოცდილების თხრობას დავასრულებ და გადავალ მილჰევენის და ვერქვორთის ფედერალურ ციხეებში ჩემი ყოფნის პერიოდზე, მსურს კიდევ ერთი შემთხვევის აღწერა. ე. წ. „დაპლომბვის“, ან „გაუჟონვადობის“ კონდიციონება, როგორც დასაწყისში ვთქვი, პროგრამის შინაგანი ელემენტია. ამისთვის საგანგებო მეთოდების პრევენციული გამოყენება განსაკუთრებით აქტიურდება „უკმაყოფილოების“ მიმართ, ვისაც პრაგმატული მოტივები, თუ მორალური გრძნობა არ აძლევს უფლებას მიიღოს მისი „დამუშავების“ პროგრამული პროექტი.

ზოგიერთ მეთოდს ქვემოთ დავახასიათებ, როდესაც ფედერალური ციხის ხსენებულ გამოცდილებაზე გადავალ. აქ, როგორც ვთქვი, მხოლოდ ერთ შემთხვევას მოვიტან.

ტორონტოს აღნიშნულ საპატიმროში გაცილებით ნაკლებ კონფედერატთან მიწევდა შეხება, ვიდრე ფედერალურ სისტემაში. ამის მიუხედავად, იქ უკვე თვალში საცემი იყო ერთი რამ: ორეულების სიმრავლე იმ სამსახურში. საიდუმლო უწყებების მიერ ორეულების – სახით და ზოგადი ფიზიოგნომიით მსგავსი პირების – გამოყენება არაა უცნობი. მაგრამ, მათი რაოდენობა, და განსაკუთრებით, მათი დემონსტრაციული „ჩვენება“ პროგრამაში, ჩემთვის უცხო იყო. ზუსტად რა იყო ორეულების ჩვენების მიზანი იმ კონტექსტში, ჯერ არ ვიცოდი. მაგრამ, ერთი შემთხვევა ამართლებს ფენომენს.

ტორონტოს დასავლეთის საპატიმროს მისაღებ განყოფილებაში (ე. წ. A & D), მრავალჯერ მომიხდა ყოფნა. სასამართლოზე ყოველი წასვლა მისაღების მცველებთან დღეში

ორჯერ კომუნიკაციასაც ნიშნავს (ნასვლისას და დაბრუნებისას). მისაღების მცველების დიდი უმრავლესობა საკმაოდ თავაზიანი და კორექტული იყო ჩემს მიმართ. ამ ფონზე ერთი მცველი, რომელიც პირველივე – მიღების – დღეს შემხვდა, საკმაოდ უარყოფითად მომეკიდა, რაც ძირითადად მის სახისმეტყველებაში და ტონში გამოიხატა. ჩვენი შემდეგი კონტაქტი საკმარისი აღოჩნდა იმისთვის, რომ დამესკვნა ჩემს მიმართ მისი ნეგატიური დამოკიდებულების სტაბილურობა. აღნიშნული მცველის მხრიდან ნეგატიური ექსპრესია თოთხმეტი თვის მანძილზე სასამართლოში ჩემი სიარულის მუდმივი აკომპანიმენტი იყო. თუმცა ის არასდროს გადაზრდილა რაიმე ღია კონფლიქტში. ამ დამოკიდებულების მიზეზი, როგორც ვთქვი, ჩემთვის უცნობი იყო და ასეთად დარჩა ჩემი იქ ყოფნის ბოლომდე – სანამ ბოლო დღეს ჩავჯექი ავტობუსში მილჰევენის ფედერალურ ინსტიტუტში გადასაყვანად.

პროგრამის კონფედერატთა ჯგუფის რეალისტური როლები განანილებულია ტიპაჟთა სრულფასოვან გალერეაზე – „მკვლელიდან“ დაწყებული „ჯიბის ქურდით“ და ე. წ. „თეთრ საყელოიანი“ კომერციული აფიორის სპეციალისტით დამთავრებული. ამის გვერდით, კიდევ ერთი ფუნქციური როლის გამოყოფაა საჭირო, რომელიც ზემოთ გაკვრით ვახსენე. ჯგუფში აუცილებლად უნდა არსებობდეს რამდენიმე „ყოჩილიდერი“, რომელთა ამოცანაა სხვადასხვა თემატური პროგრამული დადგმების წარმართვა („კრებები“, „წესების“ დადგენა-გაუქმება და სხვა).

როგორც წესი ასეთი ლიდერები ტორონტოს წინასწარი დაკავების ცენტრში თავდაპირველად „შეუმჩნევლად“ შემოდიან, როგორც ჩვეულებრივი ახლად დაპატიმრებული ბრალდებულები. მაგრამ, ცოტა ხანში ისინი იღებენ ხელში „სადავეებს“ (ძილის წარმთმევთა გვერდით, ლიდერის პოზიცია მეორე შრომა-ინტენსიური ფუნქციაა და ამდენად, არც ისინი რჩებიან განყოფილებაში დიდხანს).

ერთი ახალშემოსული სასადილო მაგიდასთან ჩემს პირდაპირ დასვეს. ასე, ოცდაათი წლის ახალგაზრდა თეთრკანიანი („იტალიელის“ ტიპი). რამდენიმე კვირის მანძილზე იმით გამოირჩეოდა ვილი, რომ საკვებს სრულიად უჩუმრად მიირთმევდა, არ შედიოდა კომუნიკაციაში არავისთან და დროდადრო მორიდებულად მთხოვდა თუ რაიმე საკვები დამრჩებოდა მისთვის მიმეცა. რამდენჯერმე სკმაოდ უხერხულად ვიგრძენი თავი, როდესაც მან მთხოვა მიმეცა ჩემი სუპის ლანგარი, რომელშიც თითქმის აღარაფერი იყო, მონმინდა ის პურით და მიირთვა.

ამ პირველი კვირების შემდეგ, ერთ-ერთ „კრებაზე“ იმჟამინდელმა ლიდერმა შენიშნა, რომ ვილის ჯგუფისთვის რაღაცის თქმა სურდა და, როგორც მან გვთხოვა, სასურველი იყო კარგად მოგვესმინა მისთვის. პირველი წუთის შემდეგ ცხადი გახდა ჩემთვის, რომ ვილის სიტყვა და მისი თანმხლები აქტიურობა შოკირებაზე იყო გათვლილი. მისი ენერგიული ხმა და თვითდაჯერებული ტონი სრული კონტრასტი იყო ჩუმი და მორიდებული კაცის ხატისა, რომელსაც ერთადერთი, რაც ადრე არ ერიდებოდა იყო სხვისი საკვების ნარჩენების მდუმარედ მიერთმევა. მან იმსჯელა დღის წესრიგის და „დაუნერელი ნორმების“ გადახედვის საჭიროებაზე; ჩამოთვალა რა მოსწონდა და რა არა განყოფილებაში; ბოლოს, გვთხოვა არ მოგვრიდებოდა სიტყვით გამოსვლა და საკუთარი წუხილის ან კმაყოფილების გამოთქმა. ამის შემდეგ, იგი დაჯდა განცალკევებით – იქ, სადაც მაშინდელი ლიდერის სკამი იდგა და დაელოდა სიტყვის წარმოთქმის მსურველს. ერთი ხნის „პატიმრის“ მოკლე, არაბუნებრივი კრძალვით გამოთქმულმა შენიშვნებმა დამარწმუნა, რომ ეს წარმოდგენა რეალურად ახალი ლიდერის აღიარების ცერემონია იყო.

ამის შემდეგ ვილი გადასვეს სერვერების ცალკე მდგომ მაგიდაზე და ის გახდა ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ლიდერი, რომელიც კი მინახავს ტორონტოს დასავლეთის საპრობილის სამ განყოფილებაში. სხვათა შორის ისიც უნდა

ვახსენო, რომ ვილი ზემოთ აღწერილი ხმაურის საკითხის შესახებ ჩატარებული კრების ინიციატორი იყო. აქ აღარ აღვწერ მისი მონაწილეობით, ან ინიციატივით შესრულებულ სხვა ბიჭვეიორისტულ დადგმებს. მოკლედ ვიტყვი მხოლოდ მისი წასვლის წინა დღის ერთი დეტალის შესახებ. ციხიდან იგი წავიდა მაშინ, როდესაც სასამართლომ მე უკვე მომისაჯა ექვსი წელი და ველოდი ჩემს გადაყვანას ფედერალურში.

ერთ დღით, როდესაც უკვე ვიცოდი, რომ ვილი მეორე დღეს მიდიოდა, იგი მომიახლოვდა მჯდომარეს. „როდესაც ფედერალურში (ციხეში) მიხვალ, მისაღებში შეგეკითხებიან რაიმე საყვედური თუ გაქვს... მანდაა არსებითი არაფერი ითქვას.“ ეს იყო ერთ-ერთი იმ იშვიათი პირდაპირი კომუნიკაციის ნიმუში, რომელიც მხოლოდ რამდენჯერმე გამეორდა იმ ოთხ წელიწადში. ნათელი იყო, რომ მაფრთხილებდნენ არაფერი მეთქვა მილჰევენში ამ პროგრამის შესახებ. ჩემგან პასუხს, ცხადია არ მოელოდა ვილი. ასეთ შეტყობინებებზე სიტყვიერი პირობების დადება არ სჭირდებათ. ისიც უნდა ვთქვა, რომ მე არც ვაპირებდი მილჰევენის ადმინისტრაციისთვის რაიმეს თქმას. ...ოღონდ, სხვა მოტივით. მილჰევენი, ისევე როგორც ვერქვორთი, სისტემის ნაწილი იქნებოდა, ჩემი სწორი ვარაუდით, და ამდენად, იქ რაიმეს თქმა – უკუჩვენებადი.

* * * * *

ვილი მეორე დღეს წავიდა. მე ორ კვირაში დავტოვე ტორონტო. წასვლის დღე არსებითია. TWDC-ს მისაღებში გამჩხრიკეს, რაც პროცედურული მოთხოვნა იყო. ამის შემდეგ ჩამსვეს მილჰევენში მიმავალ ავტობუსში, რომელშიც სხვა რამდენიმე პატიმარი უკვე იჯდა. მე განცალკევებით, ფანჯარასთან ვიჯექი. რამდენიმე წუთში შევნიშნე კიდევ ერთი პატიმარი, რომელმაც მოულოდნელად ჩემი ყურადღება მიიქცია. წამიერად გავაცნობიერე, რომ პატიმარი არაჩვეულებრივად ჰგავდა იმ მცველს, რომელიც ჩემს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა და რომელიც იმ დღეს არ შემხვედრია მისაღებში. პატიმრის სახის ნაკვთები, გამო-

ხედვა და ტანის ზოგადი ფორმა თითქმის ზუსტად იმეორება და კონფლიქტური მცველის გარეგნობას. როდესაც მან ჩამიარა და მრავალმნიშვნელოვნად გადმოხედდა, ნათელი გახდა მისი ჩემზე „გამოყოლების“ მნიშვნელობაც. ეს კიდევ უფრო გამოიკვეთა მილჰევენში ჩასვლისას, სადაც ტორონტოელი მცველის ეს ორეული უკან მომიჯდა და დროდადრო გამოხედვით თავს მახსენებდა.

ვილის მიერ ჩემი გაფრთხილება და მცველის ორეული აგენტის მეშვეობით პროგრამის ობობისებური ქსელის „ყველგან არსებობის“ შესაძლებლობის ეს დემონსტრაცია ალბათ საკმარისი იქნებოდა მილჰევენის მისაღებში ჩემი გაჩუმებისთვის, მე თავად რომ არ გამეცნობიერებინა იქ ჩივილის უაზრობა. მაგრამ, „ნეგატიური მცველის“ მეშვეობით ჩემი მეთოდური კონდიცირება და, რაც მთავარია, ასეთი „მცირე დეტალისთვის“ თოთხმეტი თვის დათმობა საკმაოდ კარგად უჩვენებს საიდუმლო სამსახურების მიდგომას. ვისაც ეს მასშტაბები არარეალისტურად ეჩვენება, შეუძლია სცადოს სხვადასხვა „სტინგ“ პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება – მაგალითად კანადის ფედერალური პოლიციის RCMP-ის პროგრამა „მისტერ ბიგ“-ის შესახებ – სადაც იგი დარწმუნდება, რომ ხშირად ერთი აზრის სამიზნე სუბიექტში „ჩანერგვისთვის“, წლები და ათასობით დოლარი იხარჯება (აღნიშნული პროგრამის შესახებ იხ. „you-tube“).

ორეული მილჰევენის ციხეში რამდენიმე კვირის განმავლობაში „მახსენებდა თავს“ – ეზოში ან სხვაგან „მოახლოვებით“, ან ზურგს უკან დადგომით. როდესაც ერთ დღეს ჩემს მეუღლეს ისევ ჩავანერვინე ტელეფონით დამატებითი ინფორმაცია ამ პროგრამაზე, ორეული მალევე გაუჩინარდა. ერთის მხრივ, მისი მთავარი ამოცანა შესრულებული იყო. მიღების დღეს მილჰევენში, როდესაც შესაძლებელი იყო წინა ციხეზე საყვედურის ფორმალური გამოთქმა, მე არაფერი მითქვამს. მეორეს მხრივ, ჩემი ვარაუდი ის იყო, და დღესაც რჩება, რომ იმ ეტაპზე ჩემი უფრო „ზოგადი დაპლომბვის“ მცდელობის უშედეგობამ დაარწმუნა პროგრამის მენეჯმენტი, რომ მილ-

ჰევენში ორეულის შენარჩუნებას აზრი აღარ ჰქონდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ორეულის მეშვეობით არავერბალური გზავნილის მონოდების ეს შემთხვევა – და ჩემს მიერ მისი უშეცდომო აღქმა – დიდწილად განაპირობა სხვა ორეულების დემონსტრაციების იმ ფაქტმა, რომელიც ზემოთ ვახსენე.

მილჰევენი

მილჰევენის საკლასიფიკაციო განყოფილება (MAU) შუალედური ციხეა, სადაც პატიმრის შესაბამის ფედერალურ დაწესებულებაში განაწილება ხდება. როგორც წესი, ამას სამი-ოთხი თვე მიაქვს. ტორონტოს დასავლეთის წინასწარი დაკავების საპრობილის შემდეგ, მილჰევენის მისაღება და იქ დამხვედრი ოფიცრების მოპყრობამ ტურისტული სააგენტოს და სამოგზაურო-გასართობი დაწესებულებების განწყობა დატოვა. წითელი კომბინიზონის ნაგვის ყუთში ჩადებას და მის ნაცვლად ჯინსის და „ბოტასების“ მიღებას არაჩვეულებრივი სიმბოლური ძალა აქვს. მისაღების ნათელი და მაღალჭერიანი სივცე იმის მომასწავებელია, რომ დასრულდა გაურკვევლობის და უსასრულო ლოდინის ბნელი ლაბირინთი და დაიწყო გარკვეულობის მართვა და სასრული სივრცე.

ეს პირველი შთაბეჭდილება დიდ ხანს არ გასტანს. როდესაც აღმოაჩინო, რომ ფედერალური აჩრდილები – პატიმრებად გადაცემული კონფედერატები და პროფაილერები – აქაც თქვენი ხვედრია, საწყისი ეიფორია შენელებს. როდესაც ძილის წართმევის ნაცნობი მეთოდები ისევ გახდება თქვენი ღამის მასპინძელი, დახურული სივრცის პირქუში მოგონებები კვლავ განსაზღვრავს ცნობიერების ჰორიზონტს.

მაგრამ, ისეთი მცირე დეტალი, როგორცაა გამოსაღები, გამჭვირვალე ფანჯარა, რომელიც საკანში დამხვდა, მაინც გადანონის ნეგატიურის ბალანსს. დიდი, საერთო ეზო, რომელშიც დღეში ორი საათი დავრჩები, ასევე სრული სიახლეა.

მაგრამ თავისი არსით ყველა ამ დეტალზე მნიშვნელო-

ვანია პიროვნების სოციალური სრულფასოვნების აღიარების ისეთი მცირე ნიშანი, როგორცაა თქვენს შესახებ გარკვეული საბუთების თქვენთვის გადმოცემა, რომელშიც ნაიკითხავთ გარკვეულ ინფორმაციას საკუთარი წარსულის და მომავლის შესახებ. ეგრეთ წოდებულ საკლასიფიკაციო ანგარიშს, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების ასლების ჩათვლით დაახლოებით სამოცი-სამოცდაათი გვერდია, მეტაფიზიკური მნიშვნელობა ექნება. TWDC-ის შემდეგ, სადაც საბუთების პატიმრისთვის მიუწვდომელობა ფსიქოლოგიური ტერორის კიდევ ერთი წყაროა, მრავალგვერდიანი ანგარიშების ფლობა ჩემთვის იმის ნიშანიცაა, რომ მე მართლაც ვარსებობ, რომ ჩემი როგორც სოციალური არსების რეალობა ბინდისა და ბურუსის იმ ქვესკნელში არ წაუშლიათ.

მილჰევენის ბიბლიოთეკაში რამდენიმე წიგნი ავიღე. ტორონტოს ციხის „მოძრავი ბიბლიოთეკა“ – პატარა გოგოლაჭებიანი მაგიდა, რომელზეც ორმოცდაათამდე წიგნი ეტეოდა – ორ კვირაში ერთხელ მოჰქონდათ განყოფილებაში. ამის შემდეგ, მილჰევენის ბიბლიოთეკის წიგნებით შევსებულ გრძელ თაროებს შორის სიარულს თვითღირებულება ჰქონდა.

მილჰევენში წიგნის გამოცდილება სხვა მხრივაცაა არსებითი. ერთ დღეს, განყოფილების დერეფანში, სამრეცხაო ოთახის წინ, შევნიშნე რამდენიმე ძველი წიგნი, რომელთა საკანში წაღება დაშვებული იყო. როდესაც წიგნები დავათვალიერე, ერთმა სათაურმა მიიქცია ყურადღება. „Behavior Modification principles, issues, and applications“ – ავტორები ე. ქრეიგჰედი, ა. კაზდინი და მ. მაჰონეი, პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1976 წელს გამოცემული. როგორც ალფრედ უაითჰედი ამბობს ერთგან, ინტერესი მხედველობის პირობაა. ინტერესის სრული უქონლობა სიბრმავის ტოლფასი იქნებოდა. ფოლკლორულ ფორმაში ეს დებულება იოლად გაიგივდება გამოთქმასთან: „რაც, არ გინდა, იმას ვერ ხედავ“. იმ კონტექსტში უაიტჰედის და ამერიკელი პრაგმატიკების ამ დებულების შებრუნება უფრო რელევანტური

იყო. როდესაც არსებობს კითხვა („ინტერესი“), ამ კითხვასთან დაკავშირებული საგნები უფრო იოლად ექცევა მხედველობის (აღქმის) არეში.

ბიჰევიორისტული მოდიფიკაციის აღნიშნული წიგნის სათაური არაჩვეულებრივი სიცხადით შემოვიდა ჩემი მხედველობის არეში. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინების ამ შეთანხმების შესახებ არაფერი ვიცოდი – ანუ არ ვიცოდი ის, რომ არსებობს საკმაოდ განვითარებული დისციპლინა, რომელსაც ბიჰევიორული მოდიფიკაცია ეწოდება – აშკარა იყო, რომ წიგნის სათაური ჩემი ცნობიერების კითხვების ველში უკვე კარგა ხანია არსებობდა. ცხადია, მანამდე უკვე ვიცოდი ბიჰევიორიზმის ზოგადი თეორიის შესახებ, რომ ის ფსიქოლოგიაში და ფილოსოფიაში ერთ-ერთი მიმართულებაა. ასევე კარგად მახსოვდა ის დამოკიდებულება, რომელიც „ღირებულების თეორიის“ გერმანულ-ანთროპოლოგიური სკოლის თაყვანისმცემლებს აქვთ საქართველოში „სციენტისტურ-ბიჰევიორისტული“ სკოლის მიმართ.

მაგრამ, ახალი იყო ის, რომ არსებობს სპეციალური დისციპლინის ინსტიტუციონალური პრაქტიკა, რომელშიც პავლოვისეული და სკინერისეული კონდიციონირების მეთოდები ინდივიდის ქცევის ყალიბ-მიცემისთვის გამოიყენება.

როდესაც წიგნი საკანში მივიტანე და გადავშალე სარჩევი, ასეთივე გარკვეულობით მოექცა ჩემი ხედვის არეში ერთ-ერთი თავის სახელწოდება: „ქცევის მოდიფიკაცია ციხეებში“. წიგნის ამ თავიდან შეიტყობთ იმას, რომ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანებში, ამერიკის ციხეებში ზოგიერთი ტიპის პატიმრებზე იყენებდნენ ისეთ ავერსიულ მეთოდებს როგორებიცაა სასქესო ორგანოების ელექტრო შოკირება, სულის შეხუთვის (უჰაერობით დახრჩობის) გრძნობის სიმულატორები, ლებინების ფარმაკოლოგიური სტიმულატორები და სხვა.

ის, რომ „მოქცევის თერაპია“ (conversion therapy) დღეს სწორედ ამ მეთოდებს იყენებს ჰომოსექსუალიზმის „გასაკურნად“, ყველასათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციაა ინ-

ტერნეტში. მაგრამ, 2012 წლის იმ გაზაფხულზე ბიჰევიორული მოდიფიკაციის იმ წიგნის აღმოჩენას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის. მან გამიიოლა რაღაცნაირად გაგების ველში მომექცია ის გამოცდილება, რომელიც თხუთმეტი თვის წინ დაიწყო. ამ გამოცდილების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამთრგუნველი მხარე პატიმრებად გადაცმული კონფედერატების გამოყენებაა. როდესაც ამერიკის ციხეებში აღნიშნულ მეთოდებს და პროგრამებს იყენებდნენ, მრავალმა პატიმარმა პროგრამის შეჩერება მოითხოვა, და მიაღწია მიზანს სასამართლოს და ადვოკატის მეშვეობით. როდესაც პატიმრებად გადაცმული კორექციული სამსახურის აგენტები ბიჰევიორული მოდიფიკაციის მეთოდებს „რეალისტური გარემოს“ სიმულაციით ნიღბავენ, და არავერბალური მეთოდებით ახერხებენ მათი შეტყობინებების თქვენთან „უკვალო“ კომუნიკაციას, თქვენ აღარ გრჩებათ არჩევანი – პროგრამისგან თავის დაღწევა შეუძლებელია. უსამართლობის განცდას ისიც იწვევს, რომ პროგრამაში ასეთი „აჩრდილების“ გამოყენების ფაქტი არაჩვეულებრივად კარგადაა შენიღბული და ორგანიზებული ყველა დონეზე. მე რომ დამოუკიდებელი ადვოკატი მყოლოდა, შედარებით იოლი იქნებოდა ამ სირთულეებთან გამკლავება. მაგრამ, ჩემი უფლების დაცვას შეუძლებელს ხდიდა ის, რომ როგორც სასამართლო, უფრო ზუსტად, მოსამართლე, ისე ჩემი ადვოკატი „სისტემის“ ნაწილი იყო.

მეორე წიგნი, რომელსაც მილჰევენის ბიბლიოთეკაში შემთხვევით ნაგანყდი და რომელმაც ასევე შეასრულა გაგების ველის მობილიზაციის მნიშვნელოვანი როლი, იყო რობერტ ჰინდეს მიერ რედაქტირებული „Non-Verbal Communication“, გამოცემული კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ, 1972 წელს. ამ წიგნის დამსახურება ის იყო, რომ მან ჩემი ყურადღება გაამახვილა არავერბალური კომუნიკაციის ისტორიაზე და იმ ფაქტზე, რომ ემოციების სახეზე გამოხატვის შესახებ დარვინის შრომის შემდეგ, არავერბალური კომუნიკაციის სისტემატური კვლევები მხოლოდ მეოცე საუკუნის სამოციანებიდან დაიწყო. ის, რომ სახის მეტყველება და ე. წ. „ტანის

ენა“ საკმაოდ კომპლექსური სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის საგანია, ის, რომ ამ „ენობრივი“ ელემენტების სხვა არაენობრივ კონტექსტთან მიმართება „ტანის ენის“ პრაგმატიკის ნაწილია, ის, რომ ტანის დინამიკა-სტატიკის გვერდით, „ტანის მიერ გამოცემადი სხვადასხვა ბგერები“ და სუნი ამ სინტაქსურ-სემანტიკური ანალიტიკის საკვლევი ობიექტის ნაწილია, და მრავალი სხვა დებულება, იმ ვითარებაში გახდა ჩემი დეტექტიური ინტერესის საგანი.

ამ ჰერმენევტიკულ-დეტექტიურ ერთუზიაზმს მოგვიანებით სხვა წიგნებშიც გადავლიერებ. ფილიპ ზიმბარდოს და სხვათა ნაშრომებიდან გავიგებ, რომ სახითმეტყველებით და სხვა არავერბალური სიმბოლიზმის მეშვეობით ფსიქოლოგიური ზემოქმედება საკმაოდ ინტენსიური კვლევის საგანია. აქედან არ იქნება ძნელი იმის დედუქცია, რომ დაზვერვის და სხვა საიდუმლო სამსახურები ამ ტიპის „კომუნიკაციას“ არაჩვეულებრივი ერთუზიაზმით უნდა ეკიდებოდნენ, და რომ არავერბალური კომუნიკაციის უარყოფადობის მაღალი ხარისხი მათთვის მისი მიმზიდველობის ძირითადი მახასიათებელი უნდა იყოს.

ძალაუფლების და იძულების იმ სამყაროში რეალობის გაგებისთვის საჭირო ცნებების მოგროვებას და გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთ ცნებათა მნიშვნელოვნებას პროგრამის ფანტომური არსი განსაზღვრავდა. როდესაც თვეების მანძილზე არავინ გაუწყებთ, ან აღიარებს, რომ სახელმწიფოს ფარული სამსახურების აგენტების მხრიდან მეთოდური ფსიქოლოგიური ზემოქმედების სუბიექტი ხართ, ხოლო როდესაც თქვენ ამას ამტკიცებთ, მათემატიკური სიზუსტით მოზომილი ავერსიული თერაპია თქვენი ხვედრია (მაგალითად, ზემოთ აღწერილი „fuck you“ შეძახილით ოცდაათ დღიანი ძილის გატეხვა), თქვენთვის გადამწყვეტი გახდება ნებისმიერი გარემოებითი მტკიცებულების მოპოვება, რომელიც თუნდაც შესაძლებლობის სახით მიუთითებდა თქვენი მტკიცებების რეალისტურობისკენ.

ამ მიმართებით მილჰევენი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. წიგნების კითხვის გვერდით გამორჩეული ადგილი დაიკავა საკლასიფიკაციო ანგარიშებმა. ის ფურცლები უკვე მილჰევენის მიტოვების მოახლოებისას გადმომცეს, 2012 წლის აპრილის ბოლოს. მათი კითხვისას ერთმა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დებულებამ, მიიქცია ჩემი ყურადღება. „კორექციული გეგმის“ მეექვსე გვერდზე წავიკითხე: „სუბიექტი იმყოფება მენტალური ჯანმრთელობის გუნდის (team) უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მილჰევენის ინსტიტუტში.“ ინგლისურ ორიგინალში „მეთვალყურეობა“ აღნიშნულია სიტყვით „მონიტორინგი“. როგორც არ უნდა განვსაზღვრო მისი მნიშვნელობა, მონიტორინგი იმ კონტექსტში არ შეიძლება ნიშნავდეს „შორიდან ყურებას“, ან ვიდეთვალთვალს, ან რაიმე ამის მსგავს არაუშუალო დაკვირვებას, მით უმეტეს, რომ ამ სახელ-ზმნას ახლდა ზმნისზედა „უშუალოდ“, თუ „ახლოდან“ (closely). ამის პარალელური ფაქტი, რომელიც ამ დებულებას მნიშვნელობას აძლევს, ის იყო, რომ მე არავითარ „მენტალური ჯანმრთელობის გუნდთან“ არ მქონია შეხება მილჰევენში, თუკი ამ ცნებაში ვიგულისხმებთ ოფიციალურად წარდგენილ ციხის სამედიცინო, თუ რაიმე სხვა ფსიქოლოგიური უწყების თანამშრომლებს.

დაუჯერებელი იყო, რომ თუნდაც ასეთი იმპლიციტური ფორმით, კორექციული გეგმის ამ ანგარიშში გაეპარათ, ან მათი ტერმინით თუ ვიტყვი, „გაჟონა“ იმფორმაციამ პატიმრებად გადაცმული ბიჰევიორიტების და კოფედერატების შესახებ. როგორც არ უნდა მეცადა იმ დებულების რაიმე სხვაგვარი ინტერპრეტაცია, დავრწმუნდი, რომ მისი ყველაზე ბუნებრივი გაგება ჩემი ვერსია იყო. ცხადია, ამგვარი „დანერილი“ ნაკვალევის შემდგომი მოძიება მილჰევენში შეუძლებელიც იქნებოდა და მიზანშეუწონელიც.

მაგრამ ამ „ჟონვის“ აშკარა ფაქტმა მომცა იმედი, რომ მომავალში კიდევ წავაწყდებოდი რაიმე ამის მსგავსს. ვერ-ქვორთში ჩემი იმედი გამართლდება.

* * * * *

მილჰევენიდან ვერქვორთში გადაყვანამდე ორი კვირა იყო დარჩენილი. რალაც მოტივით, რომელიც ჩემთვის უცნობი იყო მაშინ, მოპირდაპირე საკნიდან ერთი პატიმარი გადმოიყვანეს ჩემს საკანში. გაირკვა, რომ ერთ კვირაში ისიც ვერქვორთში მიდიოდა. იმ კვირის მანძილზე საკმაოდ კარგი ურთიერთობა დავამყარეთ. ნასვლის წინ მან ისიც მითხრა, რომ როგორც კი ვერქვორთში მივიდოდა იზრუნებდა, რომ ერთ საკანში ვყოფილიყავით. გაირკვა ისიც, რომ მან საკმაოდ კარგად იცოდა ინსტიტუციონალური ცხოვრების დეტალები და ის, თუ როგორ „გაეხერხებია“ ჩემთვის ადგილი მის მომავალ საკანში.

საკანში შემოსვლიდან ორ დღეში, ახალმა თანამესაკნემ ამოიღო ერთი წიგნი და დადო მაგიდაზე. მისი სათაური იყო: „ციხიდან პოლიტიკამდე“ (From Prison to Politics). ამ დეტალის მნიშვნელობის გაგებისთვის რამდენიმე დებულების და ფაქტის გააზრებაა საჭირო. ერთი ისაა, რომ წიგნების სათაურებით „ლაპარაკი“, უფრო ზუსტად, სამიზნე სუბიექტზე გარკვეული აზრების სუგესტირების მცდელობა, პროგრამის ფარგლებში სპეციალური კომუნიკაციის სახეობას წარმოადგენს. სალი აზრის დონეზე ამას ახსნა სჭირდება – იმას, თუ რატომ თვლიან პროგრამის მესვეურები, რომ შესაძლებელი იქნება ნორმალურ პიროვნებაზე ასეთი მანიპულაციური მეთოდებით ზემოქმედება.

პროგრამაში სუგესტირების მეთოდის გამოყენების მნიშვნელოვანი ნაწილია სამიზნე პირის ცნობიერებაში ადვილად შთაგონებადი აზრების კვლევა. ამის ერთი მეთოდია პიროვნების ზოგადი ორიენტაციების, მისი მომავლის წარმოდგენების, ბიოგრაფიული დეტალების და სტატიკური და დინამიკური პირადი ფსიქოლოგიური მახასიათებლების ემპირიული კვლევა. კიდევ ერთი შესავალი დებულების სახით ისიც უნდა ითქვას, რომ თემატური კონტექსტის თანდათანობით შემზადებას გადამწყვეტი როლი აქვს. რაიმე ფრაზით ან არავერბალური კომუნიკაციით შეთავაზებული შეტყობი-

ნების ადექვატური წაკითხვა არსებითად დამოკიდებულია სამიზნე პირის მიერ უკვე ათვისებულ მნიშვნელობით ერთეულებზე. მაგალითად, ფრაზა „ციხიდან პოლიტიკამდე“ შეიძლება არაფერს ნიშნავდეს იმისთვის, ვისაც ციხესთან არავითარი შეხება არა აქვს, ხოლო პოლიტიკა მისი შესაძლო კარიერის შორეულ ალბათობას წარმოადგენს. ასევე, თუ მავანი ციხეშია და მისი თანამესაკნე – რეალური პატიმარი – ხშირად საუბრობს საკუთარი მომავალი პოლიტიკური აქტივიზმის შესახებ, ნიგნი „ციხიდან პოლიტიკამდე“, რომელიც თანამესაკნის მაგიდაზე დევს, ალბათ არაფრის მთქმელი იქნება მავანისთვის – გარდა იმისა, რომ მისი კომპანიონი, როგორც ჩანს, სერიოზულად ეკიდება საკუთარ მიზანს.

მაგრამ, თუ მავანი ციხეშია, განყოფილების სხვა პატიმრებისგან ხშირად ისმენს საუბარს კანადის ციხეებში არსებული რეაბილიტაციური სამთავრობო პროგრამების შესახებ, რომლებიც პატიმრებს ციხის ვადის მოხდის შემდეგ შესაბამისი სამსახურის პოვნაში ეხმარება, და ამასთანავე, უკვე ეჭვგარეშეა, რომ ეს დიალოგები სრულდება პატიმრებად გადაცემული უშიშროება-კორექციული სამსახურების აგენტების მიერ, მაშინ აღნიშნულმა ნიგნის სათაურმა შეიძლება შეიძინოს უფრო კონკრეტული მნიშვნელობა მავანისთვის – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის საქმეს პოლიტიკური ასპექტი აქვს.

ზოგადად, ასევე უნდა ითქვას, რომ ჰერმენევტიკული (გაგების) მეთოდის არაჩვეულებრივად მოქნილი გამოყენება პროგრამული კომუნიკაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელია. ეს ძირითადად ხორციელდება, ასე ვთქვათ, მეორადი კონტექსტების გრძელვადიანი აგების წესით. როდესაც არსებობს ასეთი გრძელვადიანი მეორადი კონტექსტი და, ამასთანავე, სამიზნე სუბიექტისთვის ნათელია ცალკეული შეტყობინების შეუსაბამობა უშუალო – „პირველად“ – კონტექსტთან, იგი იოლად აითვისებს მეორადი ჰერმენევტიკული სივრცის ჰიპოთეზური მოხმობის ჩვევას, რომელიც მას დასჭირდება ცალკეული გაუგებარი ფრაზების, ან დებუ-

ლებების გააზრებისთვის. ბოლოს, ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ ჰერმენევტიკული მეთოდის მეშვეობით გზავნილის სწორად წაკითხვა არაფერს ამბობს წაკითხულის ჭეშმარიტებაზე. ის ისევე შეიძლება იყოს მეთოდური მოტყუების ნიმუში, როგორც სხვა ტიპის კომუნიკაცია.

შემდეგი ფაქტი, რომელიც ისევ ტორონტოს ციხეს უკავშირდება, გარკვეულად აიოლებს წიგნის სათაურებით „მეტყველების“ რეალისტურობის მტკიცებას. ტორონტოს ციხეში ზოგიერთი „პატიმარი“ გაზეთს იღებდა და შემდეგ მისი წაკითხვა ყველას შეეძლო. ერთ დღეს გადავშალე გაზეთი „ტორონტო სტარი“, რომელშიც მოცემული იყო სტატია ვინმე კანადელ ემიგრანტზე, რომელმაც საკმაოდ სერიოზული პირადი ტრამვის და სულიერი ტკივილის შემდეგ მოახერხა ამ სირთულეების დაძლევა, რის შემდეგაც იგი გახდა კანადის პოლიტიკის ერთ-ერთი წარმატებული მოღვაწე. ეს ამბავი, ასეთ რეზუმირებულ ფორმაში არ ჟღერს საკმაოდ დრამატულად. უნდა ვთქვა, რომ არც საგაზეთო ვერსია იქნებოდა კომპოზიციურად და სტილისტურად ბევრად უფრო შთამბეჭდავი (თუმცა მოცულობით, ცხადია, უფრო დიდი იყო). ასე თუ ისე, ფაქტი ისაა, რომ ჩემთვის მოულოდნელად, სტატიის კითხვის დროს შევნიშნე, რომ დამჭირდა საკმაო ენერჯის მოკრება იმისთვის, რომ სახეზე არ დამტყობოდა ძლიერი ემოცია.

მაგრამ, პროფესიონალ დამკვირვებლებს „წყლიან თვალებს“ ვერ გამოაპარებ. მით უმეტეს, როდესაც მათი დაკვირვება წინასწარ კარგად დაგეგმილი ტესტია. „good job!“ – როდესაც ერთ-ერთმა კონფედერატმა მოგუდული ხმით ჩაილაპარაკა თავისთვის, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ჩემი მცდელობა არ შემემჩნია ემოცია, წარუმატებელი იყო და ასევე ის, რომ ჩემს მიერ იმ სტატიის წაკითხვა ფსიქოლოგიური კვლევის ნაწილი იყო.

მათთვის ამ ცდის შედეგად აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ ჩემი ცნობიერების სუგესტირებადი ფენომენები შეიცავდა ისეთ ერთეულებს როგორებიცაა „ტრამვის დაძლევა“, „ძლიერი პიროვნული ხასიათი“ და „წარმატებული და მორა-

ლურად სუფთა პოლიტიკური კარიერა“. იმ დღეს მხოლოდ ბუნდოვანი რეფლექსური მიხვედრის დონეზე შეიძლებოდა დამესკვნა ის, რომ ტესტის დანიშნულება, გარკვეულწილად, სუგესტირებადი ელემენტების კვლევა იყო და რომ, ამასთანავე, ტესტი თვითონ შეიძლება ყოფილიყო კონკრეტული შთაგონების (სუგესტიის) სახეობა. ცხადია, რომ მათ მიერ ჩემი ამგვარი დაკვირვება-ტესტირების ჩემეული ანალიზი და მათზე უკუდაკვირვება უფრო მეტად იყო დამოკიდებული ინტუიციურ-ჰიპოთეზურ აზროვნებაზე. ამგვარი „ჰიპოთეზური“ პრაქტიკის შედეგების სანდოობა, რა თქმა უნდა, დამოკიდებული უნდა იყოს მათი მრავალჯერადი გადამოწმების შესაძლებლობაზე, რაც მაშინ მომავლის საქმე იყო. მოკლედ იმასაც ვიტყვი, რომ დიდი ალბათობაა აღნიშნული ტესტის დროს გარკვეული ემოციის სტიმულატორიც იყო გამოყენებული. სხვაგვარად ძნელია იმ სტატიაზე ჩემი ჭარბი ემოციური რეაქციის ახსნა.

როდესაც ჯორჯმა – მილჰევენის ჩემმა ახალმა თანამესაკანემ – აღნიშნული წიგნი დადო მაგიდაზე, რომელიც მას კვირის მანძილზე არ გადაუშლია, გასაგები იყო, რომ ტორონტოს გუნდის მიერ აკინძული ჩემი ფაილი ზედმინევენით კარგად იყო შესწავლილი.

ორ კვირაში ჯორჯი დამხვდა ვერქვორთის ახალმოსულთა განყოფილებაში, სადაც მის საკანში მომათავსეს. მასთან ერთად უნდა მოვიხსენიო მეორე პატიმარი ლუ – ასე, ორმოცდაათი წლის, ფრანგული წარმოშობის კანადელი – რომელიც ასევე მილჰევენიდან გამომყვა. ლუ აშკარად პროფაილერი იყო. ვერქვორთში მისი ძირითადი ფუნქცია იყო დღის მანძილზე, განსაკუთრებით კი დილაობით, ჩემთან კონტაქტი და ჩემი იმ დღის განწყობის უშუალო გამოკვლევა. ასეთი უშუალო კვლევა მნიშვნელოვანი იყო ვერქვორთში. იმ ფედერალური ციხის თავისებურება ისიცაა, რომ მეტი ღია სივრცე და მეტი თავისუფლებაა, ვიდრე წინასწარი დაკავების ტორონტოს ციხეში, სადაც მე და კონფედერატები მთელი დღე ერთ ოთახში ვიყავით. ამდენად პიროვნების ყოველწუთიერი განწყობი-

თი მდგომარეობების უშუალო დაკვირვებას მეტი ადამიანური რესურსები და მეტი ენერჯია სჭირდება.

ვერქვორტი – საგზარეულო

ვერქვორტის ფედერალური ციხე ტორონტოდან აღმოსავლეთით, ასე, ორას კილომეტრში მდებარეობს. ონტარიოს ტბის სიახლოვე მავთულხლართებიანი გალავნიდან მაინც იგრძნობა. ტყე-ჭალა და კანადური იხვების ცაზე შეფენილი მწკრივები გაზაფხულზე ციხის ეზოს სანახაობაა. გარემოს კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა ინდიელი პატიმრებისთვის ცალკე გამოყოფილი ეზოს მიღმა ხილვადი დაისია.

რაც შეეხება ვერქვორტის ინსტიტუტის მიკრო-სამზარეულოს – მის ბიჰევიორისტულ ინტერვენციებს და კონტროლის მექანიზმებს – ამ მხრივ, ინსტიტუტის ეპიგრაფად შეიძლება გამომდგარიყოს ის ნარწერა, რომელიც მისი ჰოსპიტალის ფსიქოლოგიის განყოფილების კარზე წავიკითხე: „ცივილიზაცია დაიწყო მაშინ, როდესაც ადამიანმა გააცნობიერა, რომ ქვის სროლის ნაცვლად შეურაცხყოფის (insult) მიყენება ჯობს.“ ამ დებულების თავისუფალი ფოლკლორული წაკითხვა ვერ დააფიქსირებდა იმ სიღრმისეულ მნიშვნელობას, რომელიც მას ვერქვორტის ინსტიტუტში აქვს. ისიც უნდა ითქვას, რომ ქვის სროლის ნაკლი იმ დებულების ჩემთვის უცნობი ავტორისთვის, როგორც ჩანს, არა ადამიანისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენებაა, არამედ ამ აქტის არაიოლად უარყოფადობა. შეურაცხყოფის აქტს, როდესაც მას პროფესიონალი ფსიქოლოგი ამზადებს და განვრთნილი პროვოკატორი ასრულებს, არაჩვეულებრივი თვისება შეიძლება ჰქონდეს: ძლიერი სულიერი ტკივილი და უკვალო დასაშაული. კორექციული ინსტიტუტის ეს იმპლიციტური შეგონება, ცხადია, კეთილი სურვილითაც უნდა ყოფილიყო მოტივირებული. ამკარაა, რომ რუბრიკა „როგორ ავიცილოთ ციხე“ შეგონების ნაწილია.

ვერქვორთში ჩასვლიდან რამდენიმე თვეში ციხის სამზარეულოში დავინყე მუშაობა. ისიც უნდა ვახსენო, რომ სამუშაოს ძიებისას ჩემს განცხადებაში ავირჩიე ე. წ. „კორკანი“ (კანადის კორექციული სამსახურების წარმოებითი დაწესებულება) და არა სამზარეულო. როდესაც სამზარეულოდან მომივიდა „მონვევა“, არ გამკვირვებია. მოსალოდნელი იყო, რომ თვითონ გადანყვეტდნენ სად ვიმუშავებდი. სულ მალე მათი ამ გადანყვეტილების საზრისი უფრო გასაგები გახდა.

სამზარეულოს ორი დიდი დარბაზი ექვსასი პატიმრის მომსახურებაზეა გათვლილი, რომლებსაც ოთხ წყებად, თხუთმეტწუთიანი ინტერვალით, უშვებენ (დარბაზებში ორასი პატიმარი ეტევა). სამზარეულოს დახლების მიღმა მისი შიდა განყოფილებაა, სადაც საკვები მზადდება. ჭურჭლის სამრეცხაოც იქვეა. მე თავიდან ჭურჭლის სამრეცხაოში განმანესეს, რომელიც არ არის კედლით გამოყოფილი ზოგადი სამზარეულოს დანარჩენი ნაწილისგან. ქვაბების და სხვა დიდი მეტალის ჭურჭლის რეცხვა მექანიზირებულია. ჭურჭელი ჯერ შლანგის ცხელი წყლით უნდა მოასუფთავო და შემდეგ შედგა ის სარეცხ მანქანაში, რომელიც გარეცხავს და გააშრობს მას. ამის შემდეგ დაგროვილი ჭურჭელი უნდა მოათავსო შესაბამის თაროებზე.

დაახლოებით ერთ თვეში ერთი დამატებითი საქმეც დამევალა: ვახშმის დროს იმ დახლთან დგომა, სადაც გაიცემოდა საკვები. ჩემი მოვალეობა იყო დაცლილი ჭურჭლის სამრეცხაოში წაღება. ამ პროცესში ძირითადად დახლთან დგომა მიხდებოდა, რადგან ჭურჭელი არც ისე სწრაფად იცლება და მის სამრეცხაო განყოფილებაში წაღებას ათ წამზე მეტი არ მიაქვს. სანამ ამ დეტალის მნიშვნელობას განვმარტავ და მოვიტან ვერქვორთის სამზარეულოსთვის დამახასიათებელ კიდევ ერთი ფსიქოლოგიური დაკვირვება-კვლევის მაგალითს, სასურველია მცირე კონცეპტუალურ-ექსპერიმენტული გადახვევა.

* * * * *

შემდეგი ფრაგმენტი შეკრთომის (startle) რეაქციის – და მისი თანმხლები ემოციის – ერთი ექსპერიმენტული კვლევიდან არის მოტანილი. მოცემულ კონტექსტში მისი მოტანის მნიშვნელობა სახის ემოციურ-გამომსახველობითი კვლევების შიდა სამზარეულოს წარმოდგენაა და იმის დანახვა, რომ ადამიანის სახის (და ტანის) ერთი მიკრო მოქმედება – როგორცაა შეკრთომა – შეიძლება იყოს ლაბორატორიული და უფრო პროდუქტიული არალაბორატორიული in vivo კვლევის საგანი.

„შეკრთომის რეაქციის გამოსაწვევად აირჩიეს ოცდაორკალიბრიანი რევოლვერის გასროლა, რადგან ლადისის და ჰანტის თანახმად ეს ყველაზე ეფექტური სტიმულია. რევოლვერი მოათავსეს სამფეხა სამაგრზე, რომელიც სუბიექტის უკან, მეტრნახევრის დაცილებით იდგა. ... ოთახში გადამღებიც იყო, რომელიც სუბიექტისგან სამი მეტრით იყო დაცილებული. სუბიექტის რეაქცია თექვსმეტ მილიმეტრიანმა კინოგადამღებმა კამერამ ჩაინერა, რომლის სიჩქარე წამში ორმოცდაათი კადრი იყო. ნორმალურზე [ორჯერ უფრო] დიდი სიჩქარით ჩაინერა იმიტომ გადაწყდა, რომ ლანდისის და ჰანტის მტკიცებით შეკრთომის რეაქცია იმდენად სწრაფია, რომ სახის და ტანის ცვლილებების ჩასაწერად, რომელიც შეკრთომის რეაქციის კომპონენტებია, მაღალი სიჩქარის გადამღები აუცილებელია.

ექსპერიმენტული პირობები

არაანტიციპირებული (მოულოდნელი) შეკრთომა

თუმცა (დაკვირვების) სუბიექტებმა იცოდნენ, რომ ერთი საათის განმავლობაში რევოლვერი გაისროდა, მათ არ იცოდნენ ზუსტად როდის მოხდებოდა ეს. რევოლვერმა გაისროლა დაახლოებით თხუთმეტ წუთში, როდესაც ექსპერიმენტატორი მეხსიერების ტესტის ინსტრუქციებს იძლეოდა.

ანტიციპირებული (მოსალოდნელი) შეკრთომა

შეკრთომის შესახებ მცირე (დაახლოებით ხუთწუთიანი) ინტერვიუს შემდეგ ექსპერიმენტატორმა ახსნა დათვლის

პროცედურა. მან თვლა ათიდან დაიწყო, წამზომის სიჩქარით. როდესაც მან ნულს მიაღწია, რევოლვერმა გაისროლა.

შეკავებული შეკრთომა

შეკავებული და სიმულირებული შეკრთომის ექსპერიმენტში მონაწილეობისთვის საცდელი ადამიანები შემდეგ დღეს დაბრუნდნენ. შეკავებული [შეკრთომის] პირობები შემდეგია:

ამჯერად მინდა ვნახო რამდენად კარგად შეგიძლიათ დაფაროთ რაიმე შესამჩნევი რეაქცია. შეეცადეთ ისე მოიქცეთ, რომ თუკი ბგერის გარეშე ნახავენ [ექსპერიმენტის] ჩანაწერს, ვერავინ მიხვდეს, რომ რაიმე მოხდა. ცადეთ რევოლვერის გასროლის მოლოდინის დროს და ასევე გასროლის შემდეგ არაფერი შეიმჩნიოთ, სანამ არ ვიტყვი „შენყდა!“ დაძაბულობა საერთოდ არ უნდა შეგეცყოთ. შეცდომაში უნდა შეიყვანოთ ის, ვინც ვიდუო ჩანაწერს შეისწავლის. ისევ ათიდან დავითვლი.

სიმულირებული (ცრუ) შეკრთომა

ხუთი წუთის შემდეგ ექსპერიმენტატორმა თქვა:

ამჯერად ისევ ათიდან დავითვლი, მაგრამ რევოლვერი აღარ გაისვრის. ამის ნაცვლად, აინთება ეს პატარა სინათლე, რომელსაც სარკეში ხედავთ (უჩვენებს სინათლეს). როდესაც ის აინთება, მომაჩვენეთ, რომ შეკრთით. ეს ისე გააკეთეთ თითქოს სინათლე ნამდვილი რევოლვერის გასროლა ყოფილიყო. ვინც [ამ ექსპერიმენტის ჩანაწერ] ფილმს ბგერის გარეშე ნახავს, უნდა იფიქროს, რომ რევოლვერმა გაისროლა და თქვენ მართლაც შეკრთით. ცადეთ შეცდომაში შეიყვანოთ ის, ვინც ფილმს შეისწავლის. დათვლის დროს დაძაბული არ იყოთ. ტესტის დასრულებისთვის ისევ დავიძახებ „შენყდა!“¹¹

¹¹ What the Face Reveals: Basic and Applied Studies of Spontaneous Expression ... By Paul Ekman, Erika L. Rosenberg, https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=fFGYs079-7YC&oi=fnd&pg=PR13&dq=facial+action+coding+system&ots=ioOcGkPuVi&sig=Ramt73NH_

ამ ექსპერიმენტის შემდეგი სტადია, რომელსაც აქ აღარ მოვიტან, არის უკვე ჩანერილი ფირის – შეკრთომის ოთხი „სახეობის“ – კომპიუტიზირებული პროგრამის მეშვეობით ანალიზი. ერთი შენიშვნა, რომელიც აქ რელევანტურია, ისაა, რომ მოცემული ლაბორატორიული პირობების ნაკლი ექსპერიმენტული მასალის – შეკრთომის ვარიაციების – სიმწირეა. შეკრთომის და სხვა ემოცია-რეაქციების რეალისტურ გარემოში კვლევის უპირატესობა გრძელვადიანი დაკვირვების და შესასწავლი ფენომენის მრავალჯერადი გამეორების შესაძლებლობა იქნება. შეკრთომა, გაოცება, უნდობლობა, დაჯერება, უშუალობა-სპონტანურობა და სიმულაცია, დასაკვირვებელი პირის მიერ მავანის მიმართ აპათის განცდა ან მასთან იდენტიფიკაცია – ყველა ამ მეტ-ნაკლებად კომპლექსური რეაქციების კვლევა გაცილებით იოლია კონტროლირებულ *in vivo* გარემოში, თუკი არსებობს შესაბამისი ინსტიტუციონალური პირობები.

* * * * *

ახალი მოვალეობის შესრულების დროს ერთმა ფაქტმა მიიქცია ჩემი ყურადღება. საკვების რიგში პატიმრები უწყვეტად მიედინებიან. შევნიშნე, რომ როდესაც ისინი უახლოვდებოდნენ საკვების მისაღებ დახლს, სადაც მე ვიდექი, უმეტესწილად ჩემსკენაც იყურებოდნენ და თუკი მე მათკენ გავიხედავდი – თუკი შედგებოდა თვალის კონტაქტი – აღმართული ცერის ნიშნით მპასუხობდნენ. „კონტაქტის“ ამ პროცედურის არაშემთხვევითობის იდეა იმით გადავამოწმე, რომ რამდენჯერმე, როდესაც ვახშმის რიგს ვემსახურებოდი, მიზანმიმართულად დავიწყე „ზემოთკენ“ ყურება. ამ ექსპერიმენტის გამეორებისას აშკარა იყო, რომ ჩემს გვერდით მომუშავე პატიმარმა ცადა ჩემი „ყურადღების“ დაბრუნება დახლისკენ და როგორც კი აღვადგინე ჩამწკრივებული მოახლოვებული პატიმრების ყურება, ნამიერად გაელვებულმა აღ-

მართულმა ცერებმა კვლავ მიიქცია ჩემი ყურადღება. არ იყო ძნელი იმის დანახვა, რომ პატიმრებისკენ ჩემი გახედვის და მათი აღმართული ცერების სიხშირე ურთიერთ გაპირობებული იყო.

დადებითი და უარყოფითი გაძლიერების თითქმის უსასრულო გამოცდილების შემდეგ, შეუძლებელია შედარებით ახალ სიტუაციაში მისი ვერ ამოცნობა. მაგრამ, ჩემთვის გაურკვეველი იყო პროგრამის ნევრების მხრიდან ჩემი ასეთი „თვალის კონტაქტის“ დაჯილდოვება-ნახალისების მიზანი. ისიც შევნიშნე, რომ ვიდექი სამზარეულოს ორი ვიდეოთვალის მხედველობის არეში, როდესაც რიგს ვემსახურებოდი.

დროთა ვითარებაში გავარკვეე ის, რომ ციხეში ინტენსიურად გამოიყენება ე. წ. „სახის ქმედების კოდირების სისტემა“ (facial action coding system, FACS), რომელიც კომპიუტერიზირებული პროგრამაა. მისი გამოყენების ერთ-ერთი მიზანი ციხის კონტექსტში შეიძლებოდა ყოფილიყო კონკრეტულ სახეებზე და ფიზიოგნომიურ ტიპაჟებზე ჩემი სახისეული („ემოციური“) რეაქციების კვლევა და ალგორითმული პროგრამის მეშვეობით მენტალური პროფილის კიდევ უფრო დახვეწა.

რაიმე კვლევით ცენტრში თეორიების და მიხვედრების აგება მათი შემდგომი დადასტურების მიზნით ერთია. მაგრამ, ქრონიკული სტრესის, დეინდივიდუაციის და მანიპულაციური კონტროლის გარემოში „თეორიების“ აგება არც ისე იოლია. გადამონშებას მოითხოვდა ჩემი მიხვედრა, რომ რაღაც სახის-მეტყველების ნაკითხვისთვის გათვლილ კომპიუტერიზირებულ სისტემას იყენებდნენ. მაგრამ, კიდევ ერთი დეტალი, რომელიც გარკვეულად ადასტურებდა ჩემს აღნიშნულ ვარაუდს, ისიც იყო, რომ ყოველი ვახშმის წინა ფაზა – როდესაც მე ჯერ ჭურჭელს ვრეცხავდი – საკმაოდ შესამჩნევად და მეთოდურად ვარირებდა. სამრეცხაოში ძლიერი ხმაურის გამოწვევა ძნელი არ არის. ზოგჯერ ჩემთან მომუშავე ორი კონფედერატი საკმაოდ მიზანმიმართულად აწარმოებდა ხმაურს დიდი მეტალის ქვაბების მეტალის დახლზე „შემთხვევით“ დანარ-

ცხებით. ხანდახან ეს „შემთხვევითობა“ ისეთ სისტემატურ და აგრესიულ ფორმას იღებდა, რომ შეუძლებელი იყო მის მიმართ შეცდომის დაშვება. სტრესის გამოწვევის ეს მეთოდი ორგანულად ემთხვეოდა სხვა რომელიმე პროვოკატორის მოქმედებას, რომელიც სწორედ მაშინ გააქტიურდებოდა, როდესაც ჩემი დახლთან დგომის დრო ახლოვდებოდა.

ეს სქემა წინა თავებში უკვე აღვწერე. ვერქვოროთის სამზარეულოში ერთი სიახლე ის იყო, რომ ვახშმის დროს ჩემს მიერ ექვსასამდე პატიმრის „თვალის გასწორება“, რომელთა შორის დიდი იყო სხვადასხვა ნიშნით (ნაციონალობით, კლასით, ასაკით...) განსხვავება, იძლეოდა არაჩვეულებრივად მდიდარ მასალას ჩემი ფსიქოლოგიური პროფილის კვლევისთვის.

დროთა ვითარებაში გავაცნობიერე, რომ სახისმეტყველების კოდირებული სისტემის მეშვეობით თვეების მანძილზე პიროვნების განწყობების დინამიური ანალიზი და სამიზნე პირის პროგრამის ჯგუფის წევრებთან „ფიზიოგნომიური“ მიმართების ცვლილებების კვლევა, მისი თვითიდენტიფიკაციების და „მოქცევის“ პროცესის დაკვირვების არსებითი შემადგენელი იყო. როდესაც 2013 წლის გაზაფხულზე, პაროლის პირველი მოსმენის მოახლოვებისას, ჩემმა პაროლის ოფიცერმა მრავალმნიშვნელოვნად მითხრა, რომ „ემპათიის ნაკლებობა საკითხი იყო“, ჩემთვის აშკარა იყო რას გულისხმობდა იგი. ეს იყო მინიშნება პროგრამის ჯგუფის წევრებთან ჩემი თვითიდენტიფიკაციის დეფიციტზე. პაროლის ოფიცრმა – ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მხოლოდ რამდენჯერმე შევხვდი მანამდე – კარგად იცოდა, რომ მე არ მქონდა ზოგადი ემპათიის ნაკლებობის პრობლემა. ის, რომ „სხვების მიმართ გულისხმიერება“ ჩემი თვითნარმოდგენის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და ასევე, ჩემი ვრცელი და ინტენსიური სოციალური ისტორიის დადასტურებადი ფაქტი, მისთვის ცნობილი იყო ჩემი მომცველი ფაილიდან.

მაგრამ, პროგრამის მენეჯმენტის ადრინდელი ვარაუდი, რომ, სტრესული თერაპიის და ავერსიული კონდიციონების შემდეგ, მე შევძლებდი დიალექტიკურ შემობრუნებას და შედ-

გებოდა მწვალებელთან წვალებულის თვითგაიგივების აბსურდული აქტი – და ამდენად შედგებოდა უჟონვადობის ოპერაცია – იმ ეტაპზე კვლავ არარეალისტური იყო. ჩემმა პაროლის ოფიცერმა სწრედ ის შემატყობინა, რომ პაროლის საბჭოსგან პოზიტიური პასუხის მიღება მათი მოლოდინის გამართლება-გაუმართლებლობაზე იქნებოდა დამოკიდებული.

პანქეჟა ტარორი

ეჭვგარეშე იყო, რომ ვერქეჟორთის სამზარეულო ცნობიერების მთავარ საცხოვს ნარმოადგენდა. მას კიდევ მივუბრუნდები. მაგრამ, აქ ერთ შემთხვევას მოვიტან, რომელიც უჩვენებს იმ ინსტიტუტში გამოყენებული კონტროლის ნაირსახეობებს.

ჯერ კიდევ მილჰევენში შევნიშნე, რომ პატიმრებად გადაცემულმა ბეჰევიორისტებმა და კონფედერატებმა ზედმინენით კარგად იცოდნენ ამა თუ იმ ტესტზე, ან კონდიციონების პროცედურაზე ჩემი შინაგანი რეაქციების შესახებ. იცოდნენ როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ემოციები. დავაკვირდი, რომ ემოციის, თუ განწყობის გარეგანი გამოხატვის შეკავების ჩემი ყოველი მცდელობა უშედეგო იყო. ამას თავდაპირველად პროფაილერების და სხვა უშუალო დამკვირვებლების პროფესიონალიზმს ვანერდი. ეს გამართლებულიც იყო. მაგრამ – მხოლოდ ნაწილობრივ.

ერთი ექსპერიმენტი, რომელიც ამის შესამოწმებლად დავაყენე შემდეგი იყო. საკანში ჩემი მარტო ყოფნის დროს 'ხშირი იყო ტესტები, რომლებიც გათვლილი იყო სტრესის, გაღიზიანებადობის და ზოგადი განწყობის კვლევისთვის. კონკრეტული სტიმული-გამაღიზიანებელი შეიძლება ყოფილიყო ძლიერი ხმაური, რომელსაც რომელიმე კონფედერატი გამოიწვევდა მისი საკნის მეტალის კარზე ფეხის მირტყმით – ხშირად, ამის მრავალჯერადი გამეორებით – და სხვა. როდესაც წამოწოლილი ხარ, ისვენებ და იცი, რომ ძლიერ ხმაურს

მავანი მიზანმიმართულად იწვევს, არც ისე იოლია ინდიფერენტულობა. პროგრამის კონფედერატები ჩემს შინაგან მდგომარეობას, როგორც უკვე ვთქვი, წარმატებით აფასებდნენ და, რაც არსებითია, ამას უშუალოდ მატყობინებდნენ რაიმე ირიბი ვერბალური ან არავერბალური კომუნიკაციით.

ერთხელ, საკანში ყოფნის დროს, გადავწყვიტე გამომე-რიცხა ის საშუალება, რომლითაც კონფედერატები იტყობდნენ ამა თუ იმ სტიმულზე ჩემს შინაგან რეაქციებს. ჩემი ვარაუდით ისინი იყენებდნენ საკანში დამონტაჟებულ ფარულ კამერას, რომლის მეშვეობითაც იკითხებოდა ჩემი სახის მიკრო გამომეტყველებები. უკვე აღწერილი სამზარეულოს გამოცდილებიდან ისიც შეიძლებოდა დამესკვნა, რომ საკნის ფარული კამერის ჩანაწერის შემდგომი ანალიზი ასევე შეიძლებოდა კომპიუტერიზირებული სახისამომცნობი სისტემით. მაგრამ, იმ კონკრეტულ შემთხვევაში ჩემი ინტერესის საგანი იყო კონფედერატების მიერ ჩემი განწყობების დროში უშუალო ამოცნობის ფაქტი.

ერთი ასეთი ტესტის დროს, როდესაც საკანში მარტო ვიყავი, გადავწყვიტე თავზე საბანი გადამეფარებინა და ამდენად არ მიმეცა ფარული კამერის მეშვეობით ჩემი სახის „ნაკითხვის“ შესაძლებლობა. შედეგი მოულოდნელი იყო. ჩემი საკნის კართან მდგომმა რამდენიმე კონფედერატმა იმავე სიზუსტით შემატყობინეს ჩემი ემოციური პასუხის მათ მიერ ცოდნა. მომდევნო დღეს კიდევ გავიმეორე ეს ცდა ერთი ცვლილებით. საბნის თავზე გადაფარებას დავუმატე ის, რომ სახე ბალიშისკენ ჩავაბრუნე. ჩემი ვარაუდი ის იყო, რომ ამით გამოვრიცხავდი რაიმე „ღამის ხედვის“, ან ელექტრომაგნიტური სპექტრის სრულყოფილი ნაკითხვისთვის გათვლილი ინსტრუმენტის გამოყენებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლოა ხდებოდა საბნის ბარიერის მიღმა არსებული რეალობის (ჩემი სახის) ხედვა.

ამან არაფერი შეცვალა. მალე, როდესაც კიდევ რამდენიმე მცირე ვარიაცია ვცაადე, დავრწმუნდი, რომ პროგრამის წევრების მიერ ჩემს „კანშიგნით“ ჭვრეტის უნარი სხვა ტექნოლოგიურ მიღწევას ემყარებოდა. ე. წ. რადიო სიხშირის

იდენტიფიკაციის (RFID) რაიმე ახალი ვერსიის, ან „კანშიდა მონაცემების ნაკითხვაზე“ გათვლილი „ჩიპების“ გამოყენების შესახებ რეალისტური ინფორმაცია მოგვიანებით – 2015 წლის მარტის შემდეგ – გახდება ჩემთვის ცნობილი, როდესაც ინტერნეტი და დამოუკიდებლობა ხელმისაწვდომი იქნება და როდესაც „სომატური თვალთვალის“ შესახებ არა ერთ სტატიას ნავიკითხავ.

მაგრამ, მაშინ ისევ ბუნდოვანი მიხვედრების და ვარაუდების ველში უნდა დავრჩენილიყავი. ჩემი საკუთარი წარმოსახვა და ჯეიმს ბონდის შესახებ ფილმები, რომელსაც დროდადრო ვუყურებდი ოჯახთან სავიზიტო კოტეჯში, ძირითადი საყრდენი იყო. ამ თემაზე ტელეფონზე ან შეხვედრებისას მეუღლესთან საუბარი ასევე არ მეჩვენებოდა მიზანშეწონილი.

ერთხელ, ასეთი მიხვედრების და ფიქრის დროს, გავიხსენე ის, რომ ტორონტოში რამდენჯერმე არაჩვეულებრივად გაბრუნებულმა გავიღვიძე დილით. მაშინ ისიც შესამჩნევი იყო, რომ კონფედერატებმა ჩემი იმ დილის მდგომარეობის შესახებ წინასწარ იცოდნენ. ჩემი ვარაუდით, სავსებით შესაძლებელი ჩანდა ის, რომ უკვე ტორონტოში, ერთ-ერთ ასეთ „გაურკვეველ“ ღამეს ჩამიდგეს სხეულში რაიმე მიკრო მონყობილობა.

ვარაუდს, რომ რაღაც ამის მსგავსთან მქონდა საქმე, შემდეგი ფაქტიც გამიმყარებს. სამსახურიდან (სამზარეულოდან) დაბრუნებულმა ცოტა ხნით წაძინება გადავწყვიტე. როგორც კი წამოვწეიქი, ერთმა შავკანიანმა კონფედერატმა, რომელიც ხმაზე ვიცანი, ძლიერად მიარტყა ფეხი საკუთარი საკნის კარს. ჩემი საპასუხო ქართული შეკურთხება, ცხადია, არ იქნებოდა მისთვის, ან სადამკვირებლო ცენტრის მუშაკებისთვის მისაწვდომი რომ არა ჩემს საკანში დამონტაჟებული ფარული ვიდეო-აუდიო მონყობილობა.

ამ მოვლენიდან ორ დღეში, „კანტინის“ დროც მოვიდა. „კანტინი“ მცირე მაღაზიაა, სადაც ორ კვირაში ერთხელ პატიმარს შეუძლია შეიძინოს რაიმე დამატებითი საკვები (ტკბილეული და სხვა). კანტინის დღე მთელი განყოფილების

კოლექტიური მსვლელობით და ორსაათიან რიგში დგომით გამოირჩეოდა. როდესაც ჩემი რიგი მოვიდა, დავინახე, რომ წინ მდგომი პატიმარი შეეყოვნდა და დაუთმო რიგგარეშე ადგილი შავკანიანს – ორი დღის წინანდელი ხმაურის ავტორს. შავკანიანი მივიდა სალაროსთან და, სანამ მოლარეს გადასცემდა საყიდელი საგნების სიას, დინჯად ჩემსკენ გამოიხედა. მისი მრავალმნიშვნელოვანი გამოხედვა ჯერ კიდევ მხედველობის არეში მქონდა, როდესაც ვიგრძენი, რომ სრულიად მოულოდნელად ჩემი მარცხენა ფეხის კუნთები არაბუნებრივად შეიკუმშა („გამეკვანძა“) ხოლო თვითონ ფეხი რამდენჯერმე „შეხტა“. ფეხის ეს სხვისთვის შეუმჩნეველი შეხტომა და რიგში ჩემს უკან მდგომი ერთი პატიმრის ჩალაპარაკება თითქმის ერთდროული იყო: „ეგ არაფერია. როდესაც ორივე ფეხი დაიწყებს ცეკვას, ის უნდა ნახო...“. შავკანიანმა აიღო საკუთარი პროდუქტი და ნელი ნაბიჯით გააგრძელა კანტინის კარებისკენ მოძრაობა.

აშკარა იყო, რომ ის, რაც მოხდა იმ რამდენიმე წამში, იყო წინასწარ კარგად მომზადებული სცენა, სადაც ტექნიკურად სრულფასოვანი ფიზიოლოგიური ჩარევა-ზემოქმედების დემონსტრაციამ მაუნყა კონტროლის კიდევ ერთი, ჩემთვის მანამდე უცნობი ფორმის არსებობის შესახებ. მაგრამ, იყო ეს კანშიდა ჩიპის მოცემულობის დამადასტურებელი ფაქტი? ცხადია, იმ პერიოდში ტექნოლოგიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის დროული მოპოვება მიუწვდომელი იყო. იქნებ ეს იყო რაიმე „თეიზერის“ მაგვარი, ზუსტად დამიზნებადი ახალი ტიპის მონყობილობის გამოყენება, რომელიც გარეგანი და დისტანციური ზემოქმედების პრინციპით მოქმედებს? მაგრამ, სხვა რამდენიმე შემთხვევამ, რომელიც უფრო აშკარად გამორიცხავდა მხოლოდ გარე-ზემოქმედების აპარატის დაშვებით ამგვარი ფაქტების ახსნას, დამარწმუნა კანქვეშა კონტროლის ვარაუდის სისწორეში. ნათელი იყო ასევე ის, რომ ეს არ იყო წმინდა პასიური, პერცეფციული აპარატი.

ფსიქოლოგიური შანტაჟის და მანიაკალური კონტროლის ამგვარი ფაქტის არსებითი თავისებურება ისიცაა, რომ

ის ხორციელდება აგენტების სრული სიმშვიდის და უსაფრთხოების პირობებში. სამიზნე სუბიექტის მიერ საკუთარი მდგომარეობის უმწეობის განცდას იმის ცოდნაც ამძაფრებს, რომ გარეგნული ნორმალურობის მქონე ეს გარემო იოლად შეიძლება იქცეს უკვალო მძიმეწონიანი, ორგანიზებული კრიმინალური აქტის სცენად.

შიდა მდგომარეობების სენსორის არებობის გაცნობიერებამ ერთი არსებითი ცვლილება მოიტანა. მანამდე, პროვოკაციის თუ რაიმე სხვა ნეგატიური ტესტის დროს ვცდილობდი ემოციის გარეგანი გამოხატვის კონტროლს. ვთვლიდი, რომ გარეგანის მეტნაკლებად ნარმატიული კონტროლით საკუთარი შიდა მდგომარეობის ნაწილობრივი დაფარვა მაინც იქნებოდა შესაძლებელი. ის ფაქტი, რომ ბიჰევიორისტები მაინც ახერხებდნენ ჩემი შიდა მდგომარეობების ამოცნობას იმას ნიშნავდა ჩემთვის, რომ, ერთის მხრივ, გარეგანი გამოხატვის შეკავების ჩემი უნარი არ იყო სრულყოფილი, ხოლო მეორეს მხრივ, რომ პროფაილერები საკმაოდ კარგად მუშაობდნენ.

ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ადრე არასდროს მიცდია შემეკავებინა ემოციის შინაგანი გამოვლენა და არა მხოლოდ მისი გარეგანი გამოხატვა

გარეგანი-შინაგანის განსხვავებასთან კავშირში ერთი მოსაზრებაა რელევანტური აქ. „შეკავება“ აქ გულისხმობს ნიღბის ცნებას და ასევე იმას, რომ შესაძლებელია შიდა მდგომარეობის უცვლელობა ისე, რომ მისი დროში შესატყვისებული გარეგანი მოცემულობა, სახის ესა თუ ის გამომეტყველება, იყოს შინაგანის მნიშვნელობის არაადექვატური ნიშანი. ამ შემთხვევაში გარეგანი დაფარავს შინაგანს. ნიღბის ამ ცნებისთვის არსებითია ის, რომ საფარი – სახე – *სინქრონულად* ფარავს შინაგანს – ემოციას. ნიღბის წარმოების დროში დაგვიანება წარუმატებლობის ტოლფასი იქნებოდა, ხოლო მისი ნაადრევი მოცემულობა – გაუმართლებელი, ფსიქოლოგიური ეკონომიის თვალსაზრისით. გარეგანის და შინაგანის ასეთი სინქრონიზაციის არსებითობა გარემოს მანიპულაციის საქმეში გულისხმობს პრინციპულ დუალიზმს.

მაგრამ, კითხვა იმის შესახებ არის თუ არა შესაძლებელი გარემოს მანიპულაცია მაშინ, როდესაც „კანქვეშა“ სენსორი უშუალოდ კითხულობს მავანის შიდა მდგომარეობებს, არის კითხვა იმის შესახებ არის თუ არა შესაძლებელი შიდა ნიღბის ცნება. არის თუ არა ეს შესაძლებელი მაშინ, როდესაც გვაქვს სათვალთვალე ობიექტის მონიზმი. როგორაა შესაძლებელი სულის, თუ ემოციური მდგომარეობის შენიღბვა იქ, სადაც მხოლოდ შინაგანია?

ეს აბსტრაქტული კითხვები პრაქტიკულად საკმაოდ მარტივად გადაწყდა. გავაცნობიერე, რომ ჩემს მცდელობას გარეგნულად არ შემემჩნია ემოცია უნდა დამატებოდა ძალისხმევა, რომ შემეკავებინა თვითონ ემოცია. გარეგანი ნიღბის და შინაგანი მდგომარეობის ერთდროულობის მოთხოვნა შეიცვალა დიაქრონულობის – დროში თანმიმდევრობის – მიმართების არსებითობით. იმისთვის, რომ სიტუაციურად დაფაროთ საკუთარი ემოცია, საჭიროა ასე ვთქვათ დროში დაასწროთ საკუთარი ემოციის წარმოშობას და მისი ანტიციპირებით ჩაახშოთ მისი განხორციელება. მოკლედ თუ ვიტყვით, ესაა შიდა დიაქრონული კონტროლი.

ამის გაცნობიერება და მისი გამოყენება გაცილებით პროდუქტიული აღმოჩნდა, ვიდრე ამ მსჯელობებიდან შეიძლება დაასკვნას მავანმა. ამ დიაქრონული კონტროლის შესრულებას გარკვეული ფსიქოლოგიური ტექნიკა და დეტალები ახლავს. მაგალითად, საკმაოდ პროდუქტიულია თუკი საკუთარი ემოციის წინასწარი ანტიციპაციით – ემოციის, რომელიც მომავალ გარეგან სტიმულზე იმპულსურად უნდა წარმოშობილიყო – წარმოსახვაში წინასწარ ჩაანაცვლებთ მას მისი საპირისპიროთი, ან უბრალოდ განსხვავებულით. ასეთი ემოციური კონტროლის ერთი თავისებურება ისაა, რომ ის წარმოადგენს საკუთარი შინაგანის ცივ, კალკულირებულ სიტუაციურ მანიპულაციას ისე, რომ ის არ ცვლის უფრო მაღალ საფეხურზე მოცემულ კოგნიტურ, ან მრწამსისეულ შეხედულებებს. უკანასკნელი კი შეიძლება იყოს ის, რაც რეალურად განსაზღვრავს გარკვეული მოვლენების ამა

თუ იმ იმპულსურ-ემოციურ შეფასებებს. მოცემული პროგრამის ბიჰევიორისტული მეთოდების ერთ-ერთი არსებითი ნაკლი ის იყო, რომ ემოციურ-განწყობითის საკმაოდ ვირტუოზული თვალთვალის და კონტროლის პარალელურად ის ხშირად ვერ ითვალისწინებდა პიროვნების მრწამსისეულ-მორალური შრის არსებითობას. თუმცა, თუკი წაიკითხავთ VPP-ის სახელმძღვანელოს, რომელიც კოგნიტურ-ბიჰევიორისტულ მეთოდოლოგიას ემყარება (VPP-ის შესახებ იხ. შემდეგი თავი), ნახავთ, რომ მისი ერთ-ერთი ექსპლიციტური მიზანია სამიზნე ინდივიდის ცენტრალური რწმენების, თუ შეხედულებების (core believes) კვლევა და კორექცია.

ის, რომ მე აღარ მქონდა შინაგანი ემოციური რეაქციები უკანონო პროგრამის ავერსიულ პროცედურებზე არ ნიშნავდა იმას, რომ მე შევიცვალე მის შესახებ ჩემი პრინციპული შეხედულება. როგორც არა ერთხელ ვთქვი, პროგრამის მენეჯმენტმა კარგად იცოდა ეს ვითარება, ზოგადად თუ ვიტყვით. მაგრამ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მათ, მას მერე, რაც მე გავაცნობიერე შიდა თვალთვალის არსებობა და ავითვისე შინაგანის დიაქრონული კონტროლის მეთოდი, ჩათვალეს, რომ ჩემი ემოციური პასუხების შერბილება ნიშნავდა პროგრამის მიმართ ჩემი მრწამსისეული უარყოფითობის შერბილებასაც, მისი ინტენსივობის კლებას, რაც მცდარი იყო.

პროგრამა

ძალადობის პრევენციის პროგრამა (Violence Prevention Program – VPP) ერთ-ერთია იმ სასკოლო ფორმის პროგრამებს შორის, რომელსაც კანადის კორექციული სამსახური აფინანსებს შესაბამის ინსტიტუტებში. ამ პროგრამის სასკოლო ვერსიის თავისებურება ისაა, რომ რამდენიმე თვის მანძილზე, დღეში ერთი ან ორი საათის განმავლობაში პატიმარს

ეკითხება შესაბამისი ტექსტი. მას ასევე აძლევენ საშინაო დავალებას. ეს შეიძლება იყოს სატესტო კითხვები, მცირე თვითშეფასების, ან სხვა ტიპის ნარკვევის დაწერა და სხვა. კლასში, როგორც წესი რამდენიმე – ასე, ათამდე – პატიმარია.

ბიჰევიორული მეთოდოლოგიის ელემენტარული ცოდნა საკმარისი იქნებოდა იმ სპეკულაციური დასკვნისთვის, რომ სამთვინი გაკვეთილები, რომლებიც იზღუდება ვერბალური „განმარტებებით“, არ შეიძლება იყოს რეალური დასწავლის პროცესი. კონფედერატების მიერ პიროვნების პრაქტიკული ტესტირება – აგრესიის, იმპულსური ქცევის, სტრეს-გამძლეობის და სხვა – და შესაბამისი ჩვევების გრძელვადიანი კონდიციონირება რეალური ბიჰევიორული პრაქტიკის ნაწილია.

მაგრამ, ასეთი პრაქტიკის ერთი სირთულე ისაა, რომ მისი კონფედერატული კომპონენტი ვერ იქნება გამხელილი სამიზნე სუბიექტისათვის როგორც აშკარა მეთოდოლოგია. ასეთ შემთხვევაში ტესტი-კონდიციონირების მთელი პრაქტიკის წარმატება ეჭვქვეშ დადგებოდა. ეს ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ტესტების ფარული დაყენების შესახებ დებატების, და სამედიცინო ეთიკის, საკმაოდ ცნობილი საკითხია. მაგრამ, ციხეებში ამგვარ მეთოდებზე აგებული პროგრამების კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ მათი მეთოდოლოგია პრინციპულ წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებებთან, რომლებიც ამგვარ ინსტიტუტებს უფრო „მყარად“ უნდა მიეყენებოდეს. „შეურაცხყოფის“ და „დამციონების“ (harassment) აკრძალვა ეწინააღმდეგება აგრესიის და იმპულსური ქცევის ტესტირების ძირითად მეთოდებს. შეურაცხყოფა, „ბულინგი“ და სხვა ტიპის პროვოკაციები პროგრამაში ნორმალური პროცედურის ნაწილია.

ამ თითქმის ტრივიალური შენიშვნების მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში იმითაა განპირობებული, რომ 2013 წლის სექტემბერში, ჩემი პაროლის ოფიცრის რჩევით, მე დავესწარი აღნიშნულ პროგრამას. რაც აქამდე ითქვა იქიდან

უკვე შეიძლება იმის დანახვა, რომ ამ ამბავში არაფერი იქნება ახალი ჩემი და კონფედერატების ურთიერთობის მხრივ. ეს სწორი ვარაუდია.

* * * * *

მაგრამ, ახალი შემოდის სხვა გარემოებითი ფაქტორების მეშვეობით, რომლის აღწერა მნიშვნელოვანია პროგრამის თეატრალური ბუნების ნათლად წარმოდგენისთვის. როდესაც 2013 წლის სექტემბერი მოახლოვდა, მე ყური მოვკარი, რომ ციხეში აპირებდნენ „გაფიცვას“, პატიმართა ხელფასებიდან გარკვეული თანხის დაქვითვის შესახებ დადგენილების გამო. ეს გაფიცვა რომ სასკოლო პროგრამაში ჩემს მონაწილეობას ემთხვეოდა, არაფერს მეუბნებოდა ჯერ. ამ დამთხვევას ისიც დაემატა, რომ სექტემბერში ჰოსპიტალმა გამოაცხადა გარკვეული ვირუსის არსებობა ციხეში. როგორც ჰოსპიტალი იუწყებოდა, ვისაც ვირუსი აღმოაჩნებოდა, მოათავსებდნენ სამღლიან კარანტინში, სეგრეგაციაში.

შემდეგი დამთხვევა უფრო არსებითია. სკოლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შევნიშნე, რომ შეუძლოდ ვიყავი. გულისრევის შეგრძნება, მუცლის არეში საკმაოდ ძლიერი ტკივილი, უმადობა, გულისცემის აჩქარება სიარულის დროს და ზოგადი უძალობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დამეძლია ჩემი ყოყმანი. მოვითხოვე ჰოსპიტალში ვიზიტი და მოვახსენე მორიგე ექთანს ჩემი სიმპტომების შესახებ. გამაოცა იმან, რომ გამოცხადებული კარანტინში მოთავსების ნაცვლად, ექთანმა მიჩნია „ყურადღება არ მიმეცია“ ამ სიმპტომებისთვის. „თუ (კუჭში) გახსნილობას არ უჩივით დანარჩენი მოგვარდება თავისით. კუჭში გახსნილობაა მთავარი სიმპტომი.“ უცნაური ის იყო, რომ მან არ დაუშვა, რომ შესაძლებელი იყო სრულიად სხვა დაავადება მქონოდა და არა გამოცხადებული ვირუსი. მოგვიანებით, როდესაც იმ ვირუსული დაავადების შესახებ მცირე ბუკლეტი ვიპოვე ჰოსპიტალის შესასვლელში, ისიც შევიტყვე, რომ მთავარი სიმპტომები სწორედ ჩემს მიერ ექთნისთვის ჩამოთვლილი ჩივილები

იყო. „კუჭის აშლილობა“ ყველაზე ბოლო ადგილზე იყო მოთავსებული სიმპტომების სიაში.

ამას შემდეგ დავუბრუნდები. მაგრამ, კიდევ ერთი აღნიშვნის ღირსი დეტალი შემდეგია. სწორედ ამავე პერიოდს დაემთხვა ის, რომ მომარაგებამ დროებით შეწყვიტა წვერის საპარსი უფასო ბრიტყების ყოველკვირეული დარიგება. როგორც მათ აგვიხსნეს, ბრიტყები არ შემოსულა, მაგრამ მალე მიიღებდნენ მას. ეს „მალე“ შვიდ კვირაში დადგა. ამის წინმსწრები მეორე დამთხვევა ის იყო, რომ სამი თვით ადრე ციხის მალაზიამაც (კანტინმა) შეწყვიტა საპარსი ბრიტყების გაყიდვა. როგორც წესი, ფედერალურ კანტინში პატიმარს შეუძლია დამატებითი ბრიტყის ყიდვა. ამ უბრიტყობის ბუნებრივი შედეგი წვერგაუპარსაობაა. თუკი „სკოლაში“ აპირებ სიარულის დაწყებას, სადაც შედარებით უფრო რესპექტაბელური სოციალური გარემოა, ეს ნიუანსი ყოველდღიურ პარსვას შეჩვეული ადმიანისთვის შესაძლოა ყოფილიყო მცირე დისკომფორტის პირობა.

მაგრამ, ეს ესთეტიკურ-ჰიგიენური გარემოება სრულად გადაფარა ჩემი ჯანმრთელობის გაუარესებამ. ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომები მალე თითქმის წარმოუდგენელ პათოლოგიაში გადაიზარდა. სასკოლო პროგრამაზე სიარულის პარალელურად ჩემი სუნთქვის სიმძიმე და ჩვეულებრივი სიარულის დროს გულის აჩქარება ნორმალურ მდგომარეობად იქცა. მუცლის ტკივილებმა იმატა და ცოტა ხანში თითქმის აუტანელი გახდა. მუცლის იმ ტკივილების ერთი თავისებურება ის იყო, რომ ტკივილი საღამოს ხუთ-ექვს საათზე იწყებოდა და თანდათანობითი წესით ღამის თერთმეტ საათზე აღწევდა კულმინაციას, რის შემდეგაც დილის ხუთ საათამდე ტკივილი უწყვეტი იყო. ადრე არასდროს დამიკარგავს გონება. ერთხელ მუცლის ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ რამდენიმე წამით, ღამის სამი საათი იქნებოდა, დავკარგე ცნობიერება. ღამის მანძილზე ეს უწყვეტი ტკივილი იმასაც ნიშნავდა, რომ დაწოლა შეუძლებელი იყო. როდესაც ვცდიდი დაწოლას – დაძინების შესაძლებლობაზე ფიქრიც არ შეიძ-

ლებოდა – ორ-სამ წუთში ფეხზე ვიყავი, რადგან მუცლის ტკივილი და დროდადრო სულის შეხუთვის შეგრძნება შეუძლებელს ხდიდა სანოლში გაჩერებას.

მუცლის ტკივილი, გაურკვეველი მიზეზებით, დღის განმავლობაში არ მანუხებდა. მაგრამ, სულის შეხუთვის გრძნობა, უჰაერობა და სიარულის დროს გულის აჩქარება უწყვეტი იყო. ჩემი სიარულის ტემპი ნორმალურის მეოთხედით გახდა. სამზარეულოში საკვებისთვის წასვლისას – გაფიცვის გამო იძულებული ვიყავი სამზარეულოში სამუშაოდ წასვლაზე უარი მეთქვა – სამჯერ-ოთხჯერ მიწევდა გზაში შესვენება, სანამ ორას მეტრს გავივლიდი, რომელიც ჩემი საცხოვრებელიდან სამზარეულომდე იყო.

ეს გაგრძელდა ორი თვე – სწორედ ის პერიოდი, როდესაც სასკოლო პროგრამაზე დავდიოდი. ამ პერიოდში სამჯერ მაინც შევატყობინე ჰოსპიტალს ჩემი ასეთი მდგომარეობა. მათი მხრიდან სრული „ურეაქცია“ იმის ნიშანი იყო, რომ ჩემი მდგომარეობა პროგრამის ნაწილი იყო. მაშინ ჯერ კიდევ არ მქნოდა წაკითხული უილიამ სარგანტის კვლევები ან დონალდ კამერონის შეხედულებები ხელოვნურად გამოწვეული დაავადებების და ძლიერი სტრესის ფუნქციების შესახებ „მოქცევის“ ტექნოლოგიებში.

ორი თვის შემდეგ ჩემმა მდგომარეობამ გაუმჯობესება იწყო. მუცლის ტკივილმა იკლო. სუნთქვა ნელ-ნელა დარეგულირდა; გაქრა გულისრევის შეგრძნება, რომელიც ორი თვის განმავლობაში არ მაძლევდა ნორმალური კვების შესაძლებლობას.

სწორედ ამ დროისთვის გამომიძახეს ჰოსპიტალში და მითხრეს, რომ სასურველი იყო სისხლის ანალიზი. სისხლის აღებიდან ორ დღეში კიდევ გამომიძახეს და მითხრეს, რომ ჰემოგლობინის დონე ძალიან დაბალი იყო და სასწრაფოდ მესაჭიროებოდა სისხლის გადასხმა. ორმოცდარვა ერთეული საკმაოდ დაბალია, მაგრამ, რამდენადაც გაუმჯობესების პროცესი უკვე დაწყებული იყო და ჟანგბადის უკმარობას ისე მწვავედ აღარ ვგრძნობდი, მაღალი ალბათობაა, რომ ადრე

ჰემოგლობინის დონე კიდევ უფრო დაბალი იყო.

კიდევ ერთი დამთხვევა, რომელიც ზემოთ არ მიხსენებია, ისიც იყო, რომ სექტემბრამდე რამდენიმე კვირით ადრე საკმაოდ ძლიერი ჰემოროიდული სისხლდენა მქონდა და ჰოსპიტალმა ეს იცოდა (შევატყობინე). მასზე რეაქცია ანალოგიური იყო – უგულბელყოფა. როდესაც ექთანმა მითხრა, რომ „თუ ტუალეტის წყალი ნითლდება, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ძლიერ სისხლდენას“, ვუპასუხე, რომ იმ დღეებში დაკარგული სისხლი ორას გრამამდე იქნებოდა და რომ ტუალეტის დროს პერიოდული ძლიერი დენა კიდევ გრძელდებოდა. ისიც ავუხსენი, რომ ეს იყო გარე-ჰემოროიდული სისხლდენა, რომელიც ვიზუალურად შემეძლო შემემოწმებინა. ჩემს ამ დაზუსტებებზე ექთანს აღარ უპასუხია.

ნოემბერში ცხრაასი გრამი სისხლი გადამისხეს. სიმპტომებიც გაქრა.

სანამ თხრობას გავაგრძელებ, საჭიროა იმის თქმაც, რომ ამ სასკოლო პროგრამის პერიოდში, რომელსაც ჩემი უძილობა (მუცლის ტკივილის გამო) და ზოგადი უძლურება დაემთხვა, თან ახლდა კიდევ ერთი გარემოება. გაფიცვის გამო, რომელიც ზემოთ ვახსენე, მთელი ციხის ტერიტორია ე.წ. შანტი თაუნების ნაგავსაყრელს დაემსგავსა. სამზარეულოსკენ მიმავალ დერეფანში მიმობნეული და მისრესილი საკვები, დაყრილი ქაღალდები, პლასტმასის ყუთები, საცხოვრებელი კორპუსების უკან ფანჯრებიდან გადმოყრილი ნაგავი და უსასრულო ნაგვის ცელოფნები მეთოდურად ქმნიდნენ სრული ქაოსის და ასოციალურობის ილუზიას. ეს გაგრძელდა გაფიცვის სამ კვირაზე ცოტა მეტ ხანს.

* * * * *

საკლასო ოთახში ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის ქალი დამხვდა. პროგრამის ინსტრუქტორმა დაგვირიგა ქაღალდების შეკვრა და, ასევე, მიგვითითა სამი გვერდის მქონე ქაღალდის ყუთებზე, რომლის სამივე გვერდზე ჩვენი (პროგრამის მონაწილეების) სახელები ეწერა. ყუთის თითო

გვერდზე სამი ფერით დანერილი სახელების მნიშვნელობა ის იყო, რომ მწვანე, ყვითელი და წითელი ფერები, როგორც ინსტრუქტორმა განმარტა, პროგრამის ფარგლებში აღნიშნავს „დადებითს“, „საყურადღებოს“ და „საგანგაშოს“. ჩვენი – მონაწილეების – მოვალეობა იყო წინა დღის ჩვენი გამოცდილება ამ ფერადი სახელების მეშვეობით შეგვეფასებია. ყოველ დღით საკლასო ოთახში შესვლისას სამკუთხედი უნდა დაგვედო შესაბამისი ფერის გვერდზე.

ფერთა ეს სიბოლიკა და საგზაო შუენიშანთა ენა ამ პერიოდის შემდეგ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გახდება. ის მალე მთელი ციხის პოპულაციის სამეცხველო ენად იქცევა. ჩემი ნებისმიერი „არაკორექტული ქცევა“ – როგორცაა მაგალითად ტელეფონზე საკუთარ მეუღლესთან ლაპარაკში რაიმე ტესტის ნეგატიური აღწერა-შეფასება – მოიყოლებს იმას, რომ ციხის პატიმრების მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება შემოსილი წითელ სამოსში იმ დღეს, ან დღის იმ მონაკვეთში. ჩემი „კორექტული ქცევა“ იქნება მწვანე ტანსაცმლის დღის მიზეზი და ასე შემდეგ.

ფერთა ლექსიკონი შეივსება სიმბოლისტური მეცხველების სხვა ფორმებით. სამზარეულოში საკვების მიღებისას სამიზნე პირი შენიშნავს, რომ პატარა ან დიდი ვაშლი, დიდი ან პატარა კარტოფილი, ან ასევე მოზომილად შერჩეული საკვების სრული ულუფის ოდენობა მისი უსასრულო კონდიციონების და კონ-ფორმირების მომქანცველი რიტუალი იქნება.

ბოლო დღეს, ინსტრუქტორმა მომილოცა პროგრამის წარმატებით დასრულება და მითხრა, რომ იგი არ თვლიდა, რომ ჩემს შემთხვევაში საჭირო იქნებოდა პროგრამის გამეორება. „ჩვენ ხშირად ვუნიშნავთ ხოლმე დამატებით, გასამყარებელ ფაზას, რომელიც სასურველია პირმა გაიაროს პროგრამის დასრულებიდან რამდენიმე თვეში. კარგია, რომ თქვენ არ გჭირდებათ ეს.“

სისხლის ნაკლებობა, უყანგბადობა, ღამის მუცლის ტკივილი და სრული უძილობა სამიზნე პირზე ზემოქმედების

სიმბოლისტური ფორმების რეალისტური დანამატია, რომელიც, სასკოლო პროგრამის დამატებითი ფაზის არ არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ ორი თვის მანძილზე გაამყარებს უკვე ათვისებულ ჩვევებს. ეს არის პროგრამის კულმინაციური ეტაპი.

ხეივანი და ნელი სიკვდილის სემანტიკა

ფრაზა „რეალისტური დანამატი“ სტილისტური ქარაგმაა. ის ვერ ასახავს სრულად პროგრამის ამ სამედიცინო ჩანართის პოტენციალს. იმისთვის, რომ გავიგოთ რეალისტური დანამატის სრული მნიშვნელობა, კიდევ რამდენიმე სიტყვაა საჭირო სიმბოლიზმზე.

„ადამიანებში „ტრანსმარგინალური“ სტიმულირების გამოსანვევად შიშის აღმძვრელი აზრები ... შესაძლოა ისევე პროდუქტიული იყოს, როგორც ცხოველებში მისი გამონვევის სხვა საშუალებები.“¹² სარგანტის ამ მტკიცების შევსება ნოამ ჩომსკის შემდეგი შენიშვნით შეიძლებოდა: „წარმოვიდგინოთ საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც ტყვეები ერთმანეთს მუდმივად ასმენენ. შორს გაზის კამერებიდან ამოსული კვამლი მოჩანს, და შესაძლოა დროდადრო სიტყვიერადაც მიანიშნებენ ამ გამაძლიერებლის მნიშვნელობაზე. ეს თითქოს სრულყოფილ სამყაროდ გამოიყურება...“¹³ ჩომსკის ირონიის სამიზნე სკინერის ის მტკიცებაა, რომ ავერსიული სტიმული დროში უშუალოდ უნდა ახლდეს არასასურველ ქცევას იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი აღმოფხვრას. ჩომსკის შენიშვნის

¹² W. Sargent,

<http://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2069681/pdf/brmedj03506-0003.pdf>, გვ. 212

¹³ <http://www.ehu.es/HEB/wp-content/uploads/2012/KEPA/The%20Case%20Against%20B.F.%20Skinner.pdf>

მნიშვნელობა ისაა, რომ ავერსიული სტიმულის პიროვნების არასასურველ ქცევაზე დროში უშუალო გამოყენება არ იქნება საჭირო იქ, სადაც სრულყოფილი ავერსიული სტიმულის წარმოდგენა – გაზის კამერის და მისი კვამლის იდეა – ცნობიერების მუდმივი მოცემულობაა.

სარგანტის დებულება და ჩომსკის ირონია საკმარისია იმ მტკიცების მოსამზადებლად, რომ ზემოთ აღწერილი ორთვიანი სამედიცინო ჩანართის მეხსიერება მომავალში გაზის კამერის და კვამლის წარმოდგენის როლს შეასრულებს ჩემთვის – ცხადია, შედარებით ჰუმანურ ფორმაში.

წარმოდგენის ეკონომია ნათელია. მისი არსებობა აუქმებს რეალისტური ავერსიული სტიმულის გამოყენების საჭიროებას. მაგრამ, იმისთვის, რომ ეკონომია იყოს ქმედითი, საჭიროა მეხსიერების გარკვეული ნახალისება. საჭიროა სასურველი წარმოდგენის პერიოდული სტიმულირება.

* * * * *

ინვალიდის ჯოხი და თაბაშირის ყალიბში ჩასმული ფეხი არაფერს ნიშნავს თავისთავად – გარდა იმისა, რომ მავანის ნორმალური მობილურობის ორგანული პროცესი შეფერხებულია. როდესაც უსიტყვო გზავნილების და წიგნის სათაურებით მეტყველების იმ გარემოში ხართ, ფაქტების შესაძლო სიმბოლური დატვირთვის ასეთი უგულებელყოფა სარისკოა. როდესაც ინვალიდის ჯოხის და თაბაშირის ყალიბში ჩასმული ფეხის მფლობელი თქვენს წინ ჩაივლის და ეს თქვენს არაკორექტულ ქცევას დროში თითქმის უშუალოდ მოსდევს, თქვენი სემანტიკური ყურადღება უფრო მკძნობიარე გახდება. თუ სხვისი თაბაშირის ფეხის დანახვასა და თქვენს შესაბამის ქცევას შორის ეს კორელაცია რამდენჯერმე გამეორდა, მაღალი ალბათობაა, რომ თქვენი პრაგმატული აზროვნება შეგატყობინებთ, რომ ჯოხს ასეთ მოვლენებს უფრო სერიოზულად მოეკიდოთ.

როდესაც თაბაშირის ყალიბში ახალჩასმული ფეხი დავინახე, რომელიც ნაცნობ პატიმარს ეკუთვნოდა, ამ მოვლენის

მნიშვნელობა არ იყო თავისთავად გასაგები. მაგრამ, სულ მალე ნათელი გახდება, რომ პროგრამის ჯგუფის შეფარული გზავნილების ექსპრესია საგრძნობლად გაფართოვდა. ის უკვე მოიცავდა ორთვიანი სამედიცინო ჩანართის – სასურველი წარმოდგენის – ჩემთვის შეხსენების მექანიზმს. ჩემი ერთ-ერთი ყველაზე უფრო არაკორექტული ქცევის ტენდენცია, რომელიც უკვე მრავალჯერ ავლნიშნე – მეუღლესთან პროგრამის დეტალებზე და მეთოდებზე სატელეფონო საუბარი და, რაც კიდევ უფრო დაუშვებელი იყო, ამ მეთოდების ნეგატიური შეფასება – არ გაუმჯობესდა დროთა ვითარებაში. ეს იმიტომაც შევიტყვე, რომ, ასე 2014 წლის იანვრიდან მოყოლებული, ხეიბრების რაოდენობა ციხეში დღითიდღე იზრდებოდა. ყავარჯნიანი და კოჭლი პატიმრების გვერდით, ინვალიდის ეტლით მოსიარულეების რაოდენობამ რეკორდულ რიცხვს მიაღწია. ერთხელ შევნიშნე, სულ მცირე, ოთხი ყავარჯნიანი და ორი ინვალიდის ეტლში მჯდომი პატიმარი „მიმაცილებდა“ სამზარეულოსკენ. სამზარეულოსთან ჩემი მიახლოება და მათი ჩამოცილება თანადროული იყო.

არ ღირს იმის გამოკრება, რომ ასეთი მოვლენების სწორი ინტერპრეტაციისთვის კორელაციის სიხშირეს და „დამთხვევების“ სისტემატურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, კონტექსტის მკაფიო აქცენტირების მეთოდით, შესაძლებელია აგრეთვე ერთჯერადი გზავნილის უშეცდომო შთაბეჭვდა სამიზნე პირზე.

ერთ დღეს, როდესაც, ერთ-ერთი ჩემი მიუღებელი ქცევის შემდეგ, სამზარეულოდან ვბრუნდებოდი, გზაზე შემდეგი სცენა დამხვდა. შევნიშნე ერთად მდგომი ქალი მცველი და ინვალიდის ეტლში მჯდომი პატიმარი. როდესაც მათ მიუახლოვდი, მცველმა, საკმაოდ ხმამაღლა ჰკითხა პატიმარს მისი ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ. პატიმრის ამავდროულად ჩემსკენ გამოხედვა ბევრი არაფერის მაუწყებელი იქნებოდა რომ არა შემდეგი გარემოება. წინა დღეს ეზოში, როდესაც ფეხბურთის მოედანთან ჩავიარე, ერთი ფეხბურთელი შავკანიანი ენერგიულად გაიქცა მოედნის მიღმა გადავარ-

დნილი ბურთის მოსატანად. ჩემს ფეხთან მოგორებული ბურთი მივანოდე და შავკანიანმა მადლობა გადამიხადა. ამ ფეხბურთელთან მანამდე არასდროს მქონია ურთიერთობა, მაგრამ მისი მომღიმარი გამოხედვა და ენერგიული მადლობა კარგად დამამახსოვრდა.

ინვალიდის ეტლში მჯდომი პატიმარი და წინა დღის შავკანიანი ფეხბურთელი ერთი და იგივე პიროვნებაა. მისი მცველთან საუბარი და მათი სახის გამომეტყველება რომ ქარაგმული მეტყველების სახეობა იყო, ძნელი დასანახი არ იყო. თამაშების უშუალო კონტექსტებზე აგება პროგრამაში სპონტანური დინამიკის არსებითობას ემყარება. უშუალოდ აღმოცენებული სიტუაციების მოთავსება თემატური შთაბეჭედების მიზან-სცენებში ფსიქოლოგიური ეფექტურობის პირობაა. შავკანიანი ფეხბურთელის უშუალო და შთამბეჭდავი მადლობა, რომელიც მან წინა დღეს გადამიხადა, იმის გარანტია იყო, რომ მომდევნო დღეს საჭირო პირქუში გზავნილის მნიშვნელობები გაცილებით აქტიურად აღმექვა.

ხეობრების სხვა წარმოდგენებისგან განსხვავებით, ამ ამბავს ერთი დამატებითი დეტალი აქვს, რომელიც მას გარკვეულ კომპოზიციურ სისრულეს ანიჭებს. როგორც იმ შეხვედრიდან ორ დღეში შევიტყვე, შავკანიანი პატიმარი გარდაიცვალა. მას გადაუხადეს პანაშვიდი ეკლესიაში და ამით მომავლის თემაც განისაზღვრა.

როდესაც ვინმე ზურგს უკან დაგიდგებათ და იგი მის თანამოუბრეს მავანის გარდაცვალებაზე ესაუბრება, ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს, როგორც ეს უკვე გაკეთებული შენიშვნებიდანაც უნდა იყოს ნათელი. მაგრამ, თუკი ამგვარი დიალოგები თქვენი მუდმივი თანმხლებია და ამჩნევთ, რომ ეს საუბრები მათი სრულფასოვანი სმენადობით აშკარად გამოირჩევა ორს შორის ჩვეულებრივი პირადი საუბრებისგან, მაშინ ამას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. კონტროლირებულ გარემოში ბიჰევიორისტი სპეციალისტებისთვის არ იქნება ძნელი ამ მეთოდით თქვენი ყურადღების გარკვეული შესაძლებლობების მიმართულებით მობილიზაცია.

გარდაცვალების ის შემთხვევა იმით იყო გამორჩეული, რომ მის შემდეგ ისეთი ფრაზები როგორცაა „ეს როგორ დაემართა!..“, „ასეთ ასაკში!..“, „სად დაასაფლავებენ?“ და „აცხონოს ღმერთმა...“ იქცა ჩემს უკან შემთხვევით ჩამომდგართა ძირითად, მაღალი სმენადობის მქონე სამედიცინო აქტებად. თუკი მოსაუბრეები ასეთ სამედიცინო აქტებს შეასრულებენ შესაბამისი ტანის ენისა და სახიობის თანხლებით – მრავალმნიშვნელოვანი გამოხედვა, სარკასტული ლიმილი და სხვა – ავერსიული თერაპია უტყუარი სიზუსტით შეასრულებს საკუთარ საქმეს. ესაა სამიზნე პირში სასურველი ნარმოდგენის და მისი სრული შესაძლებლობების შემოქმედებითი სტიმულირება.

კონცეფტური ჩანართი

დაზვერვის სამსახურებში ფსიქოლოგიური წამების მეთოდების ინტენსიური კვლევის შესახებ კარგადაა ცნობილი. ზოგის მტკიცებით, იძულებითი დარწმუნების და ტვინის გამორეცხვის მეთოდები გადამწყვეტია ამერიკის მილიტარული და სადაზვერვო სამსახურების ბუნების გაგებისთვის. ისტორიკოსი და სადაზვერვო სამსახურების მკვლევარის ალფრედ მკოის მტკიცება, რომ ამერიკაში კოგნიტური მეცნიერებები ინკორპორირებულია ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს პრინციპულ ინტერესში, მისი იმ მტკიცების ნაწილია რომ ამერიკულ სამხედრო სტრუქტურებში ფსიქოლოგია განიხილება როგორც „მნიშვნელოვანი სამხედრო იარაღის სისტემა“,¹⁴ მისივე მტკიცებით, სხვა ფსიქოლოგთა კვლევების გვერდით, სტენლი მილგრამის ცნობილი „მორჩილების“ ექსპერიმენტი, რომლის შესახებაც მრავალ სოციალური და ზოგადი ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოში წაი-

¹⁴ A. McCoy, „Science in Dachau's Shadow:...“, Journal of the History of the Behavioral Sciences, Vol. 43(4), 401-417 Fall 2007. გვ. 401.

კითხავთ, ასევე ამერიკის ცენტრალური სადაზვერვოს ცნობიერების მართვისთვის განკუთვნილი კვლევების პროექტით იყო დაფინანსებული (იქვე, გვ. 402).

მორჩილების ფსიქოლოგიის და გავლენის ფსიქო-ფარმაკოლოგიის კვლევის ისტორიაში უილიამ სარგანტს მაინც გამორჩეული ადგილი უკავია. მისი ტექსტების რელევანტურობას მათი ექსპლიციტურობის ხარისხიც განაპირობებს. აქ, სანამ ვერქეჟორთის ამბის თხრობას გავაგრძელებ, მოკლედ შეიძლება მისი ერთი სტატიის მიმოხილვა. სტატია 1951 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა სათაურით „მოქცევის“ მექანიზმი¹⁵. სარგანტის ამ სტატიის საკვანძო ცნებაა „ცნობიერების ლიმიტი“ – ავერსიული ან პოზიტიური აგზნებების მეშვეობით გამონვეული ზღვრული მდგომარეობა, რომლის შემდეგაც ცნობიერება კარგავს „აღქმადობას“, ვარდება არადიფერენცირებულ უძღურებაში, ხდება სრული „ფიზიოლოგიური ნყვეტი“ (rupture გვ. 313). აბსოლუტური ამტანიანობა შეუძლებელია. როდესაც ნერვული სისტემა მისი ამტანიანობის სპეციფიურ ზღვარს აღწევს, ამას შეიძლება მოჰყვეს მზარდი, არაკონტროლირებადი აგზნება. მაგრამ, როგორც სარგანტი შენიშნავს, ასეთ ვითარებაში უმეტესწილად ფსიქო-ფიზიოლოგიური დაცვის მექანიზმები ამუშავდება, რამაც შეიძლება სიღრმისეულად შეცვალოს ორგანიზმის ქცევა და გარემოზე მისი „სტანდარტული პასუხები“ (იქვე, გვ. 312).

სარგანტი იხილავს პავლოვის სამი ფაზის ცნებას. სანამ „ტრანსმარგინალური“ აგზნების შედეგად ორგანიზმი განიცდის სრულ „ნყვეტს“ – ფსიქო-ფიზიოლოგიურ გამოფიტვას – მის რეაქციებში შეინიშნება სამი მნიშვნელოვანი დაცვითი ცვლილება (იქვე, გვ. 312). პირველ, „ეკვივალენტობის“ ფაზაზე ორგანიზმი კარგავს ძლიერ და სუსტ სტიმულზე განსხვავებული პასუხის უნარს – ხდება მისი რეაქციების

¹⁵ *The Mechanism of „Conversion*, British Medical Journal, London, Aug. 11, 1951.

„გაერთფეროვნება“. ცვლილების შემდეგ ფაზას ეწოდება „პარადოქსული“. აქ ორგანიზმი მეტის და ნაკლების კატეგორიებს შეაბრუნებს რეალობაზე მის რეაქციებში: სუსტი სტიმიული იწვევს ძლიერ პასუხს, ხოლო ძლიერი სტიმიული – კიდევ უფრო ასუსტებს ორგანიზმის დაუძღურებულ რეაქციას. მესამე, „ულტრაპარადოქსული“ ფაზის დროს ხდება თვითონ დამკვიდრებული თვისებების შებრუნება და არა უბრალოდ ძლიერი და სუსტი პასუხების არაადექვატური განაწილება ერთსა და იმავე სახის სტიმულის დინამიკაზე: დადებითად კონდიციონირებული თვისებათა ჯგუფი იქცევა როგორც ნეგატიურად კონდიციონირებული, ხოლო ნეგატიურად კონდიციონირებული პასუხობს როგორც დადებითი კონდიციონირების შედეგი (იქვე, გვ 312). აქ მოკლედ უნდა შეინიშნოს, რომ „ნეგატიური კონდიციონება“ ამ კონტექსტში უნდა ნიშნავდეს ავერსიულ სტიმულირებას და არა გამოცდილებაში უკვე მოცემული ნეგატიური სტიმულის მოხსნის აქტს, რომელიც დადებითი კონდიციონირების სახეობაა.

ტრანსმარგინალური სტიმულირების შედეგად გამოწვეული წყვეტის წინმსწრები, „ულტრაპარადოქსული“ ფაზა სარგანტის განსაკუთრებული ყურადღების საგანია. მისი მტკიცებით, ადამიანში ამ ფაზის თანმხლებია ისეთი მოვლენები, როგორცაა საკუთარი შეხედულებების შებრუნება, ადრე მიუღებელი წარმოდგენების მისაღებობის გაცნობიერება და სხვა. ესაა ფაზა, როდესაც „მეგობრები ხდებიან მტრები და მტრები – მეგობრები“ (იქვე, გვ 313). ამ ფაზის კიდევ ერთი თავისებურება მზარდი სუგესტიურობა და შთაგონებადობაა. ამას ადასტურებს „ულტრაპარადოქსულ“ ფაზაში მყოფი პირის იოლი ჰიპნოტიზირებადობა და მისი ტენდენცია დაიჯეროს „დაუჯერებელი აზრები“ (იქვე, გვ. 313).

ამის შემდეგ სარგანტი ყურადღებას უთმობს ტრანსმარგინალური აგზნების გამომწვევ საშუალებებს. „დაკვირვებები, რომელიც განსაკუთრებით რელევანტურია ჩვენი საკითხისთვის, არის ის, თუ რა საშუალებები იწვევენ სტაბილური ნერვული სისტემის მქონე [ორგანიზმის] ფსიქიკურ დაცემას,

რომლის [თავდაპირველი] უარყოფითი რეაქცია ზედმეტად ძლიერ სტიმულზე ან კონფლიქტურ სიტუაციაზე არ იყო უმართებულო. ზოგი ცხოველი არაჩვეულებრივად გამძლე გამოდგა, როდესაც იგი მრავალი განსხვავებული და ხელოვნურად მიყენებული სტრესის ობიექტი გახდა. მათ ქცევაში ნყვეტი მხოლოდ მაშინ განხორციელდა, როდესაც ფიზიკურმა სისუსტემ, ან ვთქვათ, კასტრირებამ შეარყია მათი ნერვული სტაბილურობა დროებით.“ (იქვე, გვ. 313) აქ სარგანტი გააკეთებს შენიშვნას, რომელიც მისი ინტერესის ესენციაა. „ამგვარი მეთოდების გამოყენების დროს ჩანერგილი ქცევის ტიპების აღმოფხვრა ყველაზე უფრო ძნელი გახდა, თუნდაც მას შემდეგ, როდესაც ცხოველს საკმარისი დრო ჰქონდა კასტრაციის შეგუებისთვის, ან როდესაც ის გამოჯანმრთელდა და დააღწია თავი ადრინდელ ფიზიკურ დაუძლურებას. შეუძლებელი იყო ამ [ახლად ჩანერგილი] ჩვევების აღმოფხვრა....

მსგავსი პროცესი ადამიანებშიც შეინიშნება. ...გრძელვადიანმა სტრესმა და [ფსიქიკურმა] გამოფიტვამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ეს [ახალი ჩვევების, ან აზრების მყარი ჩანერგვა მასში]“ (იქვე, გვ. 313).

მას შემდეგ, რაც სარგანტი განიხილავს პავლოვის სამი ფაზის ცნებას და აღნიშნავს, რომ „ნყვეტის“ წინა ფაზაზე შეიძლება მოხდეს პიროვნებაში „ახალი აზრების“ იოლად ჩანერგვა ან გამოწვევა, იგი ანსხვავებს, ძველ ფსიქო-თერაპიულ მიდგომებს და თანამედროვე ტენდენციებს. როგორც იგი შენიშნავს, მორალურ და რაციონალურ დარწმუნებაზე ორიენტირებული მეთოდები გზას უთმობს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმის (ტკივილის) მიყენების მეთოდებს (იქვე, გვ. 313). არსებითია, რომ სარგანტისთვის ფსიქოანალიზისტური „თავისუფალი ასოციაციების“ მეთოდის მნიშვნელობა ტრავმატული გამოცდილების რეპროდუქცია და ამის შედეგად წარმოქმნილი მაღალი აგზნებადობის საფუძველზე სუგესტიურობის ზრდაა. ის არ არის არც გამოცდილების წყაროს უშუალო თერაპია და არც დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი, როგორც ეს ფროიდს და სხვებს მიაჩნდათ. სუგესტი-

ურობის ზრდა, თავის მხრივ, ანალიტიკოსზე ემოციური „გადატანის“ პირობაა, სადაც ხდება პაციენტის თერაპევტთან პოზიტიური თვითგაიგივება, ან ამის უარყოფა. ეს შებრუნებები კი მოიყოლებს პაციენტისთვის მანამდე „დაუჯერებელი“ ფსიქონალიტიკური ახსნების მიღებას (იქვე, გვ. 313). სარგანტისთვის თავისუფალი ასოციაციების მეთოდი ფაქტობრივად სუგესტიურობის ზრდის ინსტრუმენტია.

ცხადია, რომ სარგანტის ამ განაზრებების სპეციფიკა იმ ემპირიულ ფაქტზე ვიწრო კონცენტრირებაა, რომ გარკვეულ სტადიაზე, რომელიც ფიზიკური და ფსიქოლოგიური მანიპულაციით შეიძლება იყოს გამოწვეული, ადამიანის ცნობიერება „იხსნება“ საპირისპირო, ან განსხვავებული „აზრების“ მიმართ. იოლია იმის მიღებინება, რაც მისთვის მიუღებელი იყო და სხვა. ამ ტრანსმარგინალური მდგომარეობის პროვოცირება შეიძლება როგორც რელიგიურ-ესთეტიკური ეიფორიის მეშვეობით, ისე ფსიქოლოგიური ტერორისა და ფიზიკური ტანჯვის მიყენების მეთოდებით. პირველის, ან წმინდა ესთეტიკური გამოცდილების, პრობლემა ის უნდა იყოს, თუკი სარგანტის ლოგიკას მივყვებით, რომ მისი მეშვეობით სრულყოფილი აგზნების – ნამდვილი ექსტაზის – მიღწევის უნარი იშვიათია. აბსოლუტური ესთეტიკური ტკბობა – მისი მეშვეობით ტრანსმარგინალური წყვეტის გამოწვევა – თითქმის ისევე იშვიათია როგორც რელიგიური მედიტაციის მეშვეობით მიღებული ნამდვილი მისტიკური ექსტაზი.

მაგრამ, მეორე გზა უფრო უნივერსალურია. სწორედ ამიტომ, შიში, ტერორი და ზღვრული ფსიქო-ფიზიკური მოქანცულობით გამოწვეული განცდა გაცილებით არსებითია სარგანტის „მოქცევის“ ტექნოლოგიაში. თანამედროვე ფსიქიატრიამ „მხოლოდ ახლახან დაიწყო მიზანმიმართული და წინასწარ დაგეგმილი დაუძღვრების (debilitating) პროცედურების იმ მიზნით გამოყენება, რომ მიღწეულ იქნას უკვე დამკვიდრებული არასასურველი ქცევის მოშლა“ (იქვე, გვ. 315). პიროვნების ტრანსმარგინალური აგზნებით გამოწვეული ცვლილების ცხოვრებისეული მაგალითების ძიებისთვის გა-

მოდგებოდა არა საკონცერტო დარბაზები, ან პოეზიის საღამოები, არამედ უახლესი ომების ფრონტის ხაზი, სადაც ქურვების აფეთქებით გამოწვეული უწყვეტი აუდიო-შოკირება და დაფლეთილი სხეულების ფენომენოლოგია ტრანსმარგინალური წყვეტების და ისტერიული პარალიზირებების სრულფასოვან სივრცეს ქმნის.

იოლი დასანახია, რომ სარგანტისთვის ზოგიერთი ეკლესია მის თანამედროვე ამერიკაში, ისევე როგორც ჯონ და ჩარლზ უესლების მეთოდისტური სამრევლო მეთვრამეტე საუკუნის ბრიტანეთში, ტრანსმარგინალური გამოცდილების სინთეზური წარმოების საუკეთესო ნიმუშია (იხ. იქვე, გვ 315, 316). დიონისური ესთეტიკის და ფრონტის ხაზის ფენომენოლოგიის ორგანული ერთიანობა – ესაა ისტერიული ცეკვის, რიტმული პულსირების და ექსტაზური სიმღერის შეთავსების საზრისი „ცოდვის“, „ღვთაებრივი რისხვის“ და „ჯოჯოხეთის“ შესახებ წარმატებულ ქადაგებასთან.

ეკლესია

ვერქვორთის ეკლესია სამზარეულოს გვერდით მდებარეობს. საკმაოდ დიდი შენობა ორასამდე კაცს იტევს. იქვე, ეკლესიის ეზოში, შედარებით მცირე საკონცერტო-სამლოცველო დარბაზიც არის, რომელიც ცალკე დგას. მისი გამოყენება ნებისმიერი დენომინაციის და რელიგიის წარმომადგენელს შეუძლია ორგანიზებული საეკლესიო საქმიანობისთვის. ყვავილების ბაღი, რომელიც პატიმართა მედიტირებისთვისაც არის განკუთვნილი, განსაკუთრებით მიმზიდველია ზაფხულში, როდესაც ვარდების, გვირილების, ქრიზანთემების და ორქიდეების სურნელი ამერიკულ გრძელნიცკარტასაც იზიდავს.

ის, რომ კანადურ ან ამერიკულ ციხეში დენომინაციის მიხედვით საეკლესიო მსახურების არჩევა უმეტესწილად შეუძლებელია, არ არის რელევანტური ამ მოთხრობისთვის.

არსებობდა მუსულმანური მსახურება, რომელიც ცალკე მდგომ სამლოცველოში იმართებოდა. ძირითად ეკლესიაში კი ნებისმიერს შეეძლო მსახურებაზე დასწრება.

მსახურებას პირველივე კვირას დავესწარი. ჯორჯი, რომელიც მილჰევენის ციხიდან გამომყვა, მირჩევდა, რომ ოთხშაბათობით გამართულ ბიბლიის კითხვაზეც წავსულიყავი. მაგრამ, ჩემი წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელსაც აქ აღარ შევეხები, გადავწყვიტე მხოლოდ ძირითად მსახურებაზე მევლო. მცირე მუსიკალური ანსამბლი საკმაოდ კარგად ჟღერდა. პატიმრების გუნდური სიმღერა და მეთოდისტურ-ანგლიკანური საეკლესიო მსახურებისთვის დამახასიათებელი მელოდიზმი საკმარისი იყო იმისთვის, რომ სრული ხალისით გამეზიარა ის ესთეტიკური გამოცდილება.

რამდენიმე მსახურების შემდეგ ერთი შავკანიანი მუსიკოსი გამომელაპარაკა – პიანისტი და მომღერალი. დებიუსის, შოპენის და ბახის მისი ცოდნა იმის პირობა იყო, რომ მსახურების შემდეგ ხშირად შევჩერებულიყავით ეკლესიის ბაღში, სადაც საკნებში წასასვლელი კარიბჭის გაღებამდე, თხუთმეტი-ოცი წუთის მანძილზე, შეგვეძლო საკუთარი აზრების გაზიარება.

ერთხელ ჩემი ყურადღება შემდეგმა ხდომილობამ მიიპყრო. ეკლესია თითქმის სავსე იყო. როგორც წესი, ქადაგების შემდეგ, მოძღვარი იწვევდა რომელიმე მოხალისეს, რომელსაც სურდა საკუთარი რელიგიური გამოცდილების გაზიარება. ერთი ან ორი მსურველი ყოველთვის მოიძებნებოდა. იმ დღეს ერთი ახალგაზრდა წამოდგა, როგორც მერე გაირკვა, ინდიელი. როდესაც სცენაზე ავიდა, მან დინჯად დაიწყო მეტყველება. მისი მიმართვა – „ძმებო და დებო...“ – იმის მომასწავებელი იყო, რომ იგი ე. წ. არასტანდარტული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელი იქნებოდა. მისი საუბარი თანდათან გადაიზარდა ემოციურ მორალურ შეგონებაში და პირადი რელიგიური „მოქცევის“ შესახებ ქადაგებაში.

მაგრამ, ეს შინაარსობრივი მხარე ერთმა გარემოებამ გადაფარა. ინდიელის მეტყველება რალაცნაირი თეატრალუ-

რობით გამოირჩეოდა. თითქოს გარკვეული ლოგოპედური ნაკლიც ჰქონდა ზოგიერთი თანხმონის გამოთქმისას. ტუჩების და წარბების მოძრაობის სიმკვეთრე და შესტიკულაციის ენერგიულობა – ცისკენ აღმართული ხელები, დროდადრო საჩვენებელი თითის მსმენელებისკენ მყისიერი გამოშვერა და სხვა – მისი ქადაგების საზრისს ჩრდილავდა. რამდენიმე წუთში მან დაასრულა გამოსვლა და მქუხარე ტაშიც მიიღო.

მისი მეტყველება საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. თუმცა, ისიც გავაცნობიერე, რომ ინდიელი ქადაგის კომპლექსური სახისმეტყველება მაინც ვერ აღვიქვი სრულფასოვნად. რა იყო მისი სახიობის სპეციფიური ნიშანი? ეს კითხვა საკმაოდ მკაფიოდ დამრჩა გონებაში. ფაქტი იყო, რომ მიმიკური სიმდაფრე მისი მთლიანი წარმოდგენის ცენტრალური ნაწილი იყო და ასრულებდა მსმენელის ყურადღების ფოკუსირების ფუნქციას.

რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც ინდიელის მსგავს გამოსვლას კიდევ რამდენჯერმე ვიხილავ, უფრო უკეთ დავინახავ თუ რა არის მისი მეტყველების თავისებურება, და ასევე, რა იყო მისი გამოსვლების ფუნქცია საეკლესიო რიტუალის იმ კონტექსტში.

დროდადრო ეკლესიაში ლუც გამოჩნდებოდა ხოლმე – მილჰევენიდან წამოსული კონფედერატი, რომელიც უკვე ავლწერე როგორც პროფაილერი. როგორც წესი, იგი ჩემთან ჯდებოდა.

რამდენიმე კვირა გავიდა. ეკლესია კვლავ სავსე იყო იმ დღეს. მსახურების დაწყებიდან ოც წუთში ინდიელი ისევ წამოდგა მოძღვარის მოპატიჟებაზე. ლუ გვერდით მეჯდა. როდესაც ინდიელმა დაასრულა გამოსვლა, ვიგრძენი, რომ ამჯერად მისმა ქადაგებამ გაცილებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. თუმცა, ის კიდევ გაურკვეველი იყო ჩემთვის, თუ რა იყო ამის მიზეზი. ამასთანავე, ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება. ციხეში პერიფერული მხედველობის როლი შეუცვლელია. ის იყო სხვების ტაშს მეც შეეუ-

ერთე ხელების ენერგიული მოძრაობა, როდესაც გვერდით მჯდომი ლუს თავის მოძრაობა უცნაურად მომხვდა თვალში. ჩემი პერიფერული აღქმიდან ძნელი იყო დაზუტებით თქმა, მაგრამ სცენაზე მყოფი მუსიკოსის რეაქციამ დამარწმუნა, რომ ლუმ მას რაღაც ანიშნა. ორის ამ თვალთ კონტაქტი – როგორც ეს მოულოდნელად შევნიშნე – მოძღვარმაც მიიღო მონანილეობა სახის მინიმალური რეაქციებით.

ამას მოჰყვა შემდეგი. როგორც კი მუსიკის პირველმა აკორდმა გაიჟღერა, ვიგრძენი ჩემი ემოციური ენერგიის სრული, იმპულსური მოზღვავება. ექსტაზური ბიძგი თითქმის მყისიერად გადაიზარდა ამაღლებულის სრულფასოვან განცდაში. სიმღერის დაწყება და ჩემი ექსტაზის შეუკავებელი ამოხეთქვა ერთი იყო. თავის დახრამ არ უშველა საქმეს. დავაშტერდი ფურცელს, რომელზეც სიმღერა ეწერა და რომელიც ხელში მეკავა. ვცადე სხვა რაიმეზე მეფიქრა. ყოველივე ეს – უშედეგოდ. ლუ შეეცადა არ შეემჩნია რომ იცოდა ჩემი შინაგანი მდგომარეობის შესახებ. ბოლოს, სანამ სიმღერის უკანასკნელ კუპლეტზე გადავედით, მოვახერხე ყურადღების კონცენტრირება და სიმღერის ჩვეულებრივი ხმით დასრულება.

მოგვიანებით, როდესაც ვაანალიზებდი თუ რა შეიძლება ყოფილიყო ჩემი ემოციური „ამოვარდნის“ მიზეზი, მივედი ერთ დასკვნასთან. ამ დასკვნის ერთი წანამძღვარი ის იყო, რომ ის სიმღერა ადრეც შესრულებულა, მაგრამ ასეთი რეაქცია არ მქონია მასზე. მეორეც, ჩემი ესთეტიკური გრძნობის ვარიაციებს და შესაძლებლობებს საკმაოდ კარგად ვიცნობ. ექსტაზი არაა უცხო, თუკი მუსიკალური ხელოვნების ადექვატურ ნაწარმოებთან მაქვს საქმე. ის საეკლესიო სიმღერა საკმაოდ კარგი იყო, მაგრამ არ იკმარებდა ესთეტიკური გამოცდილების მწვერვალზე მოსახვედრად. ლუს წინმსწრები თვალთ მინიშნებები და მუსიკოსთან კონტაქტი კიდევ უფრო ართულებდა მიზეზების ძიებას.

ეს შემთხვევა ერთჯერადი რომ ყოფილიყო, ალბათ გამიჭირდებოდა რაიმე კონკრეტული და დამაჯერებელი ახსნის მოძებნა. მაგრამ, ლუ და ინდიელი კარგად იყვნენ! მათი თანხლებით მრავალჯერ შესრულებული ჩემი ტრანსმარგი-

ნალური ცრემლდენა იმდენჯერ გამოვრდა მომდევნო რამდენიმე თვის მანძილზე, რომ უეჭველი იყო: ლუ იყენებდა გაზის მდგომარეობაში მოცემული „ემოციური აბის“ რაღაც სახეობას, ხოლო ინდიელი პროფესიონალი ჰიპნოტიზიორი იყო. ეს იმითაც დავასკვნენი, რომ ქადაგების დროს ინდიელის თვალეში ყურება თითქმის გარანტია იყო, რომ ქადაგების მომდევნო სიმღერა, იმის მიუხედავად, თუ რა ესთეტიკური ღირებულება ჰქონდა მას, აუცილებლობით მოიყოლებდა ჩემს აღნიშნულ ტრანსმარგინალურ გამოცდილებას.

კიდევ უფრო მოგვიანებით, როდესაც ინდიელი პირადად გავიცანი ერთი მსახურების შემდეგ, უფრო უკეთ გავაცნობიერე თუ რა იყო მისი სასცენო მეტყველების ზოგიერთი თავისებურება, რომლის ნიშანწყალიც აღარ იყო მასთან პირად საუბარში. ნათელი იყო, რომ მას არავითარი ლოგოპედური ნაკლი არ ჰქონდა. მისმა მშვიდმა ტონმა და უნარმა დაეფასებია ზომიერი ირონია, ცხადყო, რომ მისი რელიგიური პათეტიკა საკმაოდ კარგად დასწავლილი სასცენო როლი იყო.

* * * * *

ინდიელის და ლუს მოღვაწეობა ჩემი ეკლესიური გამოცდილების ფაქტორი იყო. მაგრამ, არა ერთადერთი. წინა თავიდან ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთი ემოციური ძვრების შემზადება მხოლოდ „ემოციური აბის“ და ჰიპნოტიზტის შედეგი არ უნდა იყოს. ის უნდა შეიცავდეს ავერსიული პროცედურების რაღაც დოზასაც. ციხის ცხოვრების მთლიანობის კონტექსტი გადამწყვეტია. აქ მოკლედ დავახასიათებ ვერქვორთის საცხოვრებელი კორპუსების შინაგანი გრაფიკის ზოგიერთ თავისებურებას.

ვერქვორთში ხუთი ძირითადი საცხოვრებელი კორპუსია. აქედან ერთი – ე. წ. „ოთხმოცი კაცის განყოფილება“ – განსხვავებულია და ძირითადად მოხუცების ან სხვა „სპეციალური საჭიროების“ მქონე პატიმრებისთვისაა განკუთვნილი. მე ჩვეულებრივ კორპუსში ვცხოვრობდი. ასეთი შენობა, როგორც წესი, ექვსი განყოფილებისგან შედგება, რომლე-

ბიც განთავსებულია სამ ცენტრიდან საპირისპირო მიმართულებით მიმავალ დერეფანში. კორპუსები ორსართულიანია. დერეფნების შუაში მცველთა სათვალთვალო პუნქტია, სდაც მონიტორები შეერთებულია განყოფილებებში მოთავსებულ ვიდეოთვალელებთან. ყოველ განყოფილებაში ჩვიდმეტი საკანია, რომლიდანაც ოთხი ორ ადგილიანია, ხოლო დანარჩენი ცამეტი – ერთადგილიანი. როგორც წესი ერთადგილიანს „რიგის“ წესით იღებს ახალმოსული პატიმარი, ასე, სამი ოთხი თვის შემდეგ. მე ცხრა თვე დამჭირდა მის მისაღებად.

ყოველ განყოფილებას ჰყავს დამლაგებელი (cleaner) და განყოფილების წარმომადგენელი. ამ ორი მოვალეობის შემსრულებელი პატიმარი სტატუსით უახლოვდება ტორონტოს ციხეში „სერვერის“ მდგომარეობას. ფედერალურში არ არსებობს სერვერი, რადგან კვების სისტემა აქ უკვე პრინციპულად განსხვავებულია. პატიმრები, როგორც ადრე ვთქვი, სამზარეულოში იკვებებიან. ბლოკის დამლაგებელს რომ განსაკუთრებული სტატუსი აქვს, რეალური პატიმარი მალე შეიტყობს – განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მისი კონდიციონების პროცესი „ჟონვის“ საწინააღმდეგო პროცედურებს შეიცავს.

დამლაგებელი ისეთივე „პროფესიაა“ ჩვეულებრივ ციხეში, როგორც ყველა სხვა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ დამლაგებელს უნდა ჰქონდეს სამუშაო საათები – როგორც წესი, დილის ცხრიდან დღის ოთხ საათამდე – რის შემდეგაც უნდა დაიწყოს მისი პირადი საქმიანობისთვის განკუთვნილი დღის მონაკვეთი (ეზო და სავარჯიშო დარბაზი იღება საღამოს ექვსზე და ორმოცდახუთ წუთზე). როდესაც შენიშნავთ, რომ დამლაგებელი მუშაობს „უგრაფიკოდ“ – დილით, საღამოს და გვიან ღამით, საკნების ჩაკეტვამდე, და ასევე კვირის შვიდივე დღეს, ეს იმის ნიშანია, რომ იგი ითავსებს სხვა ფუნქციას. მაგრამ, ამაზე ცოტა მოგვიანებით.

„ლოკ დაუნი“ ცხოვრების სისტემური ელემენტია. ტორონტოს „ლოკ დაუნებისგან“ განსხვავებით, ვერქვორთის ციხის პერიოდულ ჩაკეტვებს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი

დაემატა. ეს მოხდა მხოლოდ მას მერე, რაც მე ერთადგილიან საკანში გადავედი. ფრონტის ხაზის და ჭურვის ფეთქების ფენომენოლოგია რომ მოქცევის თერაპიის ნაწილი შეიძლება იყოს, წინა თავიდან ნათელი გახდა. როდესაც 2013 წლის ზაფხულში, პაროლის პირველი მოსმენიდან უარით დაგბრუნდი და ჩემმა მეზობელმა ჩაილაპარაკა, რომ მომავალი წელი „ნამდვილი საომარი ზონა იქნებოდა“, სარგანტის სტატიები ჯერ კიდევ არ მქონდა წაკითხული. მიუხედავად ამისა, მეზობლის შენიშვნა სწორედ ისე აღვიქვი, რა მიზნითაც ის იყო ნათქვამი.

მეტალის კარზე ფეხის სრული ძალით მირტყმა რომ ძლიერ აუდიო შთაბეჭდილებას გამოიწვევს, ძნელი წარმოსადგენი არ არის. მაგრამ, როდესაც რამდენიმე დღე ჩაკეტილი ხარტ მცირე საკანში – ეზოს, შხაპის, და ტელეფონზე საკუთარ ოჯახთან დაკავშირების შესაძლებლობის გარეშე – და სწორედ ამ დროს თხუთმეტი მამაკაცი სრული ძალით, ორგანიზებულად და რიტმულად ახორციელებს კარზე ფეხის ბრახუნის პროცედურას, დაინახავთ, რომ შესაძლებელია ფრონტის ხაზის აუდიო ეფექტების სრულფასოვანი იმიტაცია.

ამ აუდიო-შოკირების სრული წარმატებისთვის საჭიროა მისი კონტრასტული მომზადება. სწორედ ამ მიზნით ლოკ დაუნის ხმაურის პროცედურას, როგორც წესი, ვორკვორთში წინ უსწრებდა რამდენიმე საათის განმალლობაში სრული სიჩუმე განყოფილებაში. ის, რომ სიჩუმის და ხმაურის ამგვარი მონაცვლეობა არ იყო შემთხვევითი გარემოება და რომ ის წარმოადგენდა სენსორული დეპრივაციის და სენსორული გადატვირთვის მონაცვლეობის მეთოდურ პროცედურას, იქიდანაც შეიძლება დაასკვნას მავანმა, რომ ლოკ დაუნის რეალურ ვითარებაში დილის საათებში, როდესაც ოცამდე ადამიანი ჩაკეტილია საკანში, უნდა ისმოდეს ან ტელევიზორის, ან რადიოს, ან პატიმართა საუბრის ხმა. საკნიდან საკანში, ისევე როგორც ტორონტოს ციხეში, ხმა საკმაოდ კარგად ატანდა (თუმცა, ვერქვორთის საკანს ერთიანი მეტალის კარი აქვს). მიუხედავად ამისა, იმ სიჩუმის სეანსის დროს სრულ-

ყოფილ რინდს მხოლოდ მცველის ფეხაკრეფით სიარული თუ დაარღვევდა დროდადრო. სრული აკუსტიკური ვაკუუმი სეანსის ესენციაა.

კონფედერატების მიერ ჩატარებულ მიზანმიმართულ ხმაურის პროცედურას „რეალისტური“ გამართლება სჭირდება (უარყოფილობის პრინციპიდან გამომდინარე). ამის მოფიქრება ძნელი არ იყო. ამ გამართლებებისთვის გამოდგება რაიმე მიზეზით სადილის დაგვიანება (ლოკ დაუნის დროს საკვები საკანში მოაქვთ); ან რომელიმე პატიმრის მიერ ზოგადი პროტესტის გამოხატვის მოულოდნელი ინიციატივა, რომელსაც ყველა პატიმარი, ერთის გარდა, მყისვე შეუერთდებოდა და სხვა.

რინდის სეანსის შემდეგ მოულოდნელი ძლიერი ხმა, რომელიც სმენის ორგანოზე ფიზიკური ბიძგის შთაბეჭდილებას ტოვებს, არაჩვეულებრივად ეფექტურია. მახსოვს, ასეთი რამდენიმე დღიანი პროცედურის შემდეგ, როდესაც ლოკ დაუნი დასრულდა, სივრცის და ბალანსის შეგრძნება როგორ მქონდა დარღვეული. როგორც ადრე ვთქვი, ტორონტოში იზოლატორის სპეციალურ საკანში თვრამეტი დღე დაყავი. ძილის გატეხვის და ხმაურის პროცედურები იქაც იყო. მაგრამ, ვერქვორთში ჭურვის ფეთქების სიმულაციის სრულფასოვანი პროცედურები შეუდარებელია. ტორონტოში გატარებულ თვრამეტდღიან იზოლაციას არ დაურღვევია ჩემი სივრცის ნორმალური შეგრძნება. ვერქვორთში, ერთი ცხრაღღიანი ლოკდაუნის შემდეგ, რომელსაც საკმაოდ ინტენსიური ხმაურის სეანსები ახლდა, ეზოში გამოსვლა პარაშუტით პირველ გადმოხტომას უფრო მიაგავდა ვიდრე მყარ ნიადაგზე სიარულს.

* * * * *

ჩამოვთვლი იმ ავერსიული კონდიციონების ელემენტებს, რომელსაც მავანი შეიძლება შეხედეს პროგრამის სხვადასხვა პერიოდში. საკნის მეტალის კარზე ფეხის მირტყმით გამოწვეული ხმაური ყველაზე აგრესიული ფორმა იყო. მაგრამ,

რეალური ავტომატური იარაღიდან სროლა, რომელიც მცვე-
ლების „სროლაში ვარჯიშის“ მოტივით შეიძლება იყოს შე-
ნიღბული, ასევე მოსალოდნელია (დილის პერიოდში ეზოს
მიღმა ავტომატური იარაღიდან სროლაში „ვარჯიში“ სამ
თვემდე გაგრძელდა და ის ყოველთვის „ემთხვეოდა“ დროის
იმ მონაკვეთს, როდესაც მე საკანში ვიყავი, სადაც ეზოს მილ-
მიდან მომავალი ავტომატური იარაღის სროლის ხმა გაცი-
ლებით უკეთ ისმის, ვიდრე სამზარეულოში). აუდიო გამაღი-
ზიანებლებში განსაკუთრებით არსებითია „მცირე ბგერების“
ტექნიკა (რის მიმართ ნეგატიურ მგძნობიარებას მისოფონია
ენოდება). რამდენად იოლი წარმოსადგენია, რომ ჩანგლის
მრავალჯერადი დაცემა ქვის იატაკზე შეიძლება იქცეს ფსი-
ქოლოგიური წვალეების სახეობად? როდესაც ჩანგლის (ან
სხვა მეტალის მცირე ობიექტის) რიტმული მონოტონურო-
ბით ქვის იატაკზე დანარცხება მეზობელ საკანში ორი საათი
გრძელდება, და ამასთანავე სამიზნე პირს მიღებული აქვს
„აუდიო გამაძლიერებლის“ ქიმიური სტიმულატორი, ეს შეიძ-
ლება იქცეს ტრანსმარგინალური აგზნების წარმოებისთვის
განკუთვნილ საკმაოდ ეფექტურ საშუალებად. ასევე ნაყო-
ფიერია კენჭების იატაკზე მრავალჯერადი დაყრა, როდესაც
იატაკი, რომელზეც კენჭები ცვივა, მდებარეობს თქვენი საკ-
ნის ქერზე. პირის წკლაპუნი და ადამიანური სხეულის სხვა
ბგერითი აქტივობა ასევე ადექვატური იქნება, სადაც „კულ-
ტურული შოკი“ პროცედურის ეფექტურობის დამატებითი
პირობა შეიძლება იყოს.

არამუსიკალური ბგერების აუდიო შოკ-თერაპიისგან
გამოცალკევებას იმსახურებს მუსიკალური სეანსები. იოლი
გასგებია, რომ თუ მავანი რეპ მუსიკის მოყვარულია, დიდი
აღბათობაა, რომ მისი ხვედრი იყოს მოცარტის სიმფონიები
და შოპენის საფორტეპიანო პიესები, რომელთაც იგი მისი
მეზობლის საკნიდან მოისმენს. მაგრამ, თუ მავანი ვერ იტანს
რეპს, ვურჩევდი ამის არ გამხელას, მანიპულატორების ამ-
გვარი მანიპულირება შესაძლებელი რომ ყოფილიყო. დიდი
აღბათობაა, რომ ამგვარი კონტრტაქტიკა ავერსიული კონ-

დიცირების ორმაგ პორციას მოიყოლებს. ანტი-რეპისტიკის ხვედრია მგრძობელობით შერჩეული ბილნსიტყვაობის და ატონალური ღრიალის რიტმული ნაკადი, რომელსაც იგი დღის კარგად შერჩეულ მონაკვეთში რეგულარულად მოისმენს. შესაძლოა მან იცნოს სიმღერა, რომელსაც ჩემი მეზობლის საკნის ღია კარიდან ვისმენდი და დამამახსოვრდა – „Fuck you Peres!“ – რაც სიმღერის სრულ ტექსტს წარმოადგენს (ბუნებრივია, სიმღერის სათაური არ ვიცი).

აუდიო სტიმულების სახეობები დაუსაზღვრელია. ასევე მდიდარია სუნის სემანტიკა. მავანი ამაში დარწმუნდება, როდესაც სამზარეულოში „შემთხვევით“ გაფუჭებული საკვების მოცილება მისი მუდმივი საქმიანობა გახდება, ხოლო აუტანელი სუნების ვარიაცია ზუსტად დაემთხვევა მისი ქცევის მნიშვნელობებს, რომელიც ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: გაჟონვადი და არაგაჟონვადი.

ფერის შესახებ უკვე ვახსენე. რეალური პატიმარი მალე შიტყობს, რომ მის გარშემო მყოფი „პატიმრების“ წითელი და მწვანე ტანსაცმელი უტყუარი სიზუსტით დაემთხვევა მისი ქცევის მნიშვნელობებს. იქ, სადაც ლურჯი მაისური და ჯინსი, რომელსაც არავითარი სიმბოლური დატვირთვა არა აქვს იმ კონტექსტში, ოფიციალური უნიფორმაა, წითელი და მწვანე ტანისამოსის სისტემური გამოყენება იოლად წაკითხვადი ენა იქნება. ამას უნდა დაემატოს შავის და თეთრის დიალექტიკა. როდესაც მავანი მისი საკნის ფანჯრის წინ დაინახავს სრულიად „უადგილოდ“ გაჩერებულ შავ მანქანას, და ეს მიიღებს კორელაციური სისტემურობის სახეს, მას ასევე იოლად ეცოდინება ის, თუ რა არის შეტყობინების საზრისი.

დროის მანიპულაცია არსებითია – განსაკუთრებით, ლოდინის და „მოულოდნელად გადადებულის“ პრაგმატიკა. როდესაც დადგენილ დროზე კვების დანყება, ან საკნის კარის მცველების მიერ დროული გაღება, მუდმივი წარუმატებელი მიხვედრის ობიექტია, მავანმა შეიძლება ადვილად დაინახოს დროის „ქაოსური წარმოების“ საზრისი, რომლის შესახებაც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს

არასტანდარტული დაკითხვების სახელმძღვანელოში ვკითხულობთ.¹⁶

* * * * *

მაგრამ, ცალკეული სენსორული სიგნალები არაა ვერქვორთის პროგრამის მთავარი კვალიფიკაცია. კომპლექსური თემატური თამაშები კი – არის. ამის კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან (ხეიბრების და ინვალიდის ეტლიანი შავკანიანი ფეხბურთელის ამბავი მისი მცირე ილუსტრაცია იყო).

სამზარეულოში უკვე რამდენიმე თვის დაწყებული მქონდა მუშაობა. სამზარეულოდან საცხოვრებელ კორპუსებამდე პატიმარმა ერთი გამშვები პუნქტი უნდა გაიაროს. ესაა პატარა შავმინებიანი ჯიხური, სადაც რამდენიმე მორიგე მცველი თვალყურს ადევნებს გამვლელ პატიმრებს. მათგან ცოტა მოშორებით მეტალის გისოსებიანი ჭიშკარია, რომელიც ავტომატურად იღება და იხურება. იმ პერიოდში ჩემი სამზარეულოში მუშაობის გრაფიკი ითვალისწინებდა თერთმეტ საათსა და ოცდაათ ნუთზე საკანში დაბრუნებას ერთი საათით, სანამ ლანჩის შემდეგ კიდევ ერთხელ ნავიდოდი სამსახურში.

გამშვები პუნქტის ჭიშკარი ზოგჯერ უკვე ღია გვხვდებოდა. თუმცა, უმეტესწილად, სამსახურებიდან მომავალ პატიმრებს გვიხდებოდა ხუთი-ათი ნუთით გამშვებთან შეყოვნება. იმ პერიოდში ჩემთვის უკვე ცნობილი იყო ქარაგმული მეტყველების და ირიბი შეტყობინებების მეთოდი, რომელსაც პროგრამის კონფედერატები და მცველები იყენებენ რეალურ პატიმართან კომუნიკაციისთვის. როდესაც ერთ დღეს გამშვებ ჭიშკართან ჩვეულებრივზე ცოტა მეტ ხანს შეგვაყოვნეს

¹⁶ McCoy, “Cruel Science: CIA Torture and U.S. Foreign Policy”, http://scholarworks.umb.edu/nejpp/vol19/iss2/15/?utm_source=scholarworks.umb.edu%2Fnejpp%2Fvol19%2Fiss2%2F15&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages, გვ. 221)

და სწორედ ამ დროს გაიმართა ჩემთან ახლო მდგომ რამდენიმე „პატიმარს“ შორის დიალოგი, არ გამჭირვებია ამომეცნო მისი დანიშნულება. „ჰო, დამსმენია...“ ჩაილაპარაკა ერთმა. მეორის პასუხი კიდევ უფრო გარკვეული იყო: „კი მაგრამ, ამდენ ადამიანს ერთად რომ დაასმენ, ხომ იცი რა გელის...“

– მაგას მოწმეთა დაცვის პროგრამა დასჭირდება. სახელის შეცვლა და სხვა...

– ვითომ ეგ უშველის? როდესაც არ იცი ვინ დგას იმათ უკან, ვისაც ასმენ, რისკი გაცილებით დიდია.

– მოკლავენ და ახიც იქნება.

შესაძლოა ეს დიალოგი დამაჯერებელი იყოს როგორც ორს შორის საუბარი. მაგრამ, ვერქვორთის იმ კონტექსტში ის გაცილებით იოლად წაიკითხება როგორც მესამესთან ორის საუბარი. ის, რაც ამგვარ წაკითხვას უწყობს ხელს კვლავ იგივეა: დიალოგი მდგრადი სტაბილურობით, სწორედ იმავე ადგილას, გამეორდება რამდენიმე თვის მანძილზე ისე, რომ ამ წარმოდგენაში, სხვადასხვა დროს, მონაწილეობას მიიღებს არა ერთი ასეთი წყვილი. ერთი უცვლელი, პასიური მონაწილე იქნება რეალური პატიმარი – მე. ამ მტკიცების სისწორის დამატებითი გადამოწმება სხვა უკვე გამოცდილი მეთოდითაც არის შესაძლებელი. საკმარისი იყო შეტყობინებაზე ჩემი მინიმალური ნეგატიური რეაქცია – მაგალითად, მოსაუბრეების მიმართ ზურგით დადგომა, ან ქართულად შეკურთხება, რომელსაც ჩემთვის ჩავილაპარაკებდი და რომლის გარეშე თითქმის შეუძლებელი იყო იმ გარემოში მორალური გადარჩენა – იმისთვის, რომ განყოფილებაში მისვლისთანავე მიმეღო მათი საპასუხო სიგნალი. როგორც წესი, ეს იქნება სიმბოლური აქტები, რომლებიც მატყობინებენ, რომ მომავალი პირობები დამძიმდება (არ გამიშვებენ პაროლზე და სხვა). დამლაგებლის სველი ჩვრით ჩემი საკნის წინ იატაკის წმენდა ერთი სტანდარტი იყო, რომელიც რობოტული სიზუსტით მეორდებოდა ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ. მცველის მიერ ჩემი საკნის კარის გაღების შეყოვნება ისე, რომ კარებთან მომიხდეს საკმაოდ დიდ ხანს ლოდინი,

მეორე სტანდარტია, რომელიც პირველს შეიძლება ახლდეს. ამ სტანდარტებს შეიძლება მოჰყვეს არასტანდარტული და უფრო მძიმეწონიანი შეტყობინებები მრავალდღიანი „ლოკ დაუნის“ ჩათვლით, თუკი კარიბჭესთან მოსმენილ დიალოგზე ჩემი რეაქციის სახეობა გასცდება მათი მოლოდინის საზღვრებს.

აღწერილი დიალოგების და მათი თანმხლები აქტების თავისებურება მათი მონოტონური, რიტუალური გამეორებაა. ტატუირებული შიკრიკების ქარაგმული საუბარი „დასმენის“ და „გარდუვალი სიკვდილის“ შესაძლებლობაზე; საკნის წინ მყოფი თავჩაქინდრული დამლაგებელი, რომელიც თვალს არ გისწორებთ; მცველი, რომელიც გხედავთ, მაგრამ საკნის კარს არ გიღებთ და სხვა, ტოვებს შეგრძნებას, რომ ამ ერთფეროვანი ბიჰევიორისტული შანტაჟის წარმოდგენის აცილება შეუძლებელია. თუნდაც მხოლოდ ამ სიზმრისეული მოუცილებადობის ელემენტს შეეძლო ექცია ზომიერი დაშინების მცდელობა აუტანელ ფანტაზმაგორიულ ტანჯვად. მაგრამ, გაცილებით უფრო ეფექტური იყო სხვა დეტალი: ტერმინი „დამსმენი“-ს გამოყენება მათ მიერ, ვის ძირითად საქმიანობას სწორედ ეგ წარმოადგენს.

ძნელი დასანახი არ არის ის, რომ რამდენიმე თემატური თამაში, რომელიც აქ და წინა თავებში აღვწერე, ფაქტობრივად ქმნის მნიშვნელობის ერთიან ბადეს – კოგნიტური თვალსაზრისით საკმაოდ მარტივს, მაგრამ საზრისის სამიზნე პირში შთაბეჭვდის მეთოდურობის თვალსაზრისით საკმაოდ დახვეწილს. „დამსმენია-მოკლავენ“ მიზანსცენების ორთვიანი სუსგესტია არსებითი კონტექსტური ფონი იყო იმისთვის, რომ მოგვიანებით კარგად დამენახა სამედიცინო ჩანართის არსი, რომელმაც უბრალოდ დააზუსტა ზოგიერთი დეტალი – კერძოდ ის, რომ სიკვდილის სამედიცინო ორგანიზება და მისი ბოლომდე მიყვანა უხილავი მენეჯმენტის სრულ კომპეტენციას წარმოადგენდა. იმავე ერთიანი ჰერმენევტიკული ქსოვილის არსებითი ფრაგმენტი იყო კანქვეშა კონტროლის არსებობის შეტყობინება და, ასევე, ხეიბრების

გუნდის პრეზენტაციები, შავკანიანი ფეხბურთელის მეტამორფოზული აქტების ჩათვლით.

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვა ხაზი იმას, რომ ამ გრძელვადიანი ჰერმენევტიკული კონტექსტის კვლავნარმოება განმსაზღვრელია ცალკეული მიკრო-კონტროლის პროცედურების ეფექტურობისთვის. ამ თემატური ბადის წყალობით ნებისმიერი მცირე მინიშნება უფრო მეტყველია, ვიდრე ის იქნებოდა მის გარეშე.

მაგრამ, აქ შეიძლება დაისვას შემდეგი კითხვები. იყო ეს რეალური დაშინების მცდელობა? თუ, ეს იყო ჩემი მეთოდოლოგიური შემზადება ტრანსმარგინალური წყვეტის პირა სუგესტიურობისთვის? იყო ეს რეალური შესაძლებლობების შესახებ რეალისტური კომუნიკაცია? თუ ეს იყო „წყვეტზე“ და „ფსიქოლოგიურ მოქანცვაზე“ გათვლილი მეთოდი, რომელიც ერთ კვირა დღეს, ეკლესიაში, ჩემი მოქცევით უნდა დამთავრებულიყო? ეს „დიღემური“ შესაძლებლობები ადვილად წყდება, თუ ვიტყვი, რომ ერთი ხელს არ უშლის მეორეს. „მოქცევა“ გაუჟონვადობის გარანტიაა. ამის არ შედგომა – ჟონვის მაღალი ალბათობა. ამ ალბათობის დაშინებით აღმოფხვრა რომ პროგრამის ელემენტია, არ დგას ეჭვქვეშ. ამისთვის, მაგალითად, აშლი სმიტის შესახებ CBC-ის Fifth Estate“-ის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმიც იკმარებდა, სადაც ნათლად ჩანს გაჟონვის სანინაალმდეგო შანტაჟის „კულტურის“ არსებობა კანადის ციხეებში.

ჰოლიზმი

სენსორული ავერსია და უფრო კომპლექსური თემატური კომპოზიციები, როგორც ითქვა, პროგრამის განმსაზღვრელი კომპონენტებია. მაგრამ, მისი ბუნების საკვანძო მახასიათებელია მთლიანობის პრინციპი – ჰოლიზმი. ცალკეული ელემენტების მეთოდური დამორჩილება უფრო ფართო მი-

ზან-ერთეულებზე – ესაა, რისი განსაზღვრაც მართებული იქნებოდა „პლურალისტული ჰოლიზმის“ ტერმინებში.

ამ დეფინიციურ შენიშვნებთან უშუალო კავშირშია ის მტკიცება, რომ ეს ჰოლისტური მიზან-ერთეულები ხშირად უფრო ძნელი დასანახია სამიზნე პირისთვის, ვიდრე, მაგალითად, ცალკე აღებული ავერსიული თამაშების საზრისი. ჰოლისტური მიზნების გაუმჭვირვალეობა პროგრამის მანიპულაციურობის არსია.

არსებითია იმის დანახვა, რომ პროგრამის ესა თუ ის ცალკეული მიზანი სუბიექტისთვის მხოლოდ მოგვიანებით გახდება ცნობილი, როდესაც ის უკვე შემდგარი ფაქტია. დიდი ალბათობაა ასევე, რომ ასეთმა მიზანმა სუბიექტისთვის შეინარჩუნოს მუდმივი უცნობის ნეგატიური ფორმა. უფრო კონკრეტული მაგალითი პროგრამის ასეთი მანიპულაციური მხარის დასანახად იქნება იმის გამოყენება, რასაც ფსიქოლოგიაში „რეაქტანსი“ (reactance) ეწოდება. ამ ტერმინით, როგორც ნესი, აღნიშნავენ პიროვნების ტენდენციას უპასუხოს გარე ზეწოლის, ან იძულების შემთხვევებს ნაყენებული მოთხოვნის უარყოფით და საკუთარი არჩევანის თავისუფლების უფრო ენერგიული დამკვიდრების მცდელობით. ყოველდღიურ დონეზე, ეს ფენომენი უფრო ადვილი შესამჩნევია ბავშვის ფსიქოლოგიაში. ის ასევე აისახება გამოთქმაში „აკრძალული ხილი უფრო გემრიელია“.

პროგრამასთან კავშირში რეაქტანსის მნიშვნელობა თეორიულად იოლად დასანახია. მაგრამ, მისი მიყენების კონკრეტული შემთხვევები, როგორც ზემოთ ითქვა, არ არის იოლად ამოცნობადი. „შებრუნებული ფსიქოლოგიის“ (reverse psychology) ცნება რეაქტანსის ფენომენს ემყარება. თუ არსებობს მოლოდინი, რომ სამიზნე სუბიექტს აქვს პოტენციური „რეაქტანსული“ დამოკიდებულება ამა თუ იმ მისალწვე მიზნის მიმართ, მაშინ მისი პირდაპირი დარწმუნება უკუჩვენებითი იქნება. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში დამრწმუნებელი ირჩევს პარადოქსული ჩარევის (Paradoxical intervention) მეთოდს: სამიზნე პირს დაარწმუნებენ, რომ დამრწმუნებლის

ინტერესშია პირმა აირჩიოს მიზანი (ა), რაც დამრწმუნებლის რეალური ინტერესის საპირისპიროა. ვარაუდი ისაა, რომ, რეაქტანსიდან გამომდინარე, სამიზნე პიროვნება აირჩევს წაყენებული მოთხოვნის საპირისპიროს, რაც ამასთანავე მისი თავდაპირველი ინტერესის – რომელიც შესაძლოა ჯერ არ ჰქონდა მას სრულად გაცნობიერებული – საპირისპიროა. დამრწმუნებლის ცრუ („პარადოქსული“) მოთხოვნა და დასარწმუნებელი პირის რეაქტანსული ტენდენცია იმის პირობაა, რომ დასარწმუნებელმა „საკუთარი თავისუფლების“ დამკვიდრების მოტივით შეასრულოს სწორედ ის, რაც დამრწმუნებლის ნამდვილ ინტერესშია.

აქ არ არის არსებითი იმის დასახელება, თუ რომელი მიღწეული მიზანი მგონია ჩემი რეაქტანსული ტენდენციის და მათი პარადოქსული ჩარევის შედეგი. მაგრამ, იმის ახსნას, თუ რა არის მაგალითის მოტანისგან ამ თავშეკავების მიზეზი, ჰერმენევტიკული მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთი მთავარი მოტივი ისაა, რომ პარადოქსული ჩარევის აღწერისთვის საჭირო იქნებოდა საკმაოდ ვრცელი პროცესის დეტალური წარმოდგენა. ეს მოცემული ნარკვევის შესაძლებლობების მიღმაა. ასეთ კომპლექსურ და ჰოლისტურ პროგრამაში სამიზნე პირის პოტენციურ რეაქტანსზე პარადოქსული ჩარევის აგება არ არის ერთჯერადი, ან მოკლევადიანი პროცესი. როგორც წესი, წარმატებული პარადოქსული ჩარევისთვის საჭიროა პიროვნების შესაძლო რეაქტანსული პასუხების დეტალური წინასწარი გამოკვლევა; შემდეგ, დაკავშირებული იოლად სუგესტირებადი ელემენტების დადგენა; ამის შემდეგ, აუცილებელია პირის სუგესტიური დამუშავება და კონკრეტული „პარადოქსული“ მოთხოვნის ადექვატური წაყენება. ბოლოს, წაყენებულ პარადოქსულ მოთხოვნაზე სამიზნე პირის „ადექვატური“ პასუხის მონიტორინგი წარმატების პირობაა და ეს უკანასკნელი ასევე არ არის ერთჯერადი აქტი.

საკანში

2014 წლის შემოდგომა იყო. ვადის დასასრული ახლოვდებოდა. ეტყობა ამანაც განაპირობა ის, რომ ვცადა ჩემს დაკავებამდე გამოქვეყნებული „ანტიიმპერიალისტური“ კომენტარები, რომელიც მეუღლეს გამოვავზავნიე ციხეში, გადამეკითხა და მომენესრიგებინა. ვადის მოხდის შემდეგ მათი გამოქვეყნება არ მეჩვენებოდა გაუმართლებელი. საკანში მათი კითხვისას კიდევ ერთი იდეა დამებადა. კომენტარები, რომელიც „პრესა გე“-ს ინტერნეტ გვერდზე სხვადასხვა სახელით გამოვაქვეყნე თავის დროზე (2010 წლის შემოდგომაზე), იოლად გადაკეთდებოდა დიალოგის ფორმაში. მრავალი მათგანი თავიდანვე წარმოადგენდა მცირე დიალოგს. ამ იდეის განხორციელებას რომ შევუდექი, კიდევ ერთი აზრი დამებადა: დიალოგებისთვის პიესის ფორმის მიცემა, სადაც მოქმედება განვითარდებოდა თვითონ „პრესა გე“-ს ვებ გვერდზე. ეს იქნებოდა კომენტირება ფიქციურ სტატიაზე „ამერიკული იმპერიალიზმი და საქართველო“. როდესაც პიესის წერას შევუდექი, შევნიშნე, რომ დიალოგების გვერდით კიდევ ერთი ქვემოქმედების ჩანართი უფრო გამოაცოცხლებდა პიესას.

ამ ქვე-მოქმედების სიუჟეტს მოკლედ აღვწერ, რადგანაც ის ასახავს ჩემი იმ პერიოდის ფსიქო-პოლიტიკურ განწყობას, და ასევე, პროგრამის წევრებთან ჩემი უკუ კომუნიკაციის ერთ სახეობას (არ ღირს იმის საგანგებო მტკიცება, რომ ჩემი ყოველდღიური ჩანანერი – დღიურის მოკლე შენიშვნა, თუ პიესის ნაკვეთი – მყისიერი თარგმნის და ფსიქო-ბიჰევიორისტული გაშიფვრის საგანი იყო).

პიესის პირველი მოქმედება აღნიშნული სტატიის კომენტარებით იწყება (კომენტარებს მაყურებელი სცენაზე მოთავსებულ დიდ ეკრანზე – „განზოგადებულ ინტერნეტ გვერდზე“ – დაინახავს). რამდენიმე პოლიტიკური კომენტარის შემდეგ, დიალოგის ერთი მონაწილე ამცნობს დანარჩენებს, რომ თბილისში დააკავეს ორი ამერიკელი. ამ ახალი ამბის შესახებ ჩა-

ნართული მიმონერიდან მალე ირკვევა, რომ დაკავებულები-დან ერთ-ერთი ამერიკის საელჩოს წარმომადგენელია, ხოლო მეორე – ეკლესიის მუშაკი. ორივე ამერიკის საიდუმლო აგენტია. ვინმე ნაზიკო წინასწარმეტყველის – რომელიც, პოლიციამ ასევე დააკავა – ჩვენებებიდან მალე ისიც გაირკვევა, რომ მისი პოლიტიკური ხასიათის წინასწარმეტყველებები, რომელიც თბილისში ვრცელდებოდა, რეალურად დაკავებული ამერიკელი საიდუმლო აგენტების დავალებას წარმოადგენდა. წინასწარმეტყველებების შინაარსი ანტიამერიკული ბუნების იყო და წარმოადგენდა უფრო მომცველი საიდუმლო პროგრამის ნაწილს, რომელსაც ამერიკის საელჩო აწარმოებდა კავკასიაში. პროგრამის არსი ის იყო, რომ ანტიამერიკული ე. წ. „ცრუ დროშის“ პროპაგანდით მოეზიდა შესაძლო დისიდენტები და ანტიიმპერიალისტი აქტივისტები, ხოლო შემდეგ მომხდარიყო მათი პროვოცირება-მოცილება.

პიესის პირველ ნაწილში ირკვევა, რომ ამ პოლიტიკურ ცრუ ხილვებთან და ამერიკელი საიდუმლო აგენტების მოღვაწეობასთან კავშირშია ერთი ქარელი, ობოლი სტუდენტის გაუჩინარების ფაქტი. პიესის მეორე მოქმედება გადადის საგაზეთო დიალოგის დროიდან ერთი წლით ადრე. ესაა ამერიკის საელჩოს წარმომადგენელსა და ქართველ სტუდენტებს შორის შეხვედრა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. დამსწრეებს შორისაა მომავალში გაუჩინარებული ქარელი სტუდენტი. კითხვა და პასუხი, რომელსაც იგი გაუცვლის საელჩოს წარმომადგენელს, უჩვენებს, რომ იგი წინასწარმეტყველის პოლიტიკური ფანტაზიების გულუბრყვილო მსხვერპლია. პიესა მთავრდება სცენით, სადაც ამერიკელი საიდუმლო აგენტები უნივერსიტეტის ეზოდან ოდნავ მოცილებით იძულებით სვამენ მანქანაში ქარელ სტუდენტს. ეს კვანძის გახსნა გულისხმობს: მომავალში გაუჩინარებული ქართველი სტუდენტი ამერიკული „კონტრრევოლუციური“ ფარული პროგრამის მსხვერპლია. შესაძლოა იგი ცოცხალია და იმყოფება სადაზვერვო სამსახურების ერთ-ერთ ფარულ ციხეში.

არქეოლოგიური მოქმედება

2014 წლის ზაფხულში ერთმა ხნიერმა პატიმარმა, რომელიც ადრეც გამომელაპარაკა ეკლესიაში, მითხრა, რომ მომავალ კვირას ეკლესიის მსახურების დროს მავანის ნათლობა უნდა შემდგარიყო და რომ საინტერესო იქნებოდა დასწრება. მის კითხვას იმის შესახებ, ვაპირებდი თუ არა მონათვლას, ვუპასუხე, რომ უკვე მონათლული ვიყავი. „მეორედ ნათლობა ზოგჯერ გაცილებით მნიშვნელოვანია.“ ამაზე ჩემი პასუხი ის იყო, რომ დენომინაციით ორთოდოქსულ ეკლესიას ვეკუთვნოდი და რომ ამდენად მეორედ ნათლობას არ ვსაჭიროებდი.

ამ მცირე დიალოგის შემდეგ, ნათლობის დღეს, ეკლესიაში კვლავ შევხვდი მოხუცს. ეკლესიის სცენის წინ დიდი, კუბოსმაგვარი, წყლით სავსე აბაზანა იდგა. მოძღვარმა გვაუწყა პატიმრის ნათლობის შესახებ და დაიწყო ქადაგება. ამის დასრულების შემდეგ მან მიიწვია პატიმარი, რომელიც მივიდა აბაზანასთან, დინჯად გადააბიჯა ფეხები აბაზანის ზღურბლს და მოძღვარის დახმარებით მისი სხეული სრულად ჩაიძირა წყალში. როდესაც იგი აბაზანიდან გადმოვიდა და პირსახოცით შეიმშრალა ტანსაცმლიანი ტანი, მოძღვარმა კიდევ რამდენიმე რიტუალური სიტყვა თქვა და მუსიკის თანხლებით იმ დღის ცერემონიაც დასრულდა.

ამის შემდეგ ჩვეული „ყავის წუთები“ დაიწყო, რომელიც გვერდით მდებარე სამლოცველოში იმართებოდა. მოხუცი მომიახლოვდა. მისი კითხვები კვლავ ჩემი ნათლობის შესახებ იყო და დაუბრუნდა. როდესაც მე კიდევ ერთი მოტივი დავუსახელე იმისთვის, თუ რატომ არ იყო ჩემი მეორედ მონათვლა სჭირო, მოხუცმა აღარაფერი მიპასუხა. მისი მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება იმას მაუწყებდა, რომ მან კარგად იცოდა როგორც ჩემი რეალური მოტივი, ისე ჩემი გადანყვეტილება რაც არ უნდა მომხდარიყო, „თამაშში არ მიმელო მონაწილეობა“.

იმ პერიოდში მათთვის უკვე ცნობილი უნდა ყოფილი-

ყო, რომ ჩემი ფსიქოლოგიური პროფილი თითქმის გამორიცხავდა ციხის ბიჰევიორისტული ეკლესიის ნათლობის დადგმაში ჩემს მონაწილეობას. მაგრამ, ნების გატეხვის პროცედურები – ფრონტის ხაზის სიმულაციები, არც ისე დიდი ხნის წინ გამოვლილი სამედიცინო შანტაჟის მნემონიკური რეპროდუქციები და ძილის წართმევის სეანსები – რადიკალური ემპირისტებისთვის იმის საფუძველი უნდა ყოფილიყო, რომ დროდადრო მაინც გადაემონებინათ ჩემი „მოთელვადობის“ დინამიკა. საჭირო იყო ერთი მცირე გადახრა, ერთი კონტექსტური ამოვარდნა, რომ შემდგარიყო მიუღებელის მიღება.

თვითმოტყუების ერთჯერადი აქტი იოლად გადაიზრდება გამარჯვების ეიფორიულ გრძნობაში, თუკი პატიმრებად გადაცმული პროფესიონალი ბიჰევიორისტების გუნდი თქვენი მიღების და აღიარების რიტუალს ღირსეულად შეასრულებს. მაგრამ, ღმერთმა დალოცოს FACS-ი! უნდა გახსოვდეთ, რომ სახისმეტყველების ამომცნობი კოდირებული სისტემა და თანამედროვე პროფაილერების გამჭრიახი თვალები არ მოგცემთ მათი მიზანმიმართულ შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. თუკი ამ ცოდნას ასევე დაემატება სინდისის და „შინაგანი ხმის“ ზომიერი დოზა, მავანი ალბათ გადარჩება ყალბი ცნობიერების ტრანსპლანტაციის იმ ცერემონიას, რომლის მიღმა მეხსიერების წაშლის და წარსული იდენტობის მიტოვების უფრო სიღრმისეული პროცესი უნდა იწყებოდეს.

როდესაც მოხუცის დუმილი იმ შენიშვნით დავარღვიე, რომ მის ბოსტანში საკმაოდ მოზრდილი კიტრები დავინახე „ამას წინათ“, მას გაეღიმა. საზაფხულო ბოსტანი ეზოს ტერიტორიაზე მდებარეობს. მცირე ნაკვეთის ქირით ალება ზაფხულში ნებისმიერ პატიმარს შეუძლია. ვიცოდი, რომ მოხუცს ჰქონდა ასეთი ნაკვეთი და ისიც ვიცოდი, რომელი იყო მისი. როდესაც, ჩემს შენიშვნაზე მან მიპასუხა, რომ მეპატიჟებოდა „პამიდვრის მოსავლის აღებაზე“ – სექტემბერში ბოსტნის სეზონი იხურება და პატიმრები ვალდებული არიან მათი ნაკვეთი სრულად „მოასუფთავონ“ – მე შევნიშნე, რომ კიტრი უფრო მიყვარდა. წითლის და მწვანის დიალექტიკის მნიშვნელობა უკვე ნაცნობია მკითხველისთვის. ცხადია, არსებობს

ყვითელი კიტრებიც და მწვანე პამიდვრებიც. მაგრამ, მოხუცის გამოხედვამ მითხრა, რომ მის მიერ ჩემი წითელ პამიდორზე დაპატიჟება გულწრფელი იყო და რომ მათი – კოგნიტურ-ბიჰევიორისტული ფანტომების – ნიშანთა სისტემა ამჯერად არ წარმოადგენდა მისი მეტყველების ლექსიკონს.

* * * * *

ამ პერიოდს ემთხვევა ეკლესიაში სიარულის შეწყვეტა. ერთმა პრაგმატულმა მოტივმა გადაწონა ის საფუძველი, რისთვისაც ციხის ეკლესიაში მანამდე დავდიოდი. ეკლესია ერთადერთი ადგილი იყო, სადაც მიმზიდველი ესთეტიკური გარემო – საეკლესიო სიმღერები და სურნელოვანი ბალი – არ იყო შეზავებული ფრონტის ხაზის ტერორიზმით. იმ პერიოდში, სამზარეულოს განყოფილება, სადაც ცოტა ადრე განმანესეს – ნაგვისა და საკვების ნარჩენების „სათავსო“ – ფანტასტიკურ ზოოლოგიურ ლაბორატორიას დაემსგავსა, სადაც ხელოვნურად მომრავლებული ბუზები და მატლები ართულებდნენ ჩვეულებრივ სუნთქვას და გადაადგილებას. ფრთხილი სიარულის და შეკავებული სუნთქვისთვის საჭირო კონცენტრაციას დროდადრო არღვევდა საომარი ზონის იმიტაციები, რომელსაც ქვაბების და ჯამების პერიოდული ვარდნა იწვევდა.

ამ ფონზე, კვირაობით მელოდიური სიმღერების და ეკლესიისთვის დამახასიათებელი რინდის მოსმენა არაჩვეულებრივად მიმზიდველი იყო. მაგრამ, ნათლობის კიდევ რამდენიმე ცერემონიის დასწრებამ დამარწმუნა, რომ ჯობდა კვირადღის დილა ეზოში გამეტარებინა ხოლმე.

* * * * *

ეკლესიაში მხოლოდ 2015 წლის მარტში, ციხის დატოვებამდე ორი კვირით ადრე წავედი – კიდევ ერთხელ და საბოლოოდ. ჩემი მცდელობა გამომეხატა, რომ ეკლესია მაინც ინარჩუნებდა „ერთი ადგილის“ სტატუსს, საინტერესოდ დასრულდა.

როდესაც ეკლესიის ეზოში შევედი და მივესალმე რამდენიმე პატიმარს, რომლებიც შენობის შესასვლელთან იდ-

გნენ, მათ სახეზე წამიერი უცნაური დაძაბულობა შევნიშნე. ეკლესიაში შესვლამ დამარწმუნა, რომ იმ დღეს სხვაგვარი მსახურება იქნებოდა. არასდროს მინახავს ასე ცოტა „მრევლი“ იმ ეკლესიაში. სკამები თითქმის ცარიელი იყო. ნაცნობი მოხუცი მომიახლოვდა და ისე მომესალმა, რომ თვალეში არ შემოუხედავს ჩემთვის. ამ რამდენიმე უხერხულ დეტალს სცენაზე მყოფი მოძღვარის ქცევამ კიდევ უფრო მკაფიო მნიშვნელობა მისცა. მისი თითქმის გაფითრებული სახე და მცდელობა ჩემსკენ არ გამოეხედა იმის ნიშანი იყო, რომ არსებობდა რალაციის მოლოდინის ფონი, რომელიც მათი ნუხილის საფუძველი იყო.

როგორც უფრო გვიან, მსახურების დასასრულისთვის დავინახე, ჯგუფის ეს ნუხილი მკაფიოდ იყო გაპირობებული მათი გაურკვევლობით. რადიკალური ემპირიზმი იმასაც ნიშნავს, რომ მომავალი ხდომილობის ალბათობა ზოგჯერ საკმაოდ გაურკვეველი იყოს. სანამ მომავალი არ იქცევა ან-მყოფ, მისი გამოცნობა შეუძლებელია. მათი მოლოდინი, რომ მე იმ უკანასკნელი მისვლისას ნაგვიანები „მოქცევის“ რიტუალს შევასრულებდი და ამ ყალბი აქტით დავარღვევდი ჩემსა და მათ შორის დამკვიდრებულ – და მათთვის უკვე მისაღებ – ზღვარს, იყო ის, რაც მათი ნუხილის საგანი იყო. როდესაც ეკლესიის მსახურებამ ჩაიარა, მათი სახეებიდან გაუჩინარებულმა დაძაბულობამ დამარწმუნა, რომ ჩემი აღნიშნული ვარაუდი მართებული იყო. ამის მაღლიერებით არ აღნიშვნა შეუძლებელია, რადგანაც ნამდვილის დაფასების ამგვარ შემთხვევას განსაკუთრებული ღირებულება აქვს იქ, სადაც თამაში და სიმულაცია დღის წესრიგის ძირითადი მოდუსია.

ნამოსვლა

19 მარტს დილით ადრე ავდექი. ნივთები უკვე ჩალაგებული მქონდა და ველოდი ჩემი პაროლის ოფიცერი როდის მომცემდა გაწერის ფურცელს. საქართველოში გამოშვების

თარიღი უკვე ვიცოდი – 25 მარტი, რაც ნიშნავდა, რომ ტორონტოში დიდ ხანს არ მომიწევდა გაჩერება. დილის ცხრა საათი იქნებოდა როდესაც პაროლის ოფიცერმა გამომიძახა და საჭირო ფურცელი გადმომცა. როდესაც ნივთებით ხელში საბოლოოდ გავიარე ვერქვორთის მეორე გამშვები პუნქტი, გზაში თითქმის არცერთი პატიმარი არ შემხვედრია. კანადის ემიგრაციის ორმა ოფიცერმა ჩაიბარა ჩემი ნივთები და ციხეში შრომით მოგროვებული თანხა (ოთხასამდე კანადური დოლარი), დამადეს ხელ-ფეხზე ბორკილი და ორ საათში ტორონტოს აღმოსავლეთის წინასწარი დაკავების საპრობილემო ვიყავი. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ტორონტოს დასავლეთის წინასწარი დაკავების ცენტრი, სადაც ოთხნახევარი წლის წინ თოთხმეტი თვე დაგყავი, აღარ არსებობდა – რამდენიმე თვის წინ დაუხურავთ.

ტორონტოს აღმოსავლეთის ცენტრში დარჩენილი ხუთი დღის გაძლება არც ძნელი იყო და არც გამოირჩეოდა რაიმე ახალი ღირსშესანიშნაობით. საქართველოში გამომგზავრების დღეს, ოცდახუთი მარტის საღამოს ცხრა საათისთვის, ტორონტოს პირსონის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში მომეცა ჩემი მეუღლის და ვაჟის ნახვის შესაძლებლობა. ლელამ საკუთარი კომპიუტერი და ნაწერები გადმომცა – ნაწერები, რომელიც მას ციხიდან გავუგზავნე. გიგა, რომელიც რამდენიმე თვე იყო არ მენახა ვერქვორთში მისი ბოლო ვიზიტის შემდეგ, მორიდებით ელოდებოდა როდის შეგვანწყვეტინებდა იქვე მდგომი ემიგრაციის ოფიცერი ვიზიტს. ორმოც წუთში ოფიცერმა მთხოვა დავმშვიდობებოდი მეუღლეს და ვაჟს.

როდესაც თვითმფრინავი დაიძრა და პოლონელმა სტუვარდესამ გვაცნობა ფრენისა და ქცევის წესები, მავთულხლართების გარეთ არსებული ის რეალობა ჯერ კიდევ არ იყო ჩემი ცნობიერების გარკვეული ობიექტი.

ეპილოგი

მოცემული ბიოგრაფიული ნარკვევის მიზანი აღწერილი პროგრამის ბუნების ჩვენება იყო. როდესაც ამ მცდელობას და მიღწეულ შედეგს ვადარებ, ვამჩნევ განსხვავებას, რომელიც ძირითადად პროგრამის მოუხელთებელი ელემენტის ნარმოდგენის სირთულემ განაპირობა. ჩემს მცდელობას ჩამომეთვალა პროგრამის მეთოდები და მომეტანა მათი გამოყენების კონკრეტული მაგალითები, გაუსყლდა ის ფანტომური, ზღვრული ელემენტი, რომელიც პროგრამაში იქმნება ყოველწამიერი მიკრო-კონტროლის თატრალიზებული კომპონენტით. ტერმინები „ფანტომი“, „აჩრდილი“, „მოჩვენება“ და „სიზმრისეული“, რომლებსაც ტექსტში ვხვდებით, არ არის მხოლოდ სტილისტურ-ჰიპერბოლური ელემენტი. ამ ტერმინების გამოყენებას, გარკვეული აზრით, პროგრამის ილუზორულ ასპექტზე მითითების დანიშნულება ჰქონდა. ფრაზები „ქარაგმული მეტყველება“, „სახიობა“, „ტანის ენა“ და სხვა ამავე კომპონენტზე მინიშნებისთვის იყო განკუთვნილი. პროგრამის ამ ასპექტის მოსახელთებლად ალბათ ის სიურეალისტური მგრძობელობა იქნებოდა საჭირო, რომლითაც ფრანც კაფკას ნაწერები გამოირჩევა და, ასევე, ტოტალიტარიზმის ტემპერამენტული უარყოფის ის დონე, რომელიც ჯორჯ ორუელის კომპეტენცია იყო.

ილუზიური და მოუხელთებადი ასპექტი როგორც ჩანს ვილვეტის ხელთათმანის ესენციური განსაზღვრულობაა. ხელთათმანს არა აქვს ინდივიდუალური ანაბექტი. მაგრამ, ერთი დადებითი შედეგი მაინც სახეზეა. მიუხედავად ბუნდოვანი, მოჩვენებისეული და ფანტომური ასპექტების მოუხელთებადობისა, უკვე აღწერილი ხელშეხებადი ელემენტები მაინც იკმარებს იმ მტკიცებისთვის, რომ პროგრამა და ის ფედერალური სამსახურები, რომლებიც მას მფარველობენ, ამკარა კანონდარღვევების ბუდეა. აქ მოკლედ ჩამოვთვლი იმ შესაძლო დასკვნებს, რომლებიც უკვე აღწერილი ფაქტების და სპეკულაციური მიხვედრების მეშვეობით შეიძლება გაკეთდეს.

დასკვნა, რომ პროგრამა მხოლოდ ჩამოთვლილ ციხეებში არ იარსებებს, თითქმის ტრივიალური ჩანს. ის, რომ დოკუმენტურად და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად კანადის კორექციული სისტემა „ძლიერ პროგრამირებაზე“ ორიენტირებული – შენიშვნა, რომელსაც ვხვდებით როგორც კანადის კორექციული სამსახურის ვებ გვერდზე, ისე კანადური მედიის ფურცლებზე – იმის მომასწავებელია, რომ პროგრამების არასაჯარო ასპექტი ასევე იქნება მოცემული. დახურული, ბიჰევიორისტების და კონფედერატების *in vivo* გამოყენების მეთოდოლოგიაზე დამყარებული პრაქტიკა უნდა იყოს მოცემული სამსახურების *modus operandi*.

ასევე არსებითია იმის დანახვა, რომ ის არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ინსტიტუტების დახურულ სისტემაში *in vivo* გამოყენების პრაქტიკას. ამ ინსტრუმენტით რეალური სოციალური გარემო ისევე ათვისებადია, როგორც მავთულხლართებით შემოსაზღვრული ფიზიკური სივრცე. მულტიმიზნობრიობა მისი მახასიათებელი უნდა იყოს. პროგრამა არ იქნება დასაზღვრული სტანდარტული კრიმინალის, თუ „პოლიტ-კრიმინალის“ დამუშავების პრაქტიკაზე. ფუნდამენტურ თვალთვალზე და ფსიქოლოგიურ კვლევაზე აგებული შეფარული შანტაჟის და ბიჰევიორისტული „შეიპინგის“ ტექნიკა არაჩვეულებრივად კარგად უთავსდება დემოკრატიული გახსნილობის სოციალურ გარემოს.

შემდეგი მტკიცება ის უნდა იყოს, რომ თვითონ პროგრამის ინტენსივობა, რომელიც მოცემულ ნარკვევში აისახა, მხოლოდ ნაწილია მეთოდოლოგიის გამოყენების უფრო მძიმე ნიშნის შემთხვევებისა. ამგვარი პროგრამების სრული პალიტრა გაცილებით შთამბეჭდავ ელემენტებს უნდა შეიცავდეს. მკითხველმა შესაძლოა შენიშნა, რომ ვერიდებოდი ტერმინი „წამების“ გამოყენებას და მის ნაცვლად უფრო ზომიერი „წვალება“ ვიხმარე რამდენჯერმე. საკმაოდ დიდი ალბათობაა, რომ „წამების“ ტერმინი მიყენებადია პროგრამის სხვა, უფრო „სრულფასოვანი“ შემთხვევების მიმართ, რომლებსაც შევხვდებით კანადის სხვა სპეციალიზირებულ პენი-

ტენციალურ ინსტიტუტებში, ან იმავე ინსტიტუტების სხვა საქმეებში.

ბუნებრივად გამოიყურება იმ დასკვნაზე გადასვლა, რომ „ოფიციალურ“ პენიტენციალურ ინსტიტუტებსა და საიდუმლო სამსახურების ფარულ „შავ საიტებს“ შორის შესაძლებელია არსებობს გრადუირებული იერარქია, რომელშიც შესაძლოა თავსდება სხვადასხვა დანესებულებები. ამ ვითარებას „შავი საიტის“ თითქმის სტერეოტიპული იმიჯი უფრო ემსახურება როგორც კამუფლაჟური საფარი. სავარაუდოა, რომ ფარული ციხეები, არაფარულ ინსტიტუტების ფარული განყოფილებები და არაფარული სპეციალიზირებული განყოფილებების პერიოდული ფარული გამოყენება პიროვნების მანიპულაციის და ტვინის გამორეცხვის მიზნით გაცილებით უფრო გავრცელებული პრაქტიკაა, ვიდრე ეს „ლიკების“ და მარგინალური მედიის სხვა წყაროებიდან ირკვევა.

სასურველია მცირე ეპილოგური კომენტარი „ტვინის გამორეცხვის“ ცნების მოცემულ ნარკვევში გამოყენებაზე. გარკვეულ ტერმინოლოგიურ სიმკაცრეს თუ დავიცავთ, ამ ცნების გამოყენება არ გულისხმობს შინაარსისეული ელემენტის განსაზღვრულობას. „გამორეცხვა“ ფორმისეული ტერმინია. ეს შეიძლება მოიცავდეს „ლაქის გამოყვანის“, ან „სრული წმენდვის“, ან მათ შორის რაიმე შუალედურ სახეობას. არსებითია, რომ „გამორეცხვამ“ უნდა მოაცილოს იდეათა, ჩვევათა, ან განწყობა-დამოკიდებულებათა (ატიტუდების) მოცემული სისტემა და ჩაანაცვლოს ის სხვა სისტემით. მიუხედავად ამ ფორმისეული მნიშვნელობისა, „ტვინის გამორეცხვის“ ცნების დამკვიდრებული პრაქტიკა იხრება მისი შინაარსისეული გამოყენებისკენ. ეს ტენდენცია აისახება იმ ვითარებაში, რომ „ტვინის გამორეცხვა“ ისტორიულად გახდა სოვეტურ-კომუნისტური პრაქტიკის შესახებ ლიტერატურის პრეროგატივა, ამერიკული რელიგიური სექტანტიზმის შესახებ ამბების მცირე ჩანართებით.

„ტვინის გამორეცხვის“ შინაარსობრივ და სქემატურ წარმოდგენას იოლად ემორჩილება კომუნისტური „რეცხვე-

ბის“ შესახებ სტერეოტიპული ნარატივები, სადაც სამიზნე ინდივიდის მიერ რამდენიმე (მარქსისტული) ადრე მიუღებელი საფუძველ-დებულების აღიარება საკმარისია, რომ „ტვინის გამორეცხვის“ შემთხვევა უეჭველად გამოცხადდეს. გაცილებით რთულია ვითარება იქ, სადაც კომპლექსური იდეოლოგიური სისტემა, ან ასეთის უქონლობის პრეტენზია, იმპლიციტურად გამორიცხავს „პოლიტიკური რეცხვის“ საჭიროებას, ან მის შესაძლებლობას. იერემია ბენტამის და ჯონ სტუარტ მილის, თუ უილიამ ჯეიმზის და ჯონ დიუის „საფუძველ-დებულებების“ რეცხვის მეშვეობით იმპლანტაცია არარეალისტური შესაძლებლობების მაღალ საფეხურზე თავსდება. პლურალიზმი და ლიბერალიზმი, მათ კლასიკურ ფორმაში, „ტვინის გამორეცხვის“ იმანენტურ კრიტიკასაც ნარმოადგენს.

კონცეფტური სირთულე მოიხსნება მაშინ, როდესაც იდეოლოგიების და მსოფლმხედველობების თეორიული საკითხებიდან გადავალთ სარგანტისეული ვინრო ეპირიზმის კონტექსტზე. „ტრანსმარგინალური წყვეტის“ და მიუღებელის მიღებინების მექანიკა იოლად იცილებს „საფუძველ-დებულებების“ დირექტიული შეცვლევინებისთვის დამახასიათებელ სირთულეებს. პიროვნების კონკრეტული იდენტიფიკაციების მიკრო ფსიქო-ქირურგია არავერბალური კომუნიკაციების და ფიზიკური მეთოდების გამოყენებით უკვალოდ შეასრულებს პიროვნების „იდეოლოგიური ტრანსფორმირების“ ოპერაციას – ცხადია, ნარმატების შემთხვევაში. ამ ოპერაციების სპეციფიკა ისაა, რომ საფუძველ-დებულებების პრაგმატიკა დარჩება პოლიტ-პაციენტის და კოგნიტურ-ბიჰევიორისტული მკურნალის უშუალო კომუნიკაციების მიღმა. „რეცხვა“ უფრო დაემსგავსება „მშრალ წმენდვას“. ეს არის ფანტომური ელემენტის სრული კომპეტენცია. კომუნისტური ინდოქტრინაციის მძიმე ინდუსტრია იცვლება უხილავი ფარმაკოლოგიური ჩარევების და ფანტაზმური შთაბეჭედების მიკრო-ტექნოლოგიებით.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

1. ემიგრანტი

2009 წლის მაისში მე და ჩემი მეუღლე ტორონტოში ჩავვედით. ჩვენი საემიგრაციო სტატუსი – კანადის მუდმივი მაცხოვრებელი – რამდენიმე თვის წინ მივიღეთ, კალიფორნიაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში გატარებული ხუთნახევარი წლის შემდეგ შესაძლებელი გახდა საქართველოში მყოფი ჩვენი შვილების კანადაში ჩაყვანა.

როდესაც გიგა და მარიკა ტორონტოში ჩამოვიდნენ, პირველი საზრუნავი ადექვატური სკოლის შერჩევა იყო. ფორესტ ჰილის კოლეგიალური ინსტიტუტი მისი აკადემიური პროფილითაც გამოირჩევა. იმ სკოლის არჩევანმა ასევე განაპირობა ბინის შერჩევის კრიტერიუმი. თვითონ ბავშვები არაჩვეულებრივი ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ კანადაში საკუთარი განათლების პროსპექტს. მარიკას მათემატიკაზე და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე ორიენტაცია განსაკუთრებით იმედის მომცემი იყო.

სკოლის დაწყებიდან მეხუთე დღეს (14 სექტემბერს), როდესაც ბავშვების სკოლიდან მოსვლის დრო იყო და მხოლოდ გიგა დაბრუნდა, მყისიერად ვიგრძენი, რომ რაღაც გამოუსწორებელი მოხდა. სკოლის დირექტორმა მაცნობა, რომ მარიკა იმ დღეს გაკვეთილებზე არ ყოფილა და მირჩია დავლოდებოდი დაღამებას, სანამ პოლიციას დავურეკავდი – „იქნება გამოჩნდეს ბავშვი მანამდე“. ბუნებრივია, რომ ამ ინფორმაციის და რჩევის მოსმენის შემდეგ ჩემი და ჩემი მეუღლის განგაში კიდევ უფრო გაძლიერდა და დაუყოვნებლივ დავრეკეთ პოლიციაში.

პოლიციის მიერ თვეების მანძილზე ბავშვის ძებნა უშედეგოდ მიმდინარეობდა. მარიკას კვალი არსად იყო. ამ აუტანელ მდგომარეობას გარკვეულად ისიც ამძიმებდა, რომ კანადური მედიისა და პოლიციის ინფორმაციული აქტივიზმის გამო იყო ტენდენცია, რომ ჩემი ქალიშვილის გაუჩინარება

ნანილობრივ მოქცეულიყო შესაძლო სახლიდან გაქცევის რუბრიკაში.

აკადემიური ინტერესების და მოსწრების გვერდით, კიდევ ერთი გარემოება, რომლის გათვალისწინებაც საჭიროა იმისთვის, რომ დავინახოთ პოლიციის მიერ ირიბი მეთოდებით გავრცელებული „სახლიდან გაქცევის“ მითის უადგილობა, არის ჩვენი მდგომარეობა კანადაში და ბავშვის ბუნება. ოთხი თვის ემიგრანტების ოჯახი, ნათესავების და ნაცნობების წრის არ არსებობა, ქართული კონსერვატიული ოჯახის ტრადიციები და მარიკას თვინიერი და მოსიყვარულე ბუნება გამორიცხავდა ხსენებული მითის თუნდაც შესაძლებლობის სახით დაშვებას.

გადიოდა თვეები. პოლიციას არაფერი ჰქონდა ხელშესახები. იპოვეს მხოლოდ მარიკას სკოლის ჩანთა, რომელშიც გაუხსნელი ლანჩი ისევ ისე იდო, როგორც ლელამ ჩადო ის მარიკას ჩანთაში. დღითიდღე კლებულობდა ალბათობა, რომ ბავშვი ცოცხალი იყო. ნლობის შემდეგ ბავშვის პოვნის შესაძლებლობა, რომელიც გატაცებების ზოგიერთი შემთხვევების საფუძველზე შეიძლებოდა მიეღო მავანს, არ გამოიყურებოდა რეალისტურად თუნდაც მარიკას ასაკის გამო.

ამ საქმის პოლიციური ძიების პარალელურად ვითარდებოდა მეორე, ერთი შეხედვით არც ისე მნიშვნელოვანი ისტორია. ტორონტოს შალმარის აპარტამენტში ჩვენს პირდაპირ მცხოვრები მეზობელი ხმაურის და უნესრიგობის წყარო იყო. ეს ჯერ კიდევ მარიკას გაუჩინარებამდე დაიწყო. როდესაც მეზობელს პირადად გავესაუბრე ხმაურის საკითხზე, არაფერი უცნაური არ შემინიშნავს. მაგრამ, ძაღლის ყეფა, მისი სახლის შესასვლელი კარების შეღებული დატოვება დღის მანძილზე და დროდადრო ხმაურიანი ღრეობები კვლავ გრძელდებოდა. როდესაც მარიკა უგზოუკვლოდ დაიკარგა, ხმაურის საკითხიც მიმავინწყდა. მაგრამ, რამდენიმე თვეში, მეზობლის ხმაურს და გვიანი ღამის სტუმრების მიღებას კიდევ ერთი დეტალი დაემატა. მისი უცნაური ქცევა გადაიზარდა გარკვეულ ნეგატიურ დამოკიდებულებაში – არ მოსალმება, კარების მიჯახუნება შესვლისას და სამზარეულოს

საერთო კედელზე ბრახუნი (ორივე ბინა დერეფნის ბოლოს მდებარეობდა, იყო „კუთხის ბინა“ და ამდენად ჩვენი და მათი სამზარეულოები საერთო კედლით ემიჯნებოდა ერთმანეთს).

ყოველივე ამან თანდათანობით წარმოშვა გარკვეული კონფლიქტური დაძაბულობის ველი. ხმაურმა იმატა. 2010 წლის მაისისთვის ეს იმდენად დამქანცველი გახდა, რომ ერთ დღეს (სამ მაისს) გადავწყვიტე ამის შესახებ წერილობით მომხსენებინა აპარტამენტის გამგეობისთვის. განცხადების ასლი პოლიციაშიც მივიტანე. ამას არ მოჰყოლია რეაქცია არც პოლიციისგან და არც სახლმმართველობისგან.

ამასთანავე, მეზობლის ხმაური და ღრეობის ცერემონია იმ დღეებში უწყვეტი იყო. შვიდ მაისს, დილით დაგვირეკა ტორონტოს ერთი სატელევიზიო პროგრამის (CP 24) რეპორტიორმა. მან გვითხრა, რომ პოლიციამ ტორონტოს ერთ-ერთ პარკში უცნობის გვამი იპოვა და რომ შესაძლო იყო ის ჩვენი ქალიშვილის ყოფილიყო. იმ დროსთვის უკვე რამდენჯერმე გვქონდა მიღებული სხვადასხვა გადაუმონმებელი ინფორმაცია, რომელიც მოგვიანებით მცდარი აღმოჩნდა. ამან განაპირობა ის, რომ მე და ჩემმა მეუღლემ ვარჩიეთ ტელეფონთან დარჩენა და ლოდინი. რამდენიმე საათის მანძილზე კანადის მედიის სხვადასხვა წარმომადგენლებისგან ვიღებდით სატელეფონო ზარებს. გვეკითხებოდნენ იყო თუ არა რაიმე ახალი პოლიციისგან. საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც მთელი დღის სრული ფორიაქის და არაბუნებრივი ფსიქოლოგიური დაქანცულობის შემდეგ, გვაუწყეს, რომ გვამი არ ეკუთვნოდა ჩვენს ქალიშვილს.

თვეების მანძილზე სრული გაურკვეველობა იმის პირობაცაა, რომ მარიკას შესაძლო ტანჯვის დასასრული – იმის ცოდნა, რომ იგი უკვე აღარ იტანჯება – შვების რაღაც დოზასაც შეიცავდეს, რაც არ უნდა ძნელი იყოს ბავშვის ცოცხალი პოვნის იმედის სრული დაკარგვა. როდესაც ის ბოლო ზარი მივიღეთ, დღის აგზნება გადაიზარდა სრული უიმედობის ნაცნობ გრძნობაში.

სწორედ ამ დროს მომესმა მეზობლის ღრეობის და კედელზე ბრახუნის რიტუალი, რომელიც თვეების მანძილზე ვერ მოვაცილე ჩემს ოჯახს. ძნელია იმის ზუსტი გახსენება, რამდენად ნათლად ვაცნობიერებდი, რომ მოთმინების ძაფი აღარ არსებობდა. მახსოვს, ლელას ვუთხარი, რომ ეზოში გასეირნებას ვაპირებდი. დანა, რომელიც ხელით გაკეთებულ ქარქაშში ჩავდე, სახლიდან გასვლისას ჯერ კიდევ არ მქონდა ქამარში მოთავსებული.

როდესაც კარი მივიხურე, და ეზოსკენ წასვლა დავაპირე მეზობლის შეღებულმა კარმა და იქიდან მომავალმა ღრინაცელმა მაგნიტივით შემაჩერა. შეღებულ კარზე მზერის წამიერი შეჩერება და ჩემი ფეხის მეზობლის კარზე სრული ძალით მოხვედრა კარგად მახსოვს. როდესაც მეზობელი გამოვიდა და თავდაჯერებით და აგრესიულად მიპასუხა, რომ იგი არ იყო ხმაურის მიზეზი, თავშეკავების უნარმა მიღალატა. ფაქტი ის არის, რომ დანის გამოყენების შედეგი იყო მუცლის არეში მცირე ჭრილობა, რომელიც რამდენიმე დღეში მოუშუშდა მეზობელს.

პოლიციის საკანში ღამის გათევის შემდეგ, სასამართლოში წამიყვანეს. თავდებით გამოშვების შესახებ ჯერ არ მქონდა მიღებული რაიმე გადაწყვეტილება, როდესაც სასამართლოს პატიმართა მოსაცდელ სარდაფში გამომეცხადა უცნობი ადვოკატი და მითხრა, რომ დავითი და როზიტა აპირებდნენ ჩემი თავდებით გამოყვანას. როდესაც ვკითხე, თუ ვინ იყვნენ აღნიშნული პირები, ადვოკატმა გაიკვირვა და მითხრა, რომ შემეძლო მეუღლესთვის მეკითხა. ჩვენ რომ ტორონტოში ნაცნობი არ გვყავდა, რომელიც თავდებად დადგომის ინიციატივას გამოიჩინდა, ფაქტი იყო. სასამართლოს სარდაფიდან ლელასთან ურთიერთობის შესაძლებლობა არ მომეცა და ამდენად დაკვამყოფილდი ვარაუდით: ერთადერთი, საიდანაც ასეთი ადამიანი შეიძლება გამოჩენილიყო, მეჩვენებოდა ეკლესია, რომელშიც ლელა დადიოდა.

როდესაც თავდებით გამომიშვეს და ადვოკატმა მითხრა, რომ დავით და როზიტა ლანგერებმა ორმოცდაათი ათა-

სი კანადური დოლარის თავდებით გამომიყვანეს, არაფერი მქონდა სათქმელი, გარდა მადლიერებისა. მანქანაში, სადაც ჩემს უცნობ კეთილისმყოფელებთან ერთად ვიჯექი, ისიც გავიგე მათგან, რომ დავით და როზიტა ლანგერები იყვნენ არა ლელას ეკლესიის მრევლის წარმომადგენლები, არამედ კერძო დეტექტივები, რომლებმაც „საკუთარი ინიციატივით“ გამოიჩინეს ეს თანაგრძნობა ჩვენი ოჯახის მიმართ. იქვე გავიგე ისიც, რომ დავით ლანგერი იყო იგივე პიროვნება, რაც ვინმე რობერტ ფრიდმანი, რომელმაც 2009 წლის ნოემბერში დამირეკა და მესაუბრა მარიკას დაკარგვის შესახებ. ეს აღმოჩენა საკმაოდ უცნაური იყო, მაგრამ სტრესის და გაურკვევლობის იმ პირობებში მოვლენების ადექვატური ანალიზის უნარი გარკვეულად ფერხდება. მახსოვდა, რომ წინა ნოემბერში მართლაც დამირეკა ვინმე რობერტ ფრიდმანმა. ისიც გავიხსენე, რომ იმ საუბარს კიდევ ერთი უცნაურობა ახლდა. ეს იყო რობერტ ფრიდმანის დაჟინება, რომ ჩემი ქალიშვილი შესაძლოა გატაცებული იყო ისრაელში და არა სადმე სხვაგან, როდესაც ეს შესაძლებლობა მან რამდენჯერმე გაიმეორა ტელეფონზე საუბრისას, ვუპასუხე, რომ ეს ვერსია უცნაურად გამოიყურებოდა. „რატომ მაინცადამანინც ისრაელი?“

როზიტა ლანგერი ასევე გამომეცნაურა როგორც „ტრიქსი ტრიქს“ – პიროვნება, რომელიც ამ სახელით აქტიურად აქვეყნებდა კომენტარებს მარიკას ფეისბუქის გვერდზე. რობერტ ფრიდმანის და ტრიქსი ტრიქსის დავით და როზიტა ლანგერებად გაცნობა იმ პირობებში არ მომეჩვენა საგანგებო ყურადღების ღირსად. ახალი ემიგრანტობა იმასაც ნიშნავს, რომ საზოგადოების დაუნერეელი ნორმებისა და პერცეპციების შესახებ გქონდეს გარკვეული დეფორმირებული, შესაძლოა, სტერეოტიპული წარმოდგენა.

ასე თუ ისე, ლანგერების სახლში, სადაც ერთი ოთახი გამომიყვეს, ორი კვირა დავყავი. უცნაური ტენდენციები მათ ქცევაში მაშინ დაიწყო, როდესაც შევნიშნე, რომ სასამართლოს მიერ ჩემი თავდებით გამოშვების პირობები, რომ-

ლის თანახმადაც შეემძლო ჩემს ნებისმიერ თავმდებთან მეცხოვრა, ლანგერების ინტერესს ეწინააღმდეგებოდა. სასამართლო პირობების თანახმად ჩემი მეუღლე ერთი თავმდები იყო. მეორე იყვნენ ლანგერები. თავისთავად ცხადი მეჩვენებოდა ის, რომ როგორც კი ახალ ბინას ვიქირავებდი, ჩემს მეუღლესთან და ვაჟთან გადავიდოდი სახცოვრებლად. სასამართლო პირობები მიკრძალავდა შალმარის ძველ ბინაზე დაბრუნებას. როდესაც ბინის ძებნა დავიწყე, ლანგერებს არაფერი გამოუთქვამთ სანინაალმდეგო. მაგრამ, როგორც კი მეტნაკლებად რეალური ბინის შესაძლებლობა გამოჩნდა, შევნიშნე მათი უკმაყოფილება და გარკვეული საეჭვო ქცევა.

ორ კვირაში ბინა ვიშოვე. როდესაც ეს დავით ლანგერს ვუთხარი, მან ცადა არ შეემჩნია უკმაყოფილება, მაგრამ აშკარა იყო, რომ მისი გეგმები სხვა შესაძლებლობებზე იყო აგებული. მე ჩემს ოჯახთან გადავედი საცხოვრებლად სახლში, რომელიც ტორონტოში იანგის და ეგლინტონის ქუჩების კვეთაზე მდებარეობდა.

ამ პერიოდში უკვე ორჯერ ვიყავი ფსიქიატრი ჯულიან გოჯერის კლინიკაში, რომელთან მისვლა სასამართლომ დამავალა. მოგვიანებით შევიტყვე ის, რომ კრიმინალური ექსპერტ-ფსიქიატრი დოქტორი გოჯერი კანადის სახელმწიფო უშიშროების სამსახურებთან თანამშრომლობდა. მაგრამ, ეს ასპექტი დიდხანს ჩემთვის არაფრის მთქმელი იყო. 2010 წლის ივნისის დასაწყისში, როდესაც მე ახალი გადასული ვიყავი ჩვენს ახალ ბინაში, გოჯერთან ერთ-ერთ შეხვედრაზე გაუფრთხილებლად მოვიდნენ დავით და როზიტა ლანგერები. ასეთი მოულოდნელი მოსვლის გარდა, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამოიკვეთა. აშკარა იყო, რომ დავით ლანგერი შეეცადა დოქტორი გოჯერის წინაშე ჩემი „ხასიათის“ მანიპულაციურ წარმოდგენას. გოჯერისადმი მისი წერილიდან ირკვევა, რომ ჩემი მათთან ორკვირიანი ცხოვრების დროს მან შენიშნა გარკვეული „უცნაურობები“ ჩემს ქცევაში. როგორც მან უთხრა დოქტორ გოჯერს, ერთი ასეთი უცნაურობა ის იყო, რომ სკამზე არ ვჯდებოდი მის სახლში. მეორე იყო

ის, რომ ახალ სახლში გადასვლის დღეს, ანუ როდესაც მე მათი ბინა მივატოვე, ტუალეტი უცნაურად გავწმინდე. მესამე უცნაურობა ის იყო, რომ მხოლოდ ჩემი ცოლის მიერ მომზადებულ საკვებს მივირთმევედი და არ ვჭამდი ლანგერების მიერ შემოთავაზებულ საკვებს. იყო კიდევ ერთი უცნაურობა: თეფშის ნაცვლად პლასტმასის ლანგარს ვიყენებდი, რომლითაც ჩემს მეუღლეს მოჰქონდა საკვები ჩემთვის.

ამ დეტალების გახსენება იმიტაა განპირობებული, რომ ისინი მეთოდური დემაგოგიის არაჩეულებრივი მაგალითებია. მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს განვიხილავ – სკამზე არ დაჯდომის მტკიცებას. უნდა შეინიშნოს, რომ ეს იყო ზოგადი დებულება: „ის სკამზე არ ჯდება“ . შესაბამისი ფაქტი შემდეგი იყო. როდესაც სასამართლოდან გამოშვების პირველ დღეს ლანგერებთან მივედი და მაჩვენეს ოთახი, სადაც მე უნდა მეცხოვრა, მე და ლელას მადლიერების გრძობის მეტი არაფერი გვექონდა. ოთახში იყო ერთი „დედოფალი“ სანოლი, მცირე მაგიდა, და ორი შევსებული პატარა კარადა. დავით ლანგერმა ასევე მითხრა, რომ სახლში მცირე რემონტი ჰქონდა წამონყებული, „ცოტა არეულობა“ იყო და ვერ მოახერხა ოთახის უფრო მოწესრიგება. შემომთავაზა სკამის შემოტანა, თუკი მე ეს მჭირდებოდა. ამ შემოთავაზებაზე ჩემი ბუნებრივი რეაქცია განპირობებული იყო ორი გარემოებით. ერთი ის იყო, რომ თავაზიანობიდან და მადლიერებიდან გამომდინარე არ მსურდა ლანგერების შეწუხება და „მოთხოვნებით“ ჩემი მოკლევადიანი სტუმრობის დაწყება. მეორე, უფრო პრაგმატული მოტივი ის იყო, რომ იმ დღეებში ბინის ინტენსიურ ძებნას ვაპირებდი და, როგორც ვფიქრობდი, „სკამზე ჯდომის“ დრო არ მექნებოდა. ამან განაპირობა ის, რომ დავით ლანგერის შემოთავაზებას გულწრფელი თავაზიანობითვე ვუპასუხე: „არა უშავს, ამ დღეებში ალბათ მხოლოდ დასანოლად თუ შემოვალ...“

როდესაც ჯულიან გოჯერთან შეხვედრაზე დავით ლანგერის წყალობით ჩემი უმნიშვნელო თავაზიანობის ეს ყესტი გადაიქცა ზოგად დებულებად „ის სკამზე არ ჯდება“, ჯერ

ვერ გავაცნობიერე, რომ ეს „ფრეიმინგის“ სპეციფიური სახეობა იყო. ანალოგიური იყო სხვა დებულებები ჩემი „უცნაური ქცევის“ შესახებ. ლანგერებიდან წამოსვლის დღეს ტუალეტის წმენდვა, რომელიც ელემენტარული ეტიკეტის დაცვის მოტივით იხსნება, დავით ლანგერმა გადააქცია „უცნაურობად“. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კრიმინალურმა ექსპერტ-ფსიქიატრმა გოჯერმა ლანგერის ეს „ფსიქოლოგიური დაკვირვებები“ აიტაცა და, როგორც გვიან შევიტყობ, ისინი მისი დასკვნის საკმაოდ „მნიშვნელოვანი“ ნაწილი გახდა.

ამ ნარკვევის მიზანი არ არის იმის გარკვევა, თუ რა მიმართება იყო დოქტორ გოჯერსა და ლანგერებს შორის, რომლებიც ლიცენზირებული კერძო დეტექტივები იყვნენ, და სავარაუდოა, ტორონტოს პოლიციის თანამშრომლები. მაგრამ, ამ დეტალების შენიშვნა იმითაა გამართლებული, რომ ლანგერების და ჩემი დოქტორ გოჯერთან შეხვედრის შემდეგ მომხდარმა გარკვეულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გამიღრმავა ეჭვი ლანგერების კეთილი მოტივების სანდოობაში.

ამ პერიოდს ემთხვევა შემდეგი ფაქტები. ერთ დღეს google image-ის ვებ გვედრებმა გამოიტანა მცირეწლოვანთა პორნოგრაფიული სურათები. ეს სურათები ჩემი ქალიშვილის სახელზე და გვარზე იყო დაფიქსირებული. ამის შესახებ „ვებ სლუსზე“, რომელიც კანადური და ამერიკული პოლიციის სპეციალურ საგამოძიებო-საინფორმაციო გვერდს ჰგავს, მავანმა გააკეთა რამდენიმე ცინიკური კომენტარი ჩემი ქალიშვილის სახელზე გამოსულ აღნიშნულ პორნოგრაფიულ სურათთან კავშირში. ცოტა მოგვიანებით, იმავე ზაფხულში, ინტერნეტში ისევ გამოჩნდა კიდევ ერთი შეურაცხმყოფელი კომენტარი, რომელსაც ვინმე „ნათელმხილველი“ აკეთებდა ჩვენს „ოჯახში სიმბდალის“ არსებობის შესახებ, რაც მისი მტკიცებით მარიკას გაუჩინარებასთან იყო კავშირში. ამას მოჰყვა „you tube“-ზე დადებულ ფილმზე, რომელიც მარიკას დაკარგვის დეტალებს აღწერდა, მავანის უხამსი კომენტარი. ამ კომენტარის თავისებურება ის იყო, რომ უხამს ენასთან

და ცინიკურ ტონთან ერთად იყო მინიშნება, რომ ბავშვი შესაძლოა იყო სექსუალური მონა ისრაელში, სადაც მას სულის დაღვევა ეწერა. მარიკას გატაცების „რობერტ ფრიდმანისეული“ (დავით ლანგერისეული) ვერსიის მსგავსება ცინიკური კომენტარის ავტორის მტკიცებებთან ნათელი იყო.

აქ აღარ ჩამოვთვლი სხვა შემთხვევებს, რომლებმაც ფსიქოლოგიური ზენოლის და ნეგატიურობის როლი შესაძრულეს 2010 წლის ნოემბრის ხდომილობის მომზადებაში. მაგრამ, ნოემბრის პირველი დღეები არსებითია. პირველ ნოემბერს ჩემი ვაჟი წავიდა სკოლაში და უკან აღარ დაბრუნებულა. ჩემი და ლელას განგაში გასაგებია. ტორონტოს პოლიციის ძებნა და მედიის ეიფორია რამდენიმე საათი გაგრძელდა. ღამის ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც პოლიციამ დაგვირეკა და გვითხრა, რომ გიგას, გიტარით ხელში, ღამის ტორონტოში გასეირნება გადაუწყვეტია. პირად საუბარში ისიც გვითხრა ნაცნობმა გამომძიებელმა, რომ ასეთი სტრესული და დაძაბული წლის შემდეგ გიგას ეს ერთჯერადი „თავისუფალი“ ქცევა არ უნდა ყოფილიყო უცნაური. „თინეიჯერული სინდრომი გასაგები უნდა იყოს ამ ვითარებაში.“

უაღრესად დაძაბული თხუთმეტი საათის შემდეგ მოვახერხე საჯარო მაღლობა გადამეხადა ტორონტოს პოლიციისა და მედიისათვის კიდევ ერთი თანადგომისთვის. ამის შემდეგ ჩემს საცხოვრებელ კორპუსთან არსებული სატელევიზიო და საგაზეთო რეპორტიორთა ხალხმრავლობა დასრულდა.

დღის ორი საათი იქნებოდა, როდესაც გაზეთ „ტორონტო სტარის“ ნაცნობმა ჟურნალისტმა (იზაბელა ტეოტონიომ) მომწერა იმეილით და მთხოვა ინტერვიუს მიცემა მომხდარის შესახებ. ღამის უძილობის და სტრესის გამო არ მქონდა ინტერვიუს თავი – მით უმეტეს, რომ ინტერვიუ და სამადლობელი სიტყვა უკვე მივეცი იმ დილით მედიის სხვადასხვა წარმომადგენლებს. „სტარის“ ჟურნალისტი იმეილით მიღებულ უარს არ დასჯერდა. ოც წუთში გადმომირეკა და კიდევ მთხოვა ინტერვიუსთვის მოსვლის უფლება. მან კვლავ

უარი მიიღო. ამის შემდეგ ნახევარ საათში კარზე კაკუნის ხმა მომესმა. როდესაც გავიხედე და „სტარის“ ის ჟურნალისტი დავინახე, საკმაოდ უხერხულად ვიგრძენი თავი. ლელას გაღვიძება არ მინდოდა, რომელსაც სასტუმრო ოთახის ტახტზე ეძინა ლამისთევის შემდეგ. ტეოტონიომ რამდენიმე კითხვა დამისვა კარებში და ჩემი შეკავებული მოკლე პასუხების შემდეგ დამემშვიდობა.

ჟურნალისტის ჩვენთან მოსვლის დეტალები კავშირშია ტორონტო სტარში შემდეგ დღეს დაბეჭდილ სტატიასთან. სტატია დაიბეჭდა სხვა, ჩემთვის უცნობი ჟურნალისტის ავტორობით. მასში გარკვეული უგულისყურობით იყო მოხსენიებული მარიკას დაკარგვის გარემოება, ხოლო გიგას წინა დღის „გაუჩინარებიდან“ ავტორი ასკვნიდა, რომ მართებული იქნებოდა საკითხის დაყენება: „გამართლებულია თუ არა ამ ოჯახს ჰქონდეს მეორე ბავშვის ოჯახში შენარჩუნების უფლება.“ სტატიის ნეგატიური შინაარსი ზუსტად იყო მოზომილი ოჯახის ტრავმულ ჭრილობაზე. ერთი ჟურნალისტის მიერ უტეხი შეუპოვრობით მოპოვებული მასალა და სხვა ჟურნალისტის მიერ იმ ინფორმაციის შეზავება საკუთარი ცინიკური „დასკვნებით“ საკმარისი აღმოჩნდა ჩემი და ლელას სასონარკვეთისა და დაუცველობის გრძნობის გაღრმავებისთვის. იმ დღეს თითქმის სრული უძლურება დამეუფლა. ადრე, დეპრესიის ნიშნები ყველაზე უფრო რთულ დღეებშიც კი არ მქონია, როდესაც მარიკა გაუჩინარდა. ამჯერად, აშკარა იყო ცვლილება.

დამე სრულ ფორიაქში გავატარე. როდესაც დილით ტორონტო სტარის სტატია კიდევ გადავიკითხე, უცებ შევნიშნე ერთი რამ, რაც წინა დღის კითხვისას არ მომხვედრია თვალში. სტატიის ჩემთვის უცნობი ავტორის სახელი იყო როზი – როზი დიმანო. ამასთანავე, „როზი“ აკრეფილი იყო მუქი („ბოლდი“) შრიფტით. ეს ხაზგასმის მეთოდი თავისთავად არაფერს ნიშნავს, მაგრამ ერთი დამთხვევა, რომელიც მას ჩემს ცნობიერებაში მნიშვნელობას მიანიჭებს ის იყო, რომ როზი ასევე არის როზიტა ლანგერის სახელი, რომლითაც

მას მისი მეუღლე დავით ლანგერი მიმართავდა სახლში (როგორც ვთქვი, მათთან ორი კვირა ვიცხოვრე და კარგად მახსოვდა ეს დეტალი). როზი დიმანო და როზი დელორეს რომ ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება ყოფილიყო იმანაც მაფიქრებინა, რომ ვიცოდი როზი დელორეს (ლანგერი) სტატიებს რომ აქვეყნებდა და ამას რომ სხვადასხვა ფსევდონიმებით აკეთებდა. ეს თვითონ მითხრა როდესაც მათთან ვცხოვრობდი. ამ გარემოებას ისიც დაემატა, რომ სწორედ იმ დღეებში – როდესაც გიგა თხუთმეტი საათით გაუჩინარდა – როზი დელორესმა (ლანგერმა) ფეისბუქზე „ტრიქსი ტრიკის“ ძველი ფსევდონიმით გამოაქვეყნა შემდეგი კომენტარი: „ადრე მათ ერთი შვილი ჰყავდათ დაკარგული. ეხლა უკვე ორი ჰყავთ. არ არის ეს სასაცილო?“ (is not this funny?) ეს კომენტარი მან დადო ლელას მეგობრის ფეისბუქის გვერდზე. ლელას მეგობარი ცხოვრობდა თბილისში და არასდროს ჰქონია შეხება როზი დელორეს-ლანგერთან.

როდესაც „ბოლდით“ მონიშნული ტორონტო სტარის სტატიის ავტორის სახელი (როზი) დავინახე, პირველი, რაც ამომიტივტივდა მეხსიერებაში იყო ჩემი ქალიშვილის დაკარგვასთან დაკავშირებული „you tube“-ზე გამოქვეყნებული უხამსი კომენტარი. ადრეც მქონდა ეჭვი, რომ ლანგერები იყვნენ მისი ავტორი. რამდენად მართებული იყო ეს დასკვნა, სხვა საკითხია.

ყოველივე ეს, ღამის უძილობა და წინა დღეების სტრესი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მივსულიყავი ლანგერებთან და მომხდარიყო ის, რაც მოხდა (დავჭერი დავით ლანგერი).

ამ საქმის სხვა დეტალები არაა რელევანტური მოცემული ნარკვევისთვის. ჩემი საქმის კრიმინალურ მხარეზე ნარკვევის შესაქმნელად იკმარებს ნათქვამი. მხოლოდ ერთი დეტალის დამატებას ვისურვებდი. როზი დიმანო, როგორც მერე შევიტყვე, რეალური პიროვნებაა და, ბუნებრივია, არ არის როზი დელორესის (ლანგერის) იგივეობრივი. მაგრამ,

დღესაც რჩება ჩემი ვარაუდი, რომ ჟურნალისტის სახელი „ბოლდით“ შემთხვევით არ იყო აქცენტირებული. იმას, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ამ „დამთხვევების“ უკან, ქვემოთ ვიტყვი. მაგრამ, აქ უნდა ვთქვა, რომ დოქტორი გოჯერის დასკვნაში მოტანილი აღწერა თუ როგორ მივედი მე სახელე-ბის „როზი“ და „როზალია“-ს გაიგივებასთან უჩვენებს, რომ მან მიიღო დავალება, რომ ეს ასპექტი „მოეგვარებინა“. ამის მტკიცების საფუძველს მაძლევს ის, რომ მის მიერ აღწერა აშკარა უზუსტობას შეიცავს, რომელსაც იგი ვერ გააკეთებ-და უნებლიედ. დელორესის და დიმანოს სახელები იდენტუ-რია – ორივეს როზი ჰქვია (თუმცა, ხანდახან თავს როზიტად წარადგენს ლანგერი)– და არა მსგავსი, რასაც გოჯერი ამ-ტკიცებს თავის დასკვნაში. არსებითია, რომ გოჯერს ჩემთან ერთადერთ ინტერვიუზე არ უკითხავს ამ დეტალების შესა-ხებ და ასევე, იმის შესახებ, კიდეც სხვა საფუძველი თუ მქონ-და ლანგერების მოტივებში დაეჭვებისთვის. რატომ არ გა-მომკითხა სტატიის ავტორის და კერძო დეტექტივის ჩემს მი-ერ მცდარად გაიგივების შესახებ გოჯერმა? იქნებ იმიტომ, რომ ჩემი პასუხის შემდეგ ძნელი იქნებოდა ისეთი მარტივი „ახსნების“ მოძებნა, როგორსაც ვხვდებით მის საეჭვო დას-კვნაში? უკვე მას მერე, რაც ტორონტოს წინასწარი დაკავე-ბის საპრობილემო ვიყავი თვეების მანძილზე, გოჯერმა და-ურეკა ჩემს მეუღლეს ლამის თორმეტ საათზე და ჩამოართვა „სახელდახელო“ ინტერვიუ ამ საკითხების შესახებ. ამ ინ-ტერვიუს ერთი თავისებურება ის იყო, რომ გოჯერი საკუ-თარ კითხვებზე საკუთარი პასუხებითვე კმაყოფილდებოდა და არ აცლიდა ჩემს მეუღლეს რაიმე ნიუანსური დაზუსტებე-ბის შეტანას. მას სჭირდებოდა „მეუღლის აზრის“ საკუთარ დასკვნაში შეტანა ისე, რომ მას საჭირო ფორმა და შინაარსი ჰქონოდა.

რაც შეეხება თვითონ როზი დიმანოს, კითხვა იმის შესა-ხებ, თუ ვინ იდგა მის უკან, კვლავ საზრისიანია. ის ფაქტი, რომ მისი სტატია არაჩვეულებრივად კარგად იყო მოზომილი დროში და რომ მისი შინაარსი ოჯახის შეურაცხყოფაზე იყო

გათვლილი, მიანიშნებდა იმაზე, რომ სტატია არ უნდა ყოფილიყო ინდივიდუალური ჟურნალისტის „უტაქტობის“, ან „მცდარი“ ინიციატივის შედეგი. ამ კავშირში არსებითია შემდეგი ფაქტი. როზი დიმანოს კიდევ ერთი სტატია, თავისი არსით და ტერმინოლოგიით არა ნაკლებ შეურაცხმყოფელი, გამოქვეყნდა ტორონტო სტარში, 2011 წლის თხუთმეტ მაისს. თარიღი არსებითია. სასამართლოზე ბრალი, როგორც უკვე ვთქვი, სულ ოთხი დღით ადრე ვალიარე (11 მაისს). პროგრამის წევრები იმ დღეებში განსაკუთრებული სისტემატურობით მაკვირდებოდნენ და ამონებდნენ ჩემს ყოველნუთიერ განწყობებს. როგორც გვიან გავაცნობიერე, ეს უნდა ყოფილიყო განპირობებული მათი ზრუნვით, რომ მე არ შემეცვალა უკვე აღიარებული ბრალი მისი სასამართლოზე გასაჩივრებით. ფორმალურად, ბრალის აღიარების შეცვლის უფლება მქონდა სასამართლო განაჩენის დღემდე. ერთ დღეს (14 მაისს), როდესაც ჩატარდა ერთ-ერთი ტესტი-პროვოკაცია და კიდევ ერთხელ დავინახე, რომ ჩემმა ბრალის აღიარებამ არაფერი შეცვალა, რომ ძილის წართმევის პროცედურები და სხვა ავერსიული მეთოდების ჩემზე გამოყენება კვლავ გრძელდებოდა, დავრეკე სახლში და მეუღლეს კიდევ ერთხელ ჩავანერინე პროგრამის შესახებ ჩემი თვალსაზრისი. სწორედ ამის შემდეგ იყო (მეორე დღით) როზი დიმანოს აგრესიული სტატია რომ დაიბეჭდა. როგორც კი განყოფილებაში მივიღეთ გაზეთი, პროგრამის ერთ-ერთმა წევრმა უმანკო გამოხედვით მომანოდა ის. „ნაიკითხე, კიდევ ერთი სტატია დაუბეჭდავთ“.

ღირს იმის შესხენება, რომ ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც საკანში შემომისახლეს ძილის წართმევის ფუნქციის მქონე კონფედერატი, რომლის მეთოდი იყო ღამით შეყვირებები (“fuck you” იხ. თავი „უძილობა და რეალობა“). დიმანოს აღნიშნული სტატია პირველი ასეთი უძილო ღამის შემდეგ ნავიკითხე.

ნეგატიური სტატიის გამოქვეყნების დროში ჩემს „არაკორექტულ“ ქცევასთან თანხვედრის და თვითონ ციხის გან-

ყოფილებაში პარალელური გზავნილების გააქტიურების ფაქტიდან ძნელი არ იყო იმის დანახვა, რომ როზი დიმანო რეალურად შესაბამისი უსაფრთხოების სამსახურების მარიონეტი იყო.

2. პოლიტიკური

მტკიცება, რომ შესაძლებელია მავანი რაიმე საგაზეთო სტატიებისთვის დააკავონ ამერიკის ან კანადის უსაფრთხოების სამსახურებმა, საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურება. მისი არარეალისტურობა გამართლებულია იმით, რომ სიტყვის თავისუფლება მართლაც წრმოადგენს იმ ქვეყნის ფოლკლორული კულტურის ესენციას. ამერიკის კონსტიტუცია ასახავს როგორც რიგითი ამერიკელების ხალხურ სიბრძნეს, ისე მათი დემოკრატიის მამების პრაგმატულ აზროვნებას. ასეთი ზოგადი დებულებების კვალიფიკაცია იმ ისტორიული შემთხვევების გახსენებით შეიძლებოდა, როდესაც „საგანგებო გარემოებები“ და მათი უვნებელყოფის მცდელობები პრაგმატული და ფოლკლორული სიბრძნის იმ ნაყოფს ზღუდავს, ან უგულებელყოფს. 1970 წელს პიერ ტრუდოს მიერ „ომის ზომების აქტის“ ამოქმედება, ან ცივი ომის დროინდელი კანადის ხელისუფლების საიდუმლო პროგრამა „PROFUNC“ არ წარმოადგენს ხალხური სიბრძნიდან გადახვევის მხოლოდ კანადურ ვერსიას.

მაგრამ, დამკვიდრებული პრაქტიკის ასეთ შეზღუდვებს კვლავ რჩებათ გამონაკლისის სტატუსი ჩრდილოამერიკის კულტურაში და ამდენად აღნიშნული ზოგადი დებულება ძალაშია.

ახლო ვიქნები რეალობასთან, თუ ვიტყვი, რომ რამდენიმე კრიტიკული სტატია და ანტიიმპერიალისტური სატირულ-პოლიტიკური კომენტარები მხოლოდ მცირე რგოლია იმ მოვლენათა ჯაჭვში, რომელმაც განაპირობა ჩემი მოქცევა გარკვეული სამსახურების ყურადღების ველში, ხოლო ამან,

ტრაგიკულ გარემოებებთან ერთად, განაპირობა იმ მოვლენების განვითარება, რომელიც ამ ნარკვევში აღვწერე. სანამ მოკლედ დავასახელებ იმ სხვა გარემოებებს, საჭიროა ჩემი აღნიშნული საგაზეთო სტატიის არსის წარმოდგენა.

„ამერიკული პოლიტიკური მიკროქირურგია საქართველოში“, რამდენიმე სხვა სტატიასთან ერთად, გამოვაქვეყნე დავით მახარაშვილის ფსევდონიმით, 2010 წელს, ინტერნეტ გაზეთ „კავკასია ექსპრესის“ გვერდზე. ესაა მოცულობით მოკრძალებული, სტილისტურად და ტონით ზომიერი სტატია, რომელშიც წინა პერიოდის ამერიკის ხელისუფლებას და სპეციალურ სამსახურებს ბრალს ვდებ 2003 წლის საქართველოში ვარდების რევოლუციის ორგანიზება-პროვოცირებაში. სტატია ასევე ხაზს უსვამს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში ამერიკის სამხედრო და სადაზვერვო სამსახურების წამქეზებელ როლს. კიდევ ერთი მტკიცება, რომელიც სტატიაში მკაფიოდაა გამოთქმული არის მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ამერიკული ინტერესის ჭარბი გავლენა, რომელიც ამერიკული „საგანმანათლებლო პროგრამების“ კურსდამთავრებულების ხელით, ნებსით თუ უნებლიედ, რეალიზდება.

სტატიის გამოქვეყნების კონტექსტიც მეტყველია. ის გამოვაქვეყნე „კავკასია ექსპრესის“ ვებ გვერდზე, როდესაც ტელევიზია „იმედის“ საინფორმაციო პროგრამამ საქართველოს მოსახლეობას წარმოუდგინა საქართველოზე რუსეთის სურპრიზული თავდასხმის ნახევარსაათიანი სიმულაციური დადგმა. სტატია რეალურად პასუხი იყო ამ პროპაგანდა-დაშინების მცდელობაზე და წარმოადგენდა მის მიხილებას როგორც ამერიკულ-კორპორაციული ინტერესის გამოვლენას.

* * * * *

როდესაც ვუფიქრდები თუ რა არის ტერმინი „რადიკალიზაციის“ არსობრივი გარკვეულობა, ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება. ესაა ამერიკის და კანადის კორპორაციულ მედიაში ამ ევფემიზმის სანიტარული მოხმარება, სადაც

კითხვა მისი ლეგიტიმურობის შესახებ ისევე იშვიათია, როგორც ის იყო ადრეულ საბჭოთა რეალობაში ფრაზა „ხალხის მტერი“-ს მიმართ. ამ ცნების ანალიზი და ასევე, გარკვეული ისტორიული მიმოხილვა დაანახებს მავანს, რომ „რადიკალიზაცია“ დაფარავს არა მხოლოდ წმინდა ტერორისტული ტაქტიკების მოყვარულს, არამედ პოლიტიკური დისიდენტიზმის სხვადასხვა დონეებს. როდესაც გასული საუკუნის 50-იანების ბოლოს ედგარ ჰუვერი მისი ცნობილი პროგრამის – „კონტრაზვერვის პროგრამა“ (COINTELPRO) – გამართლებას ცდილობდა მტკიცებით, რომ მისი მიზანი იყო პოლიტიკური დისიდენტური ჯგუფების შესაძლო ლიდერების დროული ამოცნობა, დისკრედიტაცია, პროვოცირება და მოცილება, ამ ამოცნობის კრიტერიუმს არ წარმოადგენდა სამიზნე პირის ტერორისტული აქტივიზმი, არამედ მისი პოტენციური ან აქტუალური „რადიკალიზაცია“. დისიდენტების „ამოცნობის“ საჭიროებაზე ორიენტირებული სხვა, უფრო შმაგი აქტივისტი ცნობილია იოსეფ მაკარტის სახელით. ამგვარი კონსერვატორი ენთუზიასტების მეთოდოლოგია, როგორც ცნობილია, არაა თავსებადი ამერიკული პრაგმატიზმის და ფოლკლორული სიბრძნის ზემოთ აღნიშნულ დებულებებთან.

2000-იანების ბუშის ხელისუფლების ამ მიმართულებით ენთუზიაზმი აისახა „პატრიოტის აქტში“ – კანონმდებლობა, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრიდან ერთ თვეში მიიღო ამერიკის კონგრესმა. პატრიოტის აქტის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, თუკი ზოგადად შევნიშნავთ, რომ ის აშკარად აძლევს უსაფრთხოების სამსახურებს „დისიდენტების ამომცნობი“ ინსტრუმენტების მრავალგვარობას. ერთი ასეთი ინსტრუმენტია მათი მოპოვებული უფლება სრულფასოვნად შეისწავლონ ნებისმიერი მოქალაქის პიროვნული ინტერესების ამსახველი მოღვაწეობა, როგორიცაა მაგალითად, მავანის საბიბლიოთეკო აქტივობა.

როდესაც 2003 წლის 17 დეკემბერს კალიფორნიაში ჩავედი, ჩემი მიზანი იყო კლარემონთის თეოლოგიურ კოლეჯ-

თან არსებული „პროცესის ცენტრში“ უაიტჰედის ფილოსოფიის კვლევა. კლარემონთი ლოს ანჯელესის რაიონის აკადემიური ქალაქია, რომელიც გამოირჩევა ინტელექტუალური და კულტურული გარემოთი. რამდენიმე უნივერსიტეტის სალექციო და საკონცერტო დარბაზები სპეციფიურ იერს აძლევს კალიფორნიის უდაბნოზე დაშენებულ ამ ქალაქს, რომელიც სრულფასოვანი ირიგაციის და მაცხოვრებლების ბოტანიკური მგრძნობელობის ნყალობით ასევე გამოირჩევა გამწვანებით და მცენარეულის სურნელით.

კლარემონთის აკადემიური ცხოვრება წარმოადგენს იმ სინამდვილეს, რომელსაც ჟან ბოდრიარმა ამერიკული რეალობის ოაზისი უწოდა. ამ ოაზისის მიღმა უდაბნოში, თვითონ კლარემონთში და სხვაგან, არსებობს კალიფორნიის მთების მწვერვალებზე შეფენილი მულტიმილიონიანი ვილები; ასევე, ლოს ანჯელესის დაუნთაუნების ფსკერზე მცხოვრები უსახლკაროები, რომლებიც ზამთრობით სანტა მონიკას ბუჩქებს და სანაპიროს გამოქვაბულებს აფარებენ თავს. ამ პოლუსურ განყოფილებებს შორის მრავალი შუალედური ფორმაა. ჩემი კალიფორნიის გამოცდილება ამერიკული ცხოვრების ხილვის და გამოცდის თითქმის სრულ სპექტრს მოიცავს.

მაგრამ, აქ ჩემი იქ ცხოვრების ერთი ასპექტია რელევანტური. ჩემი კლარემონთის საუნივერსიტეტო და საჯარო ბებლიოთეკებით სარგებლობა ამჯერად არ შემოიფარგლა წმინდა ფილოსოფიურ-აკადემიური ინტერესით. როდესაც 2001 წლის გაზაფხულზე აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიყავი, რაც შესაძლებელი გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულმა პროგრამამ, ფილოსოფიური წიგნების და მათი ასლების მოპოვება ჩემი ძირითადი საქმიანობა იყო. კალიფორნიაში ეს შეიცვალა.

ამერიკული საგარეო პოლიტიკა, ცივი ომის ისტორია, ამერიკის ურთიერთობები ლათინური ამერიკის მესამე სამყაროს ქვეყნებთან და, ზოგადად, ამერიკული იმპერიალიზმი გახდა ჩემი ინტენსიური კითხვის და კვლევის საგანი. პოლი-

ტიკურ-ლიტერატურული ინტერესის და ლოს ანჯელესის რეალური ცხოვრების გამოცდილების სინთეზი იმის პირობა იყო, რომ ექსისტენციალური მნიშვნელობა შეეძინა ამერიკულის ფენომენს. გილესპი-პარკერის ქაოტური ბგერების სწრაფი სვინგი და მაილს დეივისის მეტაფიზიკური ლამის ლირიკა, რომელიც მანამდე ამერიკულის წინა პლანს განსაზღვრავდა ჩემთვის, ჩაანაცვლა ინტერესმა, სადაც ფიდელ კასტროს და კენედის სამყაროების ურთიერთობები, შავი პანტერების და ედგარ ჰუვერის ავანტურისტული რადიკალიზმ-კონსერვატიზმი და ბუშის ანტი-ტერორისტული გლობალური კამპანიის შესახებ კონსპირაციული თეორიები ამერიკულის გაგების გასაღები გახდა.

როდესაც ტორონტოს დასავლეთის წინასწარი დაკავების საპყრობილეში ვიყავი და ვაანალიზებდი ვითარების ზოგიერთ მხარეს, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩემი საბიბლიოთეკო აქტივობა იოლად შეეძლო გაეშიფრა „ამოცნობაზე“ ორიენტირებულ ორგანოებს როგორც ჩემი ადრინდელი ესთეტიკური ამერიკანიზმის ტრანსფორმირების პროცესი. ამ პროცესში მავანი – ვინც, ამერიკის პატრიოტის აქტს სერიოზულად ეკიდება და ეს მის სამსახურეობრივ მოვალეობასაც წარმოადგენს – დაინახავდა ამერიკის საგარეო პოლიტიკისადმი ჩემი კრიტიკული დამოკიდებულების მატების აშკარა ტენდენციას. ასე თუ ისე, ჩემი ამ შენიშვნების არსი, რომელსაც აქ ველარ განვავრცობ, ისაა, რომ „რადიკალიზაციის“ ცნების ფართო მნიშვნელობით გამოყენების მომხრესთვის არ უნდა ყოფილიყო ძნელი კალიფორნიელი ემიგრანტისთვის გარკვეული სახის ყურადღების დათმობა – მით უმეტეს, როდესაც ეს ემიგრანტი ასევე იყო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროგრამის (რეგიონული მეცნიერთა გაცვლის პროგრამა – RSEP) ყოფილი მონაწილე.

როგორც მოგვიანებით, ტორონტოსა და ვერქვორთის სპეციალურ ციხეებში დავასკვენი, მაღალი ალბათობაა, რომ ეს ყურადღება გაიზარდა მაშინ, როდესაც უკვე ტორონტო-

ში, ანტიიმპერიალისტური ლიტერატურის მკითხველის ჩემი პროფილი გადაიზარდა საგაზეთო მოღვაწეობაში, რომელიც, თუმცა რაოდენობრიობის თაღსაზრისით საკმაოდ მოკრძალებული, მეტყველია საკუთარი პოლიტიკური შეხედულების გამოსატვის სიცხადის თვალსაზრისით. დღეს კვლავ ვთვლი: მოცემულ ნარკვევში აღწერილი რეალობა და „მათთან“ ურთიერთობის გამოცდილება მაძღვს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ ჩემი მცირე პოლიტიკური აქტივობა უშუალო კავშირში იყო ჩემი კრიმინალური საქმის განხილვასთან. ამ კავშირმა განაპირობა ის, რომ ციხეში გავხდი „იძულებითი დარწმუნების“ და „მოქცევისთვის“ განკუთვნილი სპეციალიზირებული პროგრამის სამიზნე.

3. წერილი

ქვემოთ მოცემული წერილი 2012 წლის სექტემბერში ვერქვორთის ციხიდან გამოვგზავნე. მისი მცირე მონაკვეთი ინკორპორირებულია ნარკვევის ძირითად ნაწილში. იგი აღწერს პროგრამის ძირითად მეთოდებს და ასევე, იმის ჩემეულ ხედვას, თუ რატომ ვფიქრობ, რომ ჩემს საქმეში პოლიტიკური მოტივების არსებობამ განაპირობა მოცემული პროგრამის ჩემზე გამოყენება. კიდევ ერთი დეტალი, რომელიც აღნიშვნის ღირსია ისაა, რომ წერილში ძირითადად ტორონტოს წინასწარი დაკავების ცენტრზე ვსაუბრობ და არ ვახსენებ ვერქვორთს, რომელშიც ახალჩასული ვიყავი. ამ დიპლომატიური მოტივის გაგება ძნელი არ უნდა იყოს. თვითონ ვერქვორთის წერილობით ფორმაში დასახელება და კრიტიკა შესაძლოა გამხდარიყო ჩემზე კიდევ უფრო ძლიერი ზეწოლების მიზეზი. საეჭვო გახდებოდა ისიც, გამოაღწევდა თუ არა ეს წერილი ვერქვორთიდან.

ვახტანგ მახნიაშვილის წერილი /ვერქვორთის ინსტიტუტი, 12.09.2012

კონტექსტი, რომელშიც ჩემი საქმის ადექვატური და-
ნახვა გაიოლდება, რამდენიმე საკვანძო ფაქტს მოიცავს. აქ
მოვნიშნავ ზოგიერთ მათგანს.

1) ჩემს ორივე დაკავებას (-2010 წლის 7 მაისში და იმავე
წლის 4 ნოემბერს-) უშუალოდ წინ უსწრებდა ჩემი პოლიტი-
კური პუბლიკაციები: სტატიები და კომენტარები. მათში ამე-
რიკის ხელისუფლებას და მის სპეციალურ სამსახურებს
„ვარდების რევოლუციის“ და 2008 წლის საქართველო-რუსე-
თის ომის ინსპირატორად ვაცხადებ. სტატიები გამოქვეყნდა
„კავკასია ექსპრესის“ ვებ გვერდზე დავით მახარაშვილის
ფსევდონიმით. კომენტარები – „პრესა გე“-ს ვებ გვერდზე და
ისინი ძირითადად ანტი-იმპერიალისტურ (ამერიკულ-იმპე-
რიალისტურ) პოლიტიკურ შარჟს და სატირას წარმოადგე-
ნენ.

2) ჩემს პირველივე საქმეში, სასამართლოში გამოცხა-
დებისთანავე ანუ, როდესაც ჩემი ქმედების არც მოტივები
და არც დეტალური გარემოებები არ იყო ცნობილი ფორმა-
ლურად, სასამართლომ მოითხოვა ჩემი ფსიქიატრიული შე-
მონშმება. ამასთანავე, სასამართლომ დაასახელა კონკრეტუ-
ლი ფსიქიატრი (დრ. გოჯერი), ანუ არ მომეცა არჩევანის შე-
საძლებლობა. დრ. გოჯერი, როგორც მოგვიანებით მისივე
აღიარებიდან გაირკვა, კანადის (და სავარაუდოდ აშშ-ს)
დაზვერვის სამსახურებთან თანამშრომლობს. ის ფაქტი,
რომ გარეგნულად ჩვეულებრივი კრიმინალური შემთხვევა
დასაწყისშივე მოათავსეს სახელმწიფო უშიშროების კვლევის
სივრცეში და „ფსიქიატრიულ“ კატეგორიაში უჩვენებს, რომ
სახეზე იყო პოლიტიკური მოტივებით ჩემი კრიმინალური
საქმის მანიპულირების მცდელობა.

3) არსებითია დრ. გოჯერის ზემოთ ხსენებული აღიარე-
ბის კონტექსტი. მან ეს გააკეთა გარკვეული შეფარული მუ-
ქარის ფორმით, როდესაც მე გავააქტიურე საკმაოდ მკაფიო

ანტი-ამერიკულ-იმპერიალისტური კომენტარები „პრესა გე“-ს ვებ გვერდზე. ჩემი ვარაუდი, რომ დოქტორი გოჯერის უკან კანადის უშიშროების სამსახურები იდგა და რომ მათი ინტერესი უშუალოდ განაპირობებდა ჩემი საქმის მსვლელობას – ვარაუდი რომელიც მაშინ მხოლოდ მიხვედრების და ეჭვების დონეზე მქონდა – დადასტურდა მოგვიანებით, როდესაც ტორონტოს წინასწარი დაკავების საპატიმროს სპეციალურ განყოფილებაში მომათავსეს.

4) აღნიშნული ფსიქიატრის დასკვნა („დელუზიური აშლილობა“) ერთ-ერთი არსებითი ელემენტია გაყალბებების იმ სერიაში, რომელიც ჩემი საქმის სასამართლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ხდებოდა. მოკლედ აღვწერ ამ „დასკვნის“ მიღებისას ხსენებული ფსიქიატრის რეალური მოტივის ჩემეულ ხედვას.

2010 წლის მაისიდან ამავე წლის 3 ნოემბრამდე მქონდა შეხვედრები დრ. გოჯერთან (ასე, 10 დღეში ერთხელ). ამ პერიოდში ფაქტობრივად დასრულდა ჩვენი შეხვედრების ძირითადი ნაწილი და როგორც იგი ხშირად მიმითითებდა (ბოლო, 3 ნოემბრის შეხვედრის ჩათვლით), იგი ვერავითარ ფსიქიატრიულ პრობლემას, ან რაიმე ფარმაკოლოგიური ჩარევის საჭიროებას, ვერ ხედავდა. ამასთანავე, იმავე პერიოდში (2010 წლის ოქტომბერში) იგი მეუბნებოდა, რომ მისი დასკვნა „ძირითად“ მზად იყო და რომ მხოლოდ სხვა ფსიქოლოგის ჩემთან მცირე ინტერვიუ იყო საჭირო დასკვნის დასრულებისთვის. იმავე წლის 4 ნოემბერს დამაკავეს და მომათავსეს ტორონტოს წინასწარი დაკავების საპატიმროს სპეციალურ განყოფილებაში, რის შემდეგაც გოჯერი აღარ მინახავს 2011 წლის 3 მაისამდე. ამ უკანასკნელ შეხვედრაზე დრ. გოჯერს ასევე არაფერი უთქვამს საკუთარი შესაძლო დასკვნის, ან რაიმე ფარმაკოლოგიური საჭიროების შესახებ. ამასთანავე, ჩემი ადვოკატი კალვინ ბერი მარწმუნებდა, რომ ამ მიმართულებით „ყველაფერი წესრიგში“ იყო.

საკვანძოა შემდეგ რაც მოხდა. დრ. გოჯერის დასკვნა ჩემი „დელუზიური აშლილობის“ შესახებ შევიტყვე მხოლოდ

2011 წლის 26 ივლისს, ჩემი სასამართლოს დღეს, სრული მოულოდნელობით. უფრო მეტიც, ამ დღეს ჩემმა ადვოკატმა, რომელსაც სასამართლოს დაწყებამდე ერთი საათით ადრე შევხვდი და რომელსაც უკვე ხელზე ჰქონდა დასკვნა, არაფერი მითხრა დასკვნის შესახებ. როგორც უკვე მოცემული ფაქტი, დასკვნის შესახებ მოვისმინე მოსამართლისგან, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს მოხდა ტორონტოს მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით. ჩემი ადვოკატის და ფსიქიატრის მიერ დასკვნის ამ მიზანმიმართული გასაჯაროების მნიშვნელობის გაგებისთვის არსებითია შემდეგი ფაქტი: დრ. გოჯერთან გაფორმებული შეთანხმების თანახმად, მას ფსიქიატრიული დასკვნა პირველად ჩემთვის უნდა გაეცნო, და მხოლოდ ჩემი თანხმობის შემთხვევაში შეეძლო მას გადაეცა ის სასამართლოსთვის. მე მქონდა ამ დასკვნის „ბლოკირების“ უფლება. დრ. გოჯერის მიერ ამ ყალბი დასკვნის გაკეთებას და შემდეგ მის აქტიურ გასაჯაროებას არსებითი ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა (აქვს).

ფსიქიატრიული დასკვნის არასანდოობა შეიძლება დავინახოთ შემდეგი რამდენიმე ფაქტის ქრონოლოგიიდანაც:

ა) როგორც ზემოთ ვთქვი, არაფერი ამ დასკვნის მსგავსი დრ. გოჯერს არ უხსენებია ჩვენი შეხვედრების ძირითად პერიოდში (2010 მაისიდან იმავე წლის ნოემბრამდე). არც მერე უთქვამს რაიმე ასეთი შესაძლებლობის შესახებ, როდესაც 2011 წლის 3 მაისში შემხვდა ოცი წუთით.

ბ) 2011 წლის აპრილში, ჩემს მეუღლესთან სატელეფონო საუბრისას (ციხიდან) პირველად გავაცხადე იმ უკანონო და ფარული ბიჰევიორისტული პროგრამის შესახებ, რომელიც ტორონტოს წინასწარი დაკავების საპატიმროს სპეციალურ განყოფილებაში ჩემს მიმართ გამოიყენებოდა და გაგრძელდა 14 თვის მანძილზე (2010 წლის 5 ნოემბრიდან 2011 წლის 30 დეკემბრამდე) – პროგრამა, რომელსაც, როგორც თანდათან გაირკვა, უკანონოდ აწარმოებენ კანადის უშიშროების და კორექციის სამსახურები ერთობლივად.

გ) ჩემს ამ განცხადებას პროგრამის თანამშრომლების მხრიდან (ამ პროგრამის შესახებ იხილეთ ქვემოთ) უშუალოდ

მოჰყვა ძლიერი უარყოფითი რეაქცია მუქარის და შანტაჟის ჩათვლით.

მოკლედ, ჩემი ვარაუდი ისაა, რომ დრ. გოჯერმა, რომლის უკან უშიშროების სამსახურები დგანან და აღნიშნულ არაკანონიერ პროგრამას აწარმოებენ, მისი დასკვნა მიიღო აღნიშნული სამსახურების ზენოლით, ჩემი შანტაჟის მიზნით. ასეთ დასკვნას მოცემულ ეტაპზე პრევენციული ფუნქცია ჰქონდა: თუკი მე გადავწყვეტიდი პროგრამის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას, „დელუზიურობის“ დასკვნა საკმაო საფუძველი იქნებოდა ჩემი მტკიცებების „დელუზიურად“ მონათვლისთვის და ამდენად, მათი „გაუვნებელყოფისთვის“.

ზოგადად უნდა შეინიშნოს, რომ ფარული პროგრამა, რომელსაც უშიშროების სამსახურები აწარმოებენ ტორონტოს წინასწარი დაკავების საპრობილემო წარმოადგენს კანადის კონსტიტუციის, კერძო კანონების და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას.

აღნიშნული პროგრამა იყენებს პიროვნების მასიური ფსიქოლოგიური მანიპულირების, ე. წ. „ტვინის გამორეცხვის“ და ბიჰევიორული მოდიფიცირების მეთოდებს პიროვნების იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი დამუშავების მიზნით.

აქ მოკლედ ჩამოვთვლი იმ ელემენტებს, რომელსაც აღნიშნული პროგრამა იყენებს, ხოლო შემდეგ მოვიტან რეალურ კონტექსტში მათი გამოყენების მაგალითს. პროგრამის უარსებითესი ელემენტებია:

ა) ძილის წართმევა, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა პიროვნებაში რაციონალურ-რეფლექსური აზროვნების მოღუწება;

ბ) პიროვნების წინასწარი ცოდნის და თანხმობის გარეშე არასამკურნალო წამლების გამოყენება. წამლების ძირითადი ფუნქციაა ემოციურ-განწყობითი მდგომარეობების მანიპულირება. ის ინტენსიურად გამოიყენება ძილის წართმევის მეთოდთან ერთად;

გ) პიროვნების გრძელვადიანი იზოლაცია სპეციალურ უფანჯრებო საკანში, რომელშიც „ბუნებრივი ხმაურის“ გა-

მომცემი მონყობილობებია დამონტაჟებული (მე 18 დღე დავყავი ასეთ იზოლატორში);

დ) პროგრამის თანამშრომლების მიერ (რომლებიც პატიმრებად არიან გადაცმული) დასაკვირვებელი პირის მიმართ პროვოკაციების და კონფლიქტური სიტუაციების მონყობა მისი ბიჰევიორული ტესტირების და კონდიციონირებისთვის; შესაძლებელია ამავე მეთოდის გამოყენება „ენტრაპ-მენტის“ მიზნით;

ე) გრძელვადიანი და ინტენსიური სტრესირების მეთოდი ინდივიდის მეხსიერების ნაშლის და „ზომბირების“ მიზნით.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ეს პროგრამა ე. წ. „რეალური ცხოვრების“ გარემოს სიმულირების მეთოდს ეყრდნობა. ანუ, დაკვირვების ობიექტმა არა მხოლოდ არ იცის რა ტესტები უტარდება მას, არამედ, არ იცის (არ უნდა იცოდეს), რომ საერთოდ რაიმე ბიჰევიორული დაკვირვება-კონდიციონირება მიმდინარეობს მის მიმართ. ინდივიდი თავსდება სპეციალურ განყოფილებაში, სადაც პატიმრებად გადაცმული საიდუმლო სამსახურების 27-28 კაციანი ჯგუფის წევრები აწარმოებენ ბიჰევიორისტული მანიპულირების პროცესს ისე, რომ ტესტების ძირითადი ელემენტები „ბუნებრივი შემთხვევითობების“ სახით ევლინება სუბიექტს.

აქ არ აღვწერ როგორ ან როდის გავაცნობიერე, რომ ბიჰევიორისტების და მათი კოფედერატების გარემოში ვიყავი ტორონტოს წინასწარი დაკავების ცენტრში. მაგრამ, ხაზს ვუსვამ იმას, რომ ეს 28 კაციანი ჯგუფი სისტემატურად გამოიყენებოდა არა მხოლოდ ჩემი კონდიციონირება-ტესტირებისთვის, არამედ როგორც ჩემზე ზენოლის ინსტრუმენტი. სწორედ ასეთი ზენოლის შედეგი იყო სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ჩემი გადანყვებილებები. გამოიყენებოდა როგორც მძიმე ზენოლის ფორმები (მუქარა, შანტაჟი), ისე „რბილი ზენოლა“ (ირიბი საუბარი, მანიპულაციური დარწმუნება, ცრუ დაპირებები და სხვ.).

მომცემული პროგრამის არსებითი შემადგენელია ის ფაქტი, რომ განყოფილება, სადაც ის მიმდინარეობდა, ტოტალური თვალთვალის უახლესი ტექნოლოგიებით არის აღ-

ჭურვილი. ვიდეოთვალის გარდა, რომელიც ძირითად ოთახშია მოთავსებული, ფარული ვიდეო და აუდიო მონაცემები დამონტაჟებულია განყოფილების ყველა ძირითად ადგილას, ტელეფონ-აბაზანის და დასაკვირვებელი პირის საკნის ჩათვლით. ამ უკანასკნელში სავარაუდოა, რომ სხვა სენსორული დანადგარები იყოს მოთავსებული საწოლთან მდებარე კედელში. ისიც სავარაუდოა, რომ ვიდეო-აუდიო სათვალთვლო წყარო გაედინება არა მხოლოდ ციხის შიდა დაკვირვების ცენტრში, არამედ ციხის გარეთ, სადაც შესაბამისი სამსახურები იღებენ მას დახურული საინტერნეტო ხაზებით.

პროგრამის ყველაზე უფრო აგრესიული ელემენტების გამოყენება ჩემს მიმართ დაიწყო 2011 წლის მაისის მეორე ნახევრიდან (რომელიც დეკემბრამდე გაგრძელდა). ესაა პერიოდი, როდესაც სასამართლოზე ე. წ. „პლი ბარგინის“ წესით დანაშაული ვალიარე. არსებითია, რომ ჩემი აღიარებიდან (11 მაისი, 2011) სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე (8 დეკემბერი, 2011) შვიდი თვის შუალედი იყო, როდესაც სხვადასხვა ყალბი მოტივებით, განაჩენის გამოტანის დღე მრავალჯერ გადაიდო.

დიდი ალბათობაა, რომ დანაშაულის აღიარების დღიდან განაჩენის გამოტანამდე ასეთი არაბუნებრივად დიდი შუალედი განსაზღვრა პროგრამის მენეჯმენტის შემდეგმა მოტივმა. გაცილებით ოლი იყო ჩემი მასიური მანიპულირება და აღწერილი მეთოდებით ექსპერიმენტირება ისე, რომ ჩემი მხრიდან გარკვეული ზომის „მდუმარე მორჩილება“ მიეღოთ მაშინ, როდესაც, ერთის მხრივ მე უკვე დაკარგული მქონდა „სავაჭრო“ ძალა, ანუ ვალიარე დანაშაული და ამდენად სრულად ვიყავი დამოკიდებული სასამართლოს გადანყვეტილებაზე, ხოლო მეორეს მხრივ, თვითონ სასამართლოს გადანყვეტილება, როგორც ეს მკაფიოდ გამაცნობიერებინეს, დამოკიდებული იყო ამ პროგრამის „შედეგებზე“ და მისი მენეჯმენტის ნებაზე (სასამართლოს გადანყვეტილებებზე ზემოქმედების ბერკეტებს რომ ფლობდნენ, ჩემთვის საკმაოდ ადრე გახდა ცხადი.)

ცხადია, რომ ასეთი პროგრამის არსებობა თავისუფალი

საზოგადოების უარსებითეს პრინციპებს ეწინააღმდეგება. კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, მოცემულ საზოგადოებაში არ არსებობს ძალოვან უწყებათა ასეთი უკანონო აქტივიზმის ინსტიტუციონალური კონტროლის რეალური მექანიზმები. პროგრამა წარმოადგენს ძლიერ ინსტრუმენტს პოლიციისა და სხვა უსაფრთხოების სამსახურების ხელში, რომელიც სასამართლო პროცესის მანიპულირების, პოლიტიკურად არასასურველი პირების კრიმინალებად „შეფუთვის“, ფსიქიატრიული დასკვნების ფალსიფიცირების და სხვა უკანონობების სისტემური მექანიზმია.

მოკლედ აღვწერ ერთ ტიპიურ ტესტს, რომელიც პროგრამის მეთოდების ნიმუშად გამოდგება. ტესტის მიზანია მძაფრი კონფლიქტის სიტუაციაში პიროვნების ქცევითი რეაქციის შემოწმება (იმპულსური ქცევა, აგრესიის ინტენსივობა და სხვა). ტესტს აქვს მოსამზადებელი და კულმინაციური ფაზები. კულმინაციური ფაზა შედარებით მარტივია და როგორც წესი ეს არის კონფედერატის მიერ კონფლიქტის პროვოცირება. ეს შესაძლებელია იყოს სამიზნე პირთან კონფლიქტი, ან ორი კონფედერატის წინასწარ დადგმული სცენა, რომლის მიზანია სამიზნე პირის კონფლიქტში ჩათრევა.

ამ ტესტის მომზადება (პირველი ფაზა) როგორც წესი, წინა ღამით, ან რამდენიმე დღით ადრე, იწყება, როდესაც თანამოსაკნე ძილს წაართმევს სამიზნე პირს („ძილში“ ხმამაღალი შეყვირებით, ან საკუთარ თავთან საუბრით, ან რაიმე სხვა უფრო აგრესიული ფორმით, რომელსაც იგი ღამის განმავლობაში რამდენჯერმე გაიმეორებს (ძილის წართმევის ფუნქცია შესაძლოა ციხის მცველმაც შეითავსოს – კარის მიჯახუნებით, ხმამაღალი საუბრით და სხვა). დღით, უძილო ღამის შემდეგ, სამიზნე პირი მიიღებს წამალს, რომელიც ფარულად იქნება მოთავსებული მის საუბრეში და რომლის ფუნქციაა აგზნებადობის სტიმულირება. იმის შემდეგ, რაც ძილის წართმევამ სამიზნე პირის რეფლექსური ცნობიერება შეასუსტა, ხოლო წამალმა წინ წამოსწია მისი აფექტურ-ემოციური პოტენციალი, ტესტის ოფტიმიზირების მიზნით შე-

საძლებელია კიდევ რამდენიმე დამატებითი სტიმულატორი. ეს შეიძლება იყოს რომელიმე კონფედერატის „უზრდელი“ ქცევა, ან სამიზნე პირის გვერდით კონფედერატის უწყვეტი და დემონსტრაციული პირის წკლაპუნი. ასეთი დამატებითი მცირე გამაღიზიანებლების შემდეგ, როდესაც წამლის ქმედების ძალა კულმინაციას აღწევს, იწყება ის ძირითადი ფაზა, რომელიც ზემოთ აღვწერე (წინასწარ დადგმული კონფლიქტი).

ასეთი ტესტების ფუნდამენტური თავისებურება ისაა, რომ ისინი ხორციელდება „ცოცხალი რეალობის“ გრძელვადიან კონტექსტში. მოკლევადიანი ბიჰევიორულ-ფსიქოლოგიური ტესტებისგან განსხვავებით, რომლებიც რამდენიმე დღე, ან კვირა შეიძლება გაგრძელდეს, ასეთი გრძელვადიანი გარემო ბიჰევიორული კვლევის თანამშრომლებს (კონფედერატებს) აძლევს მათი როლების დინამიური განვითარების და სტაბილიზაციის შესაძლებლობას.

„ცოცხალ კონტექსტთან“ დაკავშირებით არსებითია თვითონ ის გარემო, სადაც აღნიშნული პროგრამა მიმდინარეობს. ციხის ეს განყოფილება არა მხოლოდ სრულად ემთხვევა „რეალურ“ რეალობას (ჩვეულებრივ ციხეს), არამედ გარკვეული ნეგატიური მაჩვენებლითაც განსხვავდება ციხის ჩვეულებრივი, ე. წ. „პოპულაციის“, განყოფილებებისგან. პროგრამის განყოფილებაში საკნების ფანჯრები შეღებილია რუხი საღებავით. ამ აზრით, გარე სამყარო უფრო სრულყოფილად არის დახურული იქ მყოფთათვის, ვიდრე „პოპულაციის“ განყოფილებაში, სადაც პატიმარი ხედავს ხეებს, ცას და მანქანებს, თუკი ფანჯარა გზისკენ იყურება. პროგრამის განყოფილებაში დაკვირვების სუბიექტი თვეების მანძილზე ვერ ხედავს გარე სამყაროს ამ ობიექტებს, რაც სამყაროსგან მოწყვეტილობის და იზოლაციის განცდას ამძაფრებს მასში. ამას ემატება ხელოვნურად წარმოებული სრული უსინათლობის, ან „დაბინდული“ განათების სეანსები, რომლებიც ზოგჯერ რამდენიმე დღე გრძელდებოდა.

რაც შეეხება იმას, რომ „პოპულაციის“ რეალური კრიმინალების ნაცვლად, პროგრამის ჯგუფი ბიჰევიორისტთა

და სპეციალურ თანამშრომელთა მუშაკებისგანაა დაკომპლექტებული, ეს მხარე სრულფასოვნად არის ორგანიზებული. თანამშრომლების ჯგუფის წევრები არაჩვეულებრივად კარგად ფლობენ „კრიმინალური როლების“ თითქმის ყველა შესაძლო ნაირსახეობას („ჯიბის ქურდით“ დაწყებული და „მკვლელით“ დამთავრებული). მათი დიდი უმრავლესობა ტაქტირებულია და დაუფლებულია „ციხის ენას“. ხშირად მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ უმრავლესობა მათგანი მათი როლების ლინგვისტურ ნაწილს არ თამაშობდა, რომ ციხის ენა, რომელიც დაახლოებით სამი-ოთხი სიტყვისგან აგებული ფრაზეოლოგიის ვარიაციებს წარმოადგენს, მათი რეალური ენა იყო. ასევე მაღალი ალბათობაა, რომ ამ ჯგუფში პროფესიონალ ბიჰევიორისტთა და სპეციალური სამსახურების მუშაკების გვერდით გამოიყენება რეალურ კრიმინალთა მცირე ნაწილი, რომლებსაც შესაბამისი წვრთნა აქვთ გავლილი. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ მარტივი როლით იყო შემოსაზღვრული. იყო შემთხვევები, როდესაც კონფედერატის ერთადერთი ფუნქცია ჩემს გვერდზე დადგომა (ან დაჯდომა) და პირის მონოტონური ნკლაპუნი იყო (ან საკუთარ თავთან უწყვეტი საუბარი და სხვა).

ზემოთ მოტანილი „კონფლიქტის“ მაგალითის ერთ-ერთი ნაკლი შემდეგია. მავანმა შეიძლება იფიქროს, რომ პროგრამა დროში მყარად გამოკვეთილი დასაწყის-დასასრულის მქონე ტესტების წყებებისგან შედგება. უარსებითესია სწორედ ის, რომ ყოველი ასეთი ცალკეული ტესტი ჩართულია ბიჰევიორული პროგრამის უწყვეტ კონტექსტში, სადაც ერთი პროცესის დასასრული შეიძლება იყოს შემდეგის დასაწყისი, ან ორი ან მეტი მიმართულების ტესტი კვეთდეს ერთმანეთს და ა. შ. მაგალითად, აღწერილი კონფლიქტის ტესტის კულმინაციური ფაზა შეიძლება გაგრძელდეს იმით, რომ ციხის მცველებმა „დასაჯონ“ მთელი განყოფილება – შემოიღონ საკნებში რამდენიმე დღით ჩაკეტვა („ლოკ დაუნი“) და „ბნელი სენასი“. ასევე, თვითონ ეს ფაზა და წინა ტესტის ყოველი პუნქტი შეიძლება მეხსიერების ნაშლის ფუნქციასაც

ასრულებდეს. მეხსიერების ნაშლის ერთ-ერთი მეთოდია ინტენსიური და უწყვეტი სტრესული ვითარებების სწრაფი და კონტრასტული მონაცვლეობა.

